კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

თინათინ ჭიღლაძე

ირანის ფაქტორი თურქეთის საგარეო პოლიტიკაში

საერთაშორისო ურთიერთობების და საერთაშორისო უსაფრთხოების

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო

ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია კაპანაძე,

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

თბილისი 2019

ანოტაცია

თურქეთი და ირანი ახლო აღმოსავლეთის ორი ძლიერი ქვეყანაა, რომლებიც ერთმანეთს მეტოქეობას უწევენ რეგიონში ლიდერობისთვის. აქედან გამომდინარე, ირანს თურქეთის საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ხშირ შემთხვევაში რთულია ხოლმე არ ორი ქვეყნის მიერ საერთო ენის გამონახვაზე რეგიონში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით. ორივე მათგანს ახლო აღმოსავლეთში პირველობის სურვილიდან გამომდინარე, თავიანთი მკაცრად განსაზღვრული მიზნები აქვთ.

ბოლო რამოდენიმე წლის განმავლობაში ახლო აღმოსავლეთს არსებული პოლიტიკური კრიზისის ფონზე, თურქეთისა და ირანის ინტერესები ამ კრიზისის მოგვარებაში ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული იყო. როგორც თურქეთი, ისე ირანი, ცდილობს თავისი უპირატესობის დამტკიცებას. აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ პოლიტიკური ვითარების სირთულიდან გამომდინარე არის შემთხვევები, როდესაც ორივე ეს ქვეყანა ახერხებს, რაღაც გარკვეულ პოზიციაზე შეთანხმებას, მაგრამ ამ ორი ლიდერი ქვეყნის შეთანხმება პირობით ხასიათს ატარებს. თურქეთი ცდილობს, არა მარტო უპირატესობა ქონდეს ირანზე რეგიონში, არამედ მთლიანად ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ ასპარეზზე გაავრცელოს მისი უპირატესობა, რაშიც მისთვის ირანი სერიოზულ პრობლემად რჩება.

Iran's factor in Turkish foreign policy

Annotation

Tinatin Tchigladze

Turkey and Iran are the two strongest countries in the Middle East that rival the rivalry in the region. Hence, Iran has an important place in Turkish policy. In many cases, it is difficult for two countries to find common ground on the problems in the region. Both of them have their strictly defined goals, based on the desire to play in the Middle East.

In the past few years, the interest in Turkey and Iran, in the face of the current political crisis in the Middle East, was radically different in solving this crisis. Turkey and Iran are trying to prove their superiority. It is noteworthy that sometimes because of the difficult situation of the political situation, both of these countries manage to agree on some sort of position, but the agreement between the two leaders is conditional. Turkey is trying not only to have the advantage over Iran in the region, but in the entire Middle East's pivotal role, its advantage is that Iran remains a serious problem for him.

შინაარსი

შესავალი.....5

თავიI: ოსმალეთისა და ირანის იმპერიების ურთიერთობების ისტორიული ასპექტები.....10

1.1 ოსმალეთისა და ირანის იმპერიების დაპირისპირება აზიასა და კავკასიაში.....10

1.2 ოსმალეთის ინტერესები ახლო აღმოსავლეთში და ურთიერთობა ირანთან საწყის ეტაპზე.....13

1.3 ოსმალეთისა და ირანის ინტერესები სამხრეთ კავკასიაში.....16

თავიII: თურქეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში.....21

2.1სეკულარული თურქეთისა და ფეჰლევიანთა ირანის ურთიერთობები.....21

2.2 ირანის ისლამური რევოლუცია და თურქეთის დამოკიდებულება ისლამური რეჟიმისადმი.....34

2.3.სპარსეთის ყურის პირველი ომი და თურქეთის ინტერესები რეგიონში.....45

თავიIII: თურქეთისა და ირანის წინააღმდეგობები კავკასიის რეგიონში 49

3.1ირანისადმი დაწესებული სანქციები და თურქეთის პოზიცია 49

3.2 ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური კრიზისი და თურქეთ-ირანის ინტერესების წინააღმდეგობა და თანხვედრა 55

3.3 ქურთების პრობლემა და ირანის ინტერესები.....71

დასკვნა.....79

გამოყენებული ლიტერატურა.....82

შესავალი

თურქეთი და ირანი ახლო აღმოსავლეთის ორი დიდი და შესაბამისად ანგარიშგასაწევი ქვეყნებია. ისტორიულად მათი ურთიერთობები წინააღმდეგობებით გამოირჩეოდა.მათ, ორივეს ლიდერობის პრეტენზია აქვთ რეგიონში. აქედან გამომდინარე, რაიმე კონკრეტულ საკითხზე საერთო ენის გამონახვა ამ ორ ქვეყანას შორის დიდ პრობლემას წარმოადგენს. თურქეთის საგარეო პოლიტიკაში ირანს ამიტომ სხვა დატვირთვა გააჩნია.

თემის აქტუალობა. ბოლო პერიოდში რეგიონში არსებული პოლიტიკური კრიზისის ფონზე,რომელიც ორივე მათგანისათვის არასასურველ სიტუაციას ქმნის, მათ მოახერხეს გარკვეული პოლიტიკური მიზნით საერთო პოზიციაზე შეთანხმებულიყვნენ.

თურქეთი ირანისაგან განსხვავებულად ხედავს სირიის პრობლემის გადაწყვეტას და ასევე ქურთების საკითხშიაც მათი ინტერესები განსხვავდება ერთმანეთისგან, მაგრამ შექმნილი რთული ვითარების გამო თურქეთმა მაინც მოახერხა ირანთან საერთო ენის გამონახვა.ეს ერთგვარი ხელის შემწყობი პირობაა ახლო აღმოსავლეთში სტაბილურობისათვის.

საკვლევი კითხვები:

- რა ძირითადი ფაქტორები განაპირობებს თურქეთსა და ირანს შორის, მუდმივ წინააღმდეგობებს რეგიონში?
- რეგიონში ლიდერობისათვის რამდენად დიდი პრობლემაა თურქეთისათვის ირანი?
- რამ განაპირობა თურქეთისა და ირანის დაახლოება და რა პერსპექტივები აქვს ამ ურთიერთობებს მომავალში?

თემის ჰიპოთეზა.

- თურქეთისათვის ირანი დიდი ხანია რეგიონის ლიდერობისათვის უმთავრეს მეტოქეს წარმოადგენს.ამ მეტოქეობას სხვადასხვა მიზეზები განაპირობებს.
- ორივე მათგანი თავიანთ თავს რეგიონის წამყვან ქვეყნად მიჩნევს. თურქეთი ამას ბოლო პერიოდში ისლამური სამყაროს ლიდერობის იდეით ამყარებს და მისთვის ირანი ამ ლიდერობისკენ სწრაფვაშიც დიდ პრობლემას წარმოადგენს.
- თურქეთმა, როგორც რეგიონის ერთ-ერთმა ძლიერმა ქვეყანამ საერთო რეგიონალურ კრუზუსთან დაკავშირებით, ირანთან მეტოქეობის მიუხედავად, უკვე მეტ-ნაკლებად შეძლო არასტაბილური პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, საერთო ენის გამონახვა გარკვეულ საკითხებზე ირანთან.

თემის მიზნები და ამოცანები. ჩვენს მიერ არჩეული სამაგისტრო თემის მიზანია სიღრმისეულად შეგვესწავლა თურქეთის საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტები ირანთან მიმართებაში რის შედეგადაც მოვახერხეთ შეძლებისდაგვარად გაგვეკეთებინა სწორი დასკვნები, იმასთან დაკავშირებით თუ რა მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ირანს თურქეთის საგარეო პოლიტიკაში.

თემის დამუშავების დროს გამოყენებული სავარაუდო მეთოდოლოგია.

აღნიშნულ ნაშრომში, გამოვიყენეთ ,,პოლიტიკური რეალიზმის“ თეორია, რომლის ძირითადი სუბიექტი არის სახელმწიფო.

ასევე ,,ძალთა ბალანსის“ თეორია, რაც გამომდინარეობს, საერთაშორისო სისტემის ანარქიული სტრუქტურიდან.

კვლევის მეთოდები. თემის დამუშავების დროს ვიყენებთ თვისობრივ კვლევის მეთოდებს:

ინტერდისციპლინარული მეთოდი

ისტორიულ-აღწერილობითი არსებული თეორიული მასალის განხილვა,

ანალიზი და დასკვნების გამოტანა,

ემპირიული კვლევის მეთოდები, ნარატიული ანალიზი

კონტენტ-ანალიზი.

კვლევის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. ჩვენი შესაძლებლობებიდან და თემის გარშემო არსებულ მასალებზე წვდომიდან გამომდინარე შევქმენით აკადემიური ხასიათის ნაშრომი, რომელიც აკმაყოფილებს სამაგისტრო თემის მოთხოვნებს. აქედან გამომდინარე ვფიქრობთ, ჩვენს მიერ შესრულებული სამაგისტრო ნაშრომი გამოადგებათ თურქეთისა და ირანის ურთიერთობების კვლევით დაინტერესებულ პირებს. ის შესაძლოა ასევე გამოყენებულ იქნას უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებშიც.

კვლევის მეთოდების განხილვა.ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად წინა პლანზე წამოვწიეთ თურქეთის საგარეო პოლიტიკაში ირანთან მიმართებაში არსებული არა მარტო წინააღმდეგობები, არამედ ის საერთო ინტერესებიც, რამაც ამ ორი მეტოქე ქვეყნის ინტერესთა თანხვდომა გამოიწვია ახლო აღმოსავლეთში არსებულ პოლიტიკურ პრობლემებთან დაკავშირებით.

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

თურქეთის საგარეო პოლიტიკით არაერთი მკვლევარი დაინტერესებულა და ამ საკითხზე შესაბამისად ბევრი სამეცნიერო ნაშრომიც დაიწერა. მკვლევარები, რომლებიც თურქეთის საგარეო პოლიტიკის ირგვლივ მუშაობენ, ბუნებრივია თავიანთ ნაშრომებში გვერდს ვერ აუვლიან, ისეთ მნიშვნელოვან პრობლემას, როგორიცაა ირანის ფაქტორი ამ ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში . თურქეთის საგარეო პოლიტიკაზე ქართულ ენაზე არც თუ ბევრი სამეცნიერო ნაშრომი შესრულდა, მაგრამ ქართველი მეცნიერები ამ საკითხს მეტ-ნაკლებად თავიანთ ქვეყნებში მნიშვნელოვან ადგილს უთმობენ, იქედან გამომდინარე, რომ ახლო აღმოსავლეთი ჩვენი მეზობელი რეგიონია, თურქეთი კი, საქართველოს უშუალო მეზობელი.

რევაზ გაჩეჩლაძე ,,ახლო აღმოსავლეთი“, თბილისი, 2019. წიგნში განხილულია, თურქეთის საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები ახლო აღმოსავლეთში. ავტორი სხვა ახლო აღმოსავლურ ქვეყნებთან ერთად ამ ნაშრომში ყურადღებას თანამედროვე

თურქეთის საგარეო პოლიტიკურ ინტერესებზეც ამახვილებს, რომელიც თავისთავად კავშირშია ირანთანაც.

გ. სანიკიძე, გ. ალასანია, ნ.გელოვანი. ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან (XIXს.- XXI ს.-ის დასაწყისი). თბილისი, 2011. აღნიშნულ საკითხზე ასევე, მნიშვნელოვანი ადგილი აქვთ დათმობილი თავიანთ ერთობლივ ნაშრომზე .

მიხეილ სვანიძე, ,,თურქეთის ისტორია", თბილისი, 2007. აღნიშნულ სახელმძღვანელოში, შესწავლილი და განხილულია როგორც ოსმალეთის, ისე თურქეთის საგარეო პოლიტიკური ინტერესები 2007 წლამდე. მასში ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ამ ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში ირანის როლს და ადგილს.

ემზარ მაკარაძე თურქეთის ისტორია 1918-2018 წლები. თბილისი, 2019. ჩვენს მიერ არჩეული საკვლევი თემისათვის მნიშვნელოვან მასალებს შეიცავს. ის ჩვენთვის საინტერესოა კონკრეტულად 21 საუკუნის დასაწყისიდან თურქეთის საგარეო ინტერესებზე ახლო აღმოსავლეთსი და კონკრეტულად კი ახლო აღმოსავლეთის საგარეო პოლიტიკაში ისთის ირანის როლსა და ადგილზე.ამ მხრივ აღნიშნულ მონოგრაფიაში მნიშვნელოვანი მასალაა თავმოყრილი.

ემზარ მაკარაძე, ,,თანამედროვე თურქეთის აქტუალური საკითხებიც", ბათუმი, 2000. აღნიშნულ ნაშრომში გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი თურქეთის საგარეო პოლიტიკაში ირანის როლს 20 სკ-ის 50-იანი წლებიდან დაწყებული, საუკუნის ბოლომდე.მასში თურქული წყაროების მონაცემებზე დაყრდნობით გაანალიზებულია ირანში ისლამური რევოლუციის შედეგად შექმნილი ისლამური რესპუბლიკის შემდგომ თურქეთ-ირანის ურთიერთობები.

დავით კაციტაძე, ,,ირანის ისტორია" (2009). წიგნში ყურადრება გამახვილებულია, ოსმალეთის საგარეო პოლიტიკურ ინტერესებზე აზიასა და სამხრეთ კავკასიაში და ამ მხრივ ირანთან მეტოქეობის შესახებ საინეტერსო მასალებია თავმოყრილი ჩვენი საკვლევი თემის შესახებ.

სამეცნიერო სტატიების კრებული, „ახლო და შუა აღმოსავლეთი“, ტომი I თბილისი, 2003. ჩვენი თემისათვის საინტერესო მასალებია ცალკეულ სამეცნიერო წერილებში, კონკრეტულად კი აღნიშნული სამეცნიერო წერილები, რომელთა ავტორებიც ქართველი წამყვანი აღმოსავლეთ მცოდნეები არიან, ძალიან დაგვეხმარა გასული საუკუნის 70-იან-90-იან წლებში თურქეთ-ირანის საგარეო პოლიტიკური ურთიერთობების, ამ მხრივ მათ შორის თანხვდომისა და წინააღმდეგობის შესწავლისათვის.

Davutoglu, 2012 – Davutoglu A., Principles of Turkish Foreign Policy and Regional Political Structuring, SAM Vision Papers (No. 3, April).

თურქეთის რეგიონალური საგარეო პოლიტიკის განხილვა-გაანალიზებისათვის აღნიშნულმა ნაშრომმა მნიშვნელოვანი დახმარება გაგვიწია

Aras, Bulent. The New Geopolitics of Eurasia and Turkey's position. London: Frank Cass, 2002. ახლო აღმოსავლეთის გეოპოლიტიკურ თამაშებში თურქეთის პოზიციასა და როლზე ჩვენი საკვლევი თემის შესახებ საკმაოდ დიდი დახმარება გაგვიწია ამ ნაშრომმა.

ეს არის ძალიან მცირე ჩამონათვალი იმ სამეცნიერო ნაშრომებისა, რომელზე დაყრდნობითაც შევასრულეთ ჩვენი სამაგისტრო თემა. უფრო ვრცლად გამოყენებული სახელმძღვანელოები წარმოდგენილია თემის დასასრულს, გამოყენებულ ლიტერატურაში.

ამას გარდა, არის სხვადასხვა ვებ-საიტები, სადაც უამრავი ინფორმაციაა განთავსებული ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე, რომელთა ჩამონათვალიც ასევე, გამოყენებულ ლიტერატურაში გვაქვს მითითებული.

თავი I

ოსმალეთისა და ირანის იმპერიების ურთიერთობების ისტორიული ასპექტები

1.1 ოსმალეთისა და ირანის იმპერიების დაპირისპირება აზიასა და კავკასიაში.

ოსმალეთსა და ირანს შორის დაპირისპირება, როგორც საკუთრივ რეგიონში, ისე სამხრეთ კავკასიაში XV საუკუნიდან იწყება. მანამდე, ჩამოყალიბებიდან (XIV საუკუნის დასაწყისი) ოსმალეთის იმპერია აქტიურ დაპყრობით პოლიტიკას აწარმოებდა. აქედან გამომდინარე, მას დაპირისპირება მოუხდა ჯერ სპარსულ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებთან - თეთრბატკნიანთა (აყ-ყოინლუ) და შავბატკნიანთა (ყარა-ყოინლუ) სახემწიფოებრივ წარმონაქმნებთან. მათ ორივეს თავიანთი პოლიტიკური და ამავე დროს სავაჭრო ეკონომიკური ინტერესები ჰქონდათ აზიასა და კავკასიაში. XV საუკუნის 20-იანი წლებიდან ოსმალეთის სახელმწიფო კვლავ აქტიურად შეუდგა დაპყრობითი პოლიტიკის გატარებას.

მურად II-ის ახალმა დაბყრობებმა ბალკანეთში და ოსმალთა არმიის წინსვლამ დასავლეთის მიმართულებით ევროპაში დიდი შეშფოთება გამოიწვია. 1439 წელს ევროპის ქვეყნებს ჯვაროსნული ლაშქრობა უნდა მოეწყოთ ოსმალეთის წინააღმდეგ, რომელიც უშედეგოდ დასრულდა. მალე რომის პაპმა და ბიზანტიის იმპერატორმა მოუწოდეს ევროპის სახელმწიფოებს დაეწყოთ ჯვაროსნული ლაშქრობა ოსმალეთის წინააღმდეგ. ანტიოსმალური ბრძოლის სულისჩამდგმელი იყო იანოშ ჰუნიადი, ტრანსილვანიის ვოევოდა. ჯვაროსნებმა გადალახეს დუნაი და დაიწყეს ოსმალთაგან

დაპყრობილი ტერიტორიების განთავისუფლება. ოსმალთა ლაშქარი ჯვაროსნებთან ბრძოლის დროს ყოველ ჯერზე მარცხდებოდნენ.[1]

1444 წელს ოსმალეთის 40 წლის სულთანმა, მურად II-მ უარი თქვა ტახტზე და ხელისუფლება გადასცა თავის 12 წლის ვაჟს, მეჰმედს. (შემდგომ მეჰმედ II ფათიჰს, კონსტანტინოპოლის დამპყრობელს). იმავე წელს 25 გემისაგან შემდგარი ჯვაროსანთა ფლოტი კონსტანტინოპოლს მიადგა. კვაროსნები აპირებდნენ კონსტანტინოპოლში ვარნიდან ზღვით ჩასულიყვნენ და იქედან გაერთიანებული ძალებით დაერტყათ ოსმალეთისთვის. მართალია ანტიოსმალური გეგმა კარგად იყო შედგენილი, მაგრამ მონაწილეებს შორის ერთიანობა არ იყო და თითოეული მათგანი საკუთარ ინტერესს სხვებზე მაღლა აყენებდა. ოსმალებმა კარგად გამოიყენეს ევროპის სახელმწიფოებს შორის არსებული წინააღმდეგობა. 1444 წელს ვარნასთან გამართულ დიდ ბრძოლაში ოსმალებმა ჯვაროსნები დაამარცხეს. მათ მიერ ევროპაში მოპოვებული გამარჯვების შედეგად კონსტანტინოპოლის დაცემა და ბიზანტიის იმპერიის მოსპობა გარდაუვალი იყო.[2]

1453 წლის 29 მაისს ოსმალებმა აიღეს ბიზანტიის დედაქალაქი კონსტანტინოპოლი. ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ დამთავრდა კაცობრიობის, საზოგადოების განვითარების გარკვეული პერიოდი და დაიწყო ახალი ეტაპი ევროპისა და აზიის ხალხების ისტორიაში, რომელიც ოსმალთა ბატონობით იყო განპირობებული. ოსმალების მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობა მოასწავებდა ბიზანტიის იმპერიის მოსპობას და ოსმალეთის გადაქცევას ერთ-ერთ ძლევამოსილ სახელმწიფოდ. კონსტანტინოპოლის დაცემის ისტორიული შედეგი მხოლოდ ამით არ ამოწურულა, ამის შედეგად განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები შეიქმნა ოსმალეთის შემდგომი ექსპანსიისათვის. ამასთანავე კონსტანტინოპოლის დაპყრობამ გადამწყვეტი როლი შეასრულა თურქ-ოსმალთა სახელმწიფოს იმპერიად ჩამოყალიბებაში.

---

[1] დ. პაიჭაძე ევროპის ქვეყნების ანტიოსმალური კოალიცია და საქართველო XV საუკუნის 60-იან წლებში. თბილისი, 1989. გვ 34-38

[2] მ. სვანიძე ,,თურქეთის ისტორია“. თბილისი, 2007. გვ 50-53

კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ სულთან მეჰმედ II-ს ამ გამარჯვების აღსანიშნავად ფათიჰი (დამპყრობელი) შეარქვეს. 1457 წელს სულთანმა დედაქალაქი ადრიანოპოლიდან იქ გადაიტანა და ამიერიდან მას ისტანბულს უწოდებდნენ.

ახლა, რაც შეეხება ირანს, ,,ყარა-ყოინლუს“ ფადიშაჰებს შორის ყველაზე ძლიერი იყო ჯეჰან-შაჰი (1436-1467 წწ), რომლის სამფლობელოები იყო სამხრეთ აზერბაიჯანში, არმენიასა და არაბეთის ერაყში. 1453-1457 წლებს შორის მან დაიკავა სპარსეთის ერაყი,ხუზისტანი, ფარსი და ქერმანი. ,,ყარა-ყოინლუს“ მომთაბარე ტომთა გაერთიანება ჯერ კიდევ XIV საუკუნის ბოლოდან მიწებისა და საძოვრების ხელში ჩასაგდებად გაუთავებლად ებრძოდა მომთაბარე ტომთა მეორე გაერთიანებას ,,აყ-ყოინლუს“ თურქმენებს (,,თეთრბატკნიან“ თურქმენებს). ,,აყ-ყოინლუს“ ოღუზები ხშირად ებრძოდნენ ოსმალეთის სახელმწიფოს და მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ბერძნული ტრაპიზონის იმპერიასთან (1204-1461 წწ).

სულთანმა ჰასან-ბეგ ,,აყ-ყოინლუმ“ (1453-1478 წწ), რომელსაც თავისი მაღალი და გამხდარი ფიგურის გამო ,,უზუნ-ჰასანს“ (,,გრძელი ჰასანი“) უწოდებდნენ, ,,ყარა-ყოინლუს“ თურქმენებს წაართვა სომხეთ-ქურთისტანის ზეგანი და მოკლა ჯეჰან შაჰი. მისმა ჯარმა ასევე დაიკავა სამხრეთ აზერბაიჯანი თავრიზითურთ, რომელიც უზუნ-ჰასანმა თავის დედაქალაქად აქცია. ,,აყ-ყოინლუს“ სახელმწიფოს ტრიტორია მოიცავდა მთელს დასავლეთ ირანს რომელმაც ამ ტერიტორიაზე იარსება 1468 წლიდან 1502 წლამდე. მისი სახელმწიფოს მთავარი მტერი იყო ოსმალეთის იმპერია. თავრიზში უზუნ-ჰასანის კარზე მუდმივად იმყოფებოდნენ ვენეციელი ელჩები, გამოჩდნენ აგრეთვე უნგრეთისა და პოლონეთის ელჩები და რუსეთის მეფე ივანე III-ის ელჩი.მათი მიზანი იყო ანტიოსმალური კოალიციის შექმნა. უზუნ-ჰასანი ანტიოსმალურ ლიგაში შევიდა, რომელშიც მონაწილეობდნენ რომის პაპი, ვენეცია, ნეაპოლის სამეფო, უნგრეთი, კვიპროსი და საქართველო. ანტიოსმალურმა ლიგამ არ გაამართლა ის იმედები, რასაც მასზე ამყარებდნენ. მასში მონაწილე სახელმწიფოთა ინტერესები სხვადასხვა იყო, ამდენად ისინი შეთანხმებულად ვერ მოქმედებდნენ. ამასთანავე, ისინი ტერიტორიულად დაშორებულები იყვნენ ერთმანეთისგან.

ოსმალეთის წინააღმდეგ აყ-ყოინლუს სამხედრო მოქმედება საბოლოოდ ამ უკანასკნელის მარცხით დასრულდა. უზუნ ჰასანის მემკვიდრეების დროს აყ-ყოინლუს სახელმწიფოს შინაური სისუსტე გამომჟღავნდა, რაც შედეგი იყო ფეოდალური დაქუცმაცების ზრდისა და ცალკეულ ოლქებს შორის სუსტი ეკონომიკური კავშირისა. ცალკეულ ფეოდალურ დაჯგუფებათა შორის დაიწყო შინაური ბრძოლები. მომთაბარე ფეოდალური სულთნის ტახტის პრეტენდენტად ასახელებდნენ უზუნ-ჰასანის მემკვიდრეებს, უფლისწულებს, რათა შემდეგ ამ მარიონეტების სახელით თვითონ ემართათ სახელმწიფო. 25 წლის განმავლობაში 10 ფადიშაჰი შეიცვალა. ყოველივე ამან განაპირობა აყ-ყოინლუს სახელმწიფოს საბოლოოდ დაცემა და მასთან ბრძოლაში ოსმალეთის იმპერიის გამარჯვება. [3]

XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნაზე ოსმალეთში დაიწყო სეპარატისტული გამოსვლები. იმპერიის ზოგიერთ განაპირა პროვინციებში სულთნის ხელისუფლება ფაქტობრივად, ნომინალური იყო. განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო გამოსვლები მოსულში, ერაყში, ლიბანსა და ჰიჯაზში.

1.2 ოსმალეთის ინტერესები ახლო აღმოსავლეთში და ურთიერთობა ირანთან საწყის ეტაპზე.

,,ყარა-ყოინლუსა“ და ,,აყ-ყოინლუს“ დაცემის შემდგომ ოსმალეთის საგარეო პოლიტიკაში ირანი სულ უფრო აქტუალური ხდება და შესაბამისად მნიშვნელოვან ადგილს იჭერს. ოსმალეთისათვის ირანი სერიოზულ დაბრკოლებად იქცა მის მიერ წარმოებული დაპყრობითი ომებისათვის, რადგანაც ოსმალეთს მნიშვნელოვანი წინააღმდეგობის გადალახვა უწევდა, რომელიც უმეტეს შენთხვევაში საომარი ოპერაციების ხასიათს იღებდა. ეს მნიშვნელოვანი მოწინააღმდეგე მისთვის ირანი იყო, რომლის სახელმწიფო რეელიგიაც XVI საუკუნის დამდეგიდან შიიზმი გახდა. აქედან გამომდინარე ოსმალეთს უხდებოდა ბრძოლა არა მარტო ტერიტორიებისათვის

[3] დ. კაციტაძე, ,,ირანის ისტორია”, თბილისი, 2005. გვ 346-351

ირანის წინააღმდეგ, არამედ, მათ შორის ხშირი იყო წინააააღმდეგობა რელიგიურ ნიადაგზეც.

ოსმალეთისათვის ირანი დიდ დაბრკოლებას წარმოადგენდა აზიასა და კავკასიაში, სადაც ორივე მათგანს გარკვეული სერიოზული პრეტენზიები გააჩნდათ. ოსმალეთისაგან განსხვავებით ირანი მის წინააღმდეგ მოკავშირეებს იოლად პოულობდა, რაც გამოიხატებოდა ანტიოსმალური კოალიციების შექმნაში. ეს ანტიოსმალური კოალიციები რეალურად რაიმე გავლენას ვერ ახდენდნენ ოსმალეათის დაპყრობითი პოლიტიკის შესაჩერებლად, მაგრამ მაინც გარკვეულად დროის მცირე მონაკვეთში მაინც ახერხებდნენ ოსმალეთის წინსვლას. რაც შეეხება ოსმალეთს, ის ყოველგვარი მოკავშირეების გარეშე აწარმოებდა თავის აქტიურ საგარეო დაპყრობებს.

აყ-ყოინლუს სახელმწიფოს დაცემისა და სეფიანთა ირანის წარმოშობის დროისათვის ოსმალეთის იმპერია ძლიერ სახელმწიფოს წარმოადგენდა. შესაბამისად ის მნიშვნელოვანი ძალა იყო არა მარტო ირანისათვის, არამედ დასავლეთ ევროპის ქვეყნებისთვისაც. ოსმალები არა მარტო იპყრობდნენ ტერიტორიებს, არამედ დაპყრობილ ტეროტორიებზე თავიანთ მართვა-გამგებლობის წესებს ამყარებდნენ. ამის ფონზე არაერთი ანტიოსმალური კოალიცია შეიქმნა, რომელთა წევრიც ირანი ყოველთვის იყო, მაგრამ როგორც უკვე წინა ქვეთავში ავღნიშნეთ ყველა ანტიოსმალური კოალიცია წარუმატებელ წინააღმდეგობას უწევდა მათ და შესაბამისად ისინი მნიშვნელოვნად ვერ აფერხებდნენ ოსმლათა დაბყრობებს ევროპასა თუ აზიაში.

XVI საუკუნის დამდეგს ირანში გარკვეული პოლიტიკური ცვლილებები მოხდა. 1501 წელს შეიქმნა ირანის სეფიანთა სახელმწიფო,[4] რომლის დამაარსებელი იყო ისმაილ I, არდებილის შეიხის სეფი ედ-დინის შთამომავალი. არდებილის ფეოდალური სამთავროს გაძლიერება XV საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო. ამავე

[4] ვ. გაბაშვილი. სეფიანთა სახელმწიფო. ნარკვევები ახლო აღმოსავლეთის ისტორიიდან. თბილისი,1957. გვ 91-95

საუკუნის მიწურულს, შიდა ფეოდალური ბძოლის შედეგად, ,,აყ-ყოინლუს" სახელმწიფო უზუნ ჰასანის შვილებს შორის ორად გაიყო, ამის შედეგად ისმაილს გაუადვილდა ,,აყ-ყოინლუს" განადგურება.

1502 წელს მან თავი შაჰინ შაჰად გამოაცხადა. სეფიანთა სახელმწიფოს შექმნაში აქტიურად მონაწილეობდა შვიდი ყიზილბაშური ტომი, ამიტომ სეფიანთა სახელმწიფოს ყიზილბაშების (წითელთავიანების) სახელმწიფოსაც უწოდებდნენ, რადგან ისმაილის მომხრე თურქმანული ტომები წითელზოლიან თავსაბურავებს ატარებდნენ. ყიზილბაშები შიიტები იყვნენ. შაჰ ისმაილმა შიიტობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა. ოსმალეთი თავდაპირველად მხარს უჭერდა შიიტ ყიზილბაშებს მხოლოდ იმის გამო,რომ ისინი თეთრბატკნიან თურქმანთა დამამარცხებელ ძალად მიიჩნია.

1504 წელს ბაიაზიდ II-მ გაგზავნა ელჩობა შაჰ ისმაილთან ,გამარჯვება მიულოცა აყ-ყოინლუს წინააღმდეგ ბრძოლაში და გამოთქვა სურვილი მასთან დაემყარებინა მეგობრული ურთიერთობა. მაგრამ, ბაიაზიდის ამ ნაბიჯმა ვერ შეაფერხა ყიზილბაშების წინსვლა დასავლეთის მიმართულებით.[5]

1507 წელს, ყიზილბაშებმა ხელთ იგდეს სომხეთი, ქურთისტანი, დიარბექირი, 1508 წელს კი, დაიკავეს ბაღდადი და არაბეთის ერაყი. სუნიტებისა და ქრისტიანების წინააღმდეგ მასობრივი რეპრესიები ხორციელდებოდა ამ ომების დროს. ანადგურებდნენ და წვავდნენ მათ წმინდა სალოცავებს. მრავალი სუნიტური მეჩეთი შიიტურად გადააკეთეს. სიკვდილით დასაჯეს მრავალი გამოჩენილი სუნიტი ულემი. ძალით ნერგავდნენ შიიზმს. ბაღდადსა და სხვა ქალაქებში ასახლებდნენ სპარსელებს. ირანის შაჰის ამგვარმა პოლიტიკამ ოსმალეთში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. აღმოსავლეთში სეფიანთა ირანი ძლიერ სახელმწიფოდ იქცა. ამის გამო ბაიაზიდის მიმართ უკმაყოფილება, კიდევ უფრო გაძლიერდა და ეს იყო მისი ტახტიდან ჩამოგდების ერთ-ერთი მიზეზი.

[5] Aras, Bulent. The New Geopolitics of Eurasia and Turkey's position. London: Frank Cass, 2002. გვ 25-27

1.3ოსმალეთისა და ირანის ინტერესები სამხრეთ კავკასიაში.

XVI საუკუნის დასაწყისიდან, კონკრეტულად კი სელიმ I-ის დროს იწყება ბრძოლა ოსმალეთსა და სეფიანთა ირანს შორის, სამხრეთ კავკაასაში ბატონობისათვის. მას ამ რეგიონში გაბატონებისათვის ირანი ეღობებოდა წინ, რომელსაც ასევე, ამ ქვეყნებში გაბატონება სურდა .

ოსმალეთ-ირანის ომები, რომლის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა სამხრეთ კავკასიაში გაბატონება იყო, 1514 წელს დაიწყო. მალე ოსმალეთის ლაშქარი ირანის დედაქალაქ თავრიზში შევიდ, მაგრამ მალე უკან გამობრუნდა. შაჰ ისმაილმა გადაწყვიტა ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად ანტიოსმალური კოალიცია შეექმნა, სადაც საქართველოს გარდა შევიდა ეგვიპტის სულთანი, ალბისტანისა და მარაშის გამგებლები. მოკავშირეები შეთანხმდნენ, რომ ერთმანეთს დახმარებოდნენ, თუ სულთანი დაესხმებოდა თავს.

სელიმ I-ისთვის ცნობილი გახდა ეს და მან გადაწყვიტა ზომები მიეღო ანტიოსმალური კოალიციის წინააღმდეგ. 1515 წელს მან გაილაშქრა ალბისტანისა და მარაშის წინააღმდეგ. დაიპყრო ეს სამთავროები და ოსმალეთს შეუერთა. ამის შემდეგ სელიმმა დააპირა საქართველოს წინააღმდეგ გალაშქრებაც. ირანთან ომის შედეგად ოსმალეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში სამხრეთ კავკასიის რეგიონიდან, შევიდა დასავლეთ სომხეთის ნაწილი. ოსმალებმა დაიპყრეს სხვა პროვინციებიც. ქალაქებიდაპყრობილ ტერიტორიაზე მათ დაიწყეს სანჯაყების დაარსება და თავიანთი წესების შემოღება.[6]

ოსმალეთ-ირანის პირველი ომის დასრულება საკმაოდ კარგად აისახა 1555 წლის ამასიის ზავში, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო სამხრეთ კავკასიას.

1555 წლის 29 მაისს ამასიაში ოსმალეთსა და ირანს შორის დაიდო ზავი.[7] ამზავით დამთავრდა ოსმალეთ-ირანის პირველი ომი, რომელიც თითქმის ნახევარი

---

[6] ო. გიგინეიშვილი, ნარკვევები ოსმალეთის ისტორიიდან. თბილისი, 1982. გვ 43-58

[7] Сванидзе М.Х Амасийскй османо-иранский договор 1555 г. и закавказье. Восточное историческое источниковедение и специальные исторические дисциплины, вып.2, М,1994. გვ 77-80

საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობდა. მასში აისახა ომის პოლიტიკური და სამხედრო შედეგები სამხრეთკავკასიაში. ამ საზავო ხელშეკრულებით ოსმალეთმა და ირანმა სამხრეთკავკასიის ქვეყნები გაინაწილეს. საქართველო და სომხეთი ორად გაიყო. დასავლეთ სომხეთი ერგო ოსმალეთს, ხოლო აღმოსავლეთ სომხეთი - ირანს. ასევე დასავლეთ საქართველო და სამცხე-სათაბაგოს დასავლეთი ნაწილი ერგო ოსმალეთს,ხოლო აღმოსავლეთ საქართველო და აღმოსავლეთ მესხეთი- ირანს. ასევე ირანს დარჩა აზერბაიჯანიც, ხოლო არაბეთის ერაყი, ქალაქ ბაღდადის ჩათვლით ოსმალეთს.[8]

1578 წელს ოსმალეთსა და ირანს შორის მეორე ომი დაიწყო,რომელიც 12 წელი გაგრძელდა. 1590 წელს კი მათ შორის დაიდო ზავი სტამბულში 1590 წელს, რომლის თანახმადაც მთილნი სამხრეთ კასვკასია გადავიდა ოსმალეთის ხელში.

1603 წელს ოსმალეთ-ირანის ომი კვლავ განაახლა.ამ ომში ირანელებმა ოსმალებზე დიდი უპირატესობა მოიპოვეს სამხრეთ კავკასიაში.

ირანელებმა ოსმალებისაგან, სამხრეთკავკასისაში გაათავისუფლეს ლორე, დმანისი და თბილისი, ასევე ახალციხედანაც განდევნეს ოსმალები. სულთნის მთავრობა ცდილობდა სამხრეთკავკასიაში დაკარგული პოზიციების აღდგენას.მათ მალე დაიბრუნეს ახალციხე.

1612 წელს თურქეთს და ირანს შორის სტამბოლში მათ შორის ზავი დაიდო. ამ ზავით აღმოსავლეთ საქართველო და აღმოსავლეთ მესხეთი ირანს დარჩა, ხოლო დასავლეთ საქართველო და სამცხე-საათაბაგოს დასავლეთ ნაწილი ოსმალეთს.

ირან-ოსმალეთის საზავო ხელშეკრულებაში პირველად დაისვა ჩრდილოეთ კავკასიისა და იქ რუსეთის ყოფნის საკითხი. 1612 წლის საზავო ხელშეკრულების მიხედვით, ოსმალეთის პოზიცია უფრო ხელსაყრელი იყო 1555 წლის ამასიის ხელშეკრულებასთან შედარებით.

---

[8] მ. სვანიძე საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობების ისტორიიდან (XVI-XVII სს). თბილისი, 1971 გვ 55-60

1615 წელს ამ ორ ქვეყანას შორის ომი ისევ განახლდა. 1618 წელს ოსმალეთსა და ირანს შორის სერაფში მორიგი ზავი დაიდო. ამ ხელშეკრულებით განახლდა 1612 წლის ზავის პირობები.

1514 წელს დაწყებული ომები ოსმალეთსა და ირანს შორის, 1639 წელს დასრულდა. როგორც უკვე ავღნიშნეთ ამ ომების ერთ-ერთ მთავარი ამოცანა სამხრეთ კავკასიის ხელში ჩაგდება იყო ორივე ქვეყნისათვის. ზოჰაბის ზავით, რომელიც 1639 წელს დაიდო ორ მეომარ ქვეყანას შორის, ძირითადად დამტკიცდა 1555 წლის ამასიის ზავის პირობები. სამხრეთ კავკასიასთან მიმართებაში აქ მხოლოდ სამცხე-საათაბაგოს ვითარება შეიცვალა. ზოჰაბის საზავო ხელშეკრულებით მთლიანი სამცხე-საათაბაგო ოსმალების ხელში გადავიდა, დანარცენი ტერიტორიების სტატული სამხრეთ კავკასიაში უცვლელი დარჩა.[9]

თურქეთის ინტერესებში შედიოდა ასევე ირანისათვის ტერიტორიების წართმევა ახლო აღმოსავლეთშიც, რომელსაც ის თავისად თვლიდა. XVII საუკუნის 50-იანი წლებიდსან ოსმალეთის პოლიტიკური და ეკნომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდა, რის გამოც ის სათანადო წინაარმდეგობას უწევდა ირანს ახლო აღმოსავლეთში. სიტუაცია შეიცვალა XVIII საუკუნიდან. კერძოდ, როდესაც გააქტიურდა რუსეთი და კასპიისპირეთის დაკავებისათვის დაიწყო ბრძოლა. მან გარიგება დადო ოსმალეთთან, რითაც ტერიტორიების დიდი ნაწილიახლო აღმოსავლეთში, რომელიც ირანს ჰქონდა დაკავებული გარკვეული დროით, ოსმალეთს გადაეცა. ოსმალეთმა და რუსეთმა ამ შემთხვევაში ისარგებლეს ირანში არასტაბილური მდგომარეობით. XVIII სკ-ის 30-იანი წლებიდან კი XVIII საუკუნის ბოლომდე ძალთა თანაფარდობა ირანსა და ოსმალეთს შორის შეიცვალა, რამაც საშუალება მისცა ირანს დაებრუნებინა თავისი პოლიტიკური მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთის რეგიონში.

XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე თურქეთის საგარეო პოლიტიკაში, ირანი აქტუალურად ნაკლებადაა წარმოდგენილი. ამას ბევრი მიზეზი აქვს. ერთ-ერთი

[9] მ.სვანიძე ,თურქეთის ისტორია“.თბილისი, 2007 გვ 105-112

მიზეზი ნაპოლეონის ეგვიპტეში ლაშქრობა იყო. მეორე მიზეზი კი რუსეთ-ოსმალეთის ომების ახალი სერია, თუმც ფაქტია, რომ თურქეთს და ირანს საერთო ინტერესების სფერო კვლავ ჰქონდათ, როგორც ახლო აღმოსავლეთში, ისე სამხრეთ კავკასიის რეგიონში.

XIX საუკუნიდან კი ვითარება რადიკალურად შეიცვალა როგორც ოსმალეთის, ისე ირანისათვის. რუსეთის გააქტიურების შედეგად (ამავე დროს ამ ქვეყნებში აქტიურობდა დიდი ბრიტანეთიც და საფრანგეთიც) ოსმალეთიც და ირანიც მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ისინი მთელ რიგ ტერიტორიებს კარგავდნენ როგორც ახლო აღმოსავლეთში ასევე სამხრეთ კავკასისაში.

XIX საუკუნის დასაწყისიდან რუსეთს ომი არამარტო თურქეთთან, არამედ ირანთანაც ჰქონდა. ამ საუკუნის დასაწყისში თურქეთისა და ირანის პოლიტიკურ ცხოვრებაზე, დიდ გავლენას ახდენდნენ რუსები, ფრანგები და განსაკუთრებით ინგლისელები. XIX საუკუნის პირველ ნახევარში მიმდინარე რუსეთ-თურქეთისა და რუსეთ-ირანის მიმდინარეომების დროს ინგლისი განსაკუთრებით აქტიურობდა, რათა თურქეთი თურქეთი და ირანი გაერთიანებინა მათი იმ დროის საერთო მტრის, რუსეთის წინააღმდეგ, მაგრამ სამწუხაროდ ამ ორ ქვეყანის გაერთიანება საერთო პრინციპების გარშემო ვერ მოხერხდა, მიუხედავად იმისა, რომ ორივე მათგანისათვის საერთო ძალით რუსეთთან დაპირისპირებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რუსეთმა ამ ორივე ქვეყანას 1804-1829 წლებში სერიოზული მარცხი მიაყენა და დიდი ტერიტორიებიც დააკარგვინა. ინგლისელების იმ მცდელობის მიუხედავად, რომ თურქეთი და ირანი რუსეთის წინააღმდეგ გაერთიანებული ძალებით დაეპირისპირებინა, პირიქით ამ ორ ქვეყანას შორის გაიმართა ომი.

XIX საუკუნის 30-40-იანი წლებიდან თურქეთიც და ირანიც ევროპის დიდი ქვეყნების: რუსეთის, ინგლისის და სხვა ნახევრად-კოლონიურ ქვეყნებად იქცნენ. აქედან გამომდინარე თურქეთის აქტიურ საგარეო პლიტიკაში ირანს ნაკლები ადგილი ეკავა, თუმც თურქეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში ბევრი მნიშვნელოვანიმოვლენა მოხდა. ქვეყანაში XIX საუკუნის მანძილზე არაერთი რეფორმა გატარდა, გაიზარდა

ოსმალეთის იმპერიაში შემავალი ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობები. XIX საუკუნეში მიმდინარე რუსეთ-თურქეთის ომების სერიაში თურქეთი მარცხს მარცხზე განიცდიდა და ტერიტორიებს კარგავდა. ამასთან, ისიც აღსანიშნავია, რომ, XIX საუკუნის 70-იანი წლების დასასრულს (1876 წელი) თურქეთში მიიღეს პირველი კონსტიტუცია და შეიქმნაკონსტიტუციური მონარქია.

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში თურქეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში ასპარეზზე გამოვიდნენ ახალგაზრდა თურქები, რომელთაც შეცვალეს თურქეთის პოლიტიკური ვექტორი. მათი ძალისხმევით ამოქმედდა თურქეთის კონსტიტუცია. მსოფლიოში და კონკრეტულად ახლო აღმოსავლეთში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე თირქეთის საგარეო პოლიტიკაში ირანს ნაკლებ აქტიური როლი ჰქონდა. ეს ის პერიოდია, როდესაც I მსოფიო ომის დასაწყისისთვის იქმნებოდა ბლოკები. ამასთანავე ოსმალეთის იმპერიაში შემავალი ხალხების ეროვნულ-განმატავისუფლებელი მოძრაობა სულ უფრო ინტენსიურ ხასიათს იღებდა. შესაბამისად ასეთ ვითარებაში ოსმალეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკაში ბუნებრივია ირანს თავისი ადგილი ჰქონდა, მაგრამ თურქეთის ყურადღება ძირითადად მაინც მის იმპერიაში შემავალი არათურქი ხალხების აქტიურობისკენ იყო მიმართული, რომელთა ქმედებების შედეგად ოსმალეთის იმპერია სულ უფრო მეტ ტერიტორიებს კარგავდა. I მსოფლიო ომი საკმაოდ მძიმედ აისახა, როგორც ოსმალეთზე ასევე ირანზე. ამ უკანასკნელმა მართალია ნეიტრალიტეტი გამოაცხადა, მაგრამ ირანის ტერიტორიაზე საომარი ოპერაციები მაინც მიმდინარეობდა. რაც შეეხება ოსმალეთს ის, როგორც სამტაკავშირის წევრი უშუალოდ მონაწილეობდა ომში. ეს ომი უმძიმესი აღმოჩნდა ამ იმპერიისათვის. I მსოფლიო ომის შედეგად იმპერიამ დაასრულა არსებობა, იმპერია დაიშალა.

თავი II

თურქეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში

2.1 სეკულარული თურქეთისა და ფეჰლევიანთა ირანის ურთიერთობები.

მუსტაფა ქემალმა მიზნად დაისახა სასულთნოს გაუქმება და რესპუბლიკური წყობილების დამყარება. 1921-1922 წლებში მუსტაფა ქემალ ფაშას ხელმძღვანელობით ქემალისტებმა დიდ გამარჯვებებს მიაღწიეს ინტერვენტების წინააღმდეგ ომში. 1922 წლის 1 ნოემბეს გაუქმდა სულთნის საერო ხელისუფლება.

ოსმალეთის იმპერიის უკანასკნელი სულთანი მეჰმედ VI გაიქცა თურქეთიდან, მეორე დღეს, 18 ნოემბერს, უფლისწული აბდულ-მეჯიდი აირჩიეს ,,ყველა მუსლიმთა ხალიფად“.13 ოქტომბერს ანკარა გამოცხადდა თურქეთის დედაქალაქად, ხოლო 1923 წლის 29 რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ გასაუქმებელი რჩებოდა ოსმალეთის იმპერიის სახელმწიფო წყობილების უკანასკნელი ბურჯი - სახალიფო. 1924 წლის 3 მარტს გაუქმდა სახალიფო. საბოლოოდ გაუქმდა ოსმალეთის სულთნის, როგორც საერო ისე სასულიერო ხელისუფლება და თურქეთში რესპუბლიკური წყობილება დამყარდა, დაიწყო ახალი ერა თრქეთის ისტორიაში. თურქეთის რესპუბლიკად გამოცხადების შემდეგ, ათათურქმა მთელი რიგირ რეფორმები გაატარა ქვეყანაში.რეფორმები ყველა მიმართულებას შეეხო, შემოღებულ იქნა, ევროპული წელთ აღრიცხვა. აიკრძალამუსლიმური ტანსაცმლი ტარება. მიიღეს სამოქალაქო კოდექსები. ისლამი აღარ იყო თურქეთის სახელმწიფო რელიგია. მნიშვნელოვანი რეფორმები გატარდა განათლების სფეროშიც. [10]

თურქეთსა და ირანს ერთმანეთთან საუკუნეების მანძილზე მჭიდრო ურთიერთობები გააჩნდათ, მათ შორის ხშირი იყო დაპირისპირება, თუმცა ამის

[10] Davutoglu, 2012 – Davutoglu A., Principles of Turkish Foreign Policy and Regional Political Structuring, SAM Vision Papers (No. 3, April) გვ 89-100

მიუხედავად, დრო და დრო დადებითი ტენდენციებიც შეინიშნებოდა. XX საუკუნის 20-30-იანი წლები ორი აღმოსავლური ქვეყნის ურთიერთობების ისტორიაში მეტად მნიშვნელოვანია, რადგან ამ პერიოდში მოგვარდა თურქეთ-ირანის სასაზღვრო პრობლემა და მათ შორის დამყარდა მეგობრული და დიპლომატიური ურთიერთობა.[11]

სახალხო ბრძოლის წლებში ანკარა მუსლიმ მეზობლებთან ირანთან და ავღანეთთან პოლიტიკურ ურთიერთობებში შევიდა. თურქეთსა და ირანს შორის დიპლომატიური ურთიერთობები 1921 წლიდან დაიწყო, როცა ირანის პირველი საგანგებო ელჩი ანკარაში ჩავიდა. ირანის დელეგაციას მუქადენის უბანში 5-6 ოთახიანი შენობა გამოუყვეს. სახალხო მთავრობის მხრიდან კი ირანის ელჩად, თურქეთის აღმოსავლეთ პოლიტიკის კარგად მცოდნე და ამასთანავე ათათურქის სანდო და საყვარელი დიპლომატი, მემდუჰ შევქეთ ესენდალი გაგზავნეს. მემდუჰ შევქეთმა თეირანში ყველაზე კრიტიკულ დროს იღვაწა, შემდეგ კი იგი ავღანეთში, ქაბულში მიავლინეს.[12]

თურქეთსა და ირანს შორის XX საუკუნის დასაწყისში უკვე იკვეთებოდა მისწრაფება ურთიერთპარტნიორობისა და მეგობრობისკენ. 1922 წლის 7 ივლისს, რუსეთის ელჩის არალოვის მიერ გამართულ, ირანის ელჩისადმი მიძღვნილ საღამოზე მუსტაფა ქემალ ათათურქმა, რომელიც აგრეთვე ესწრებოდა წვეულებას, სიტყვით გამოსვლისას შეეხო ირანთან ურთიერთობების საკითხსაც და გამოთქვა სურვილი ორი ქვეყნის მჭიდროდ დაახლოებისა და მეგობრობის შესახებ. 1923 წლის დეკემბერში თურქეთმა ირანის მთავრობას გაუგზავნა ნოტა, რომელშიც ნათქვამი იყო რომ თურქეთში ირანელების მიმართ აღარ იქნებოდა გამოყენებული სიტყვა: " acem ", ამის საპასუხოდ ირანის მთავრობამ ჟურნალ გაზეთებზე ოსმალეთის ნაცვლად თურქეთის რესპუბლიკით ჩანაცვლების განკარგულება გასცა. 1925 წელს კი ორივე ქვეყნის მედია ერთმანეთის საწინააღმდეგო და დამამცირებელი სახის სტატიების გამოქვეყნებას თავს არიდებდა. ამ დადებითი ტენდენციების მიუხედავავდ, ირანსა

[11] ე. მაკარაძე, თურქეთის ისტორია 1918-2018 წლები. თბილისი, 2019. გვ 135-139
[12] მ. სვანიძე , ქემალისტური რევოლუცია, ,,ახალი ხიდი“, 2003 N4 გვ 418-419

და თურქეთს შორის არსებობდა მნიშვნელოვანი უთანხმოებანი, რომელთა შორის უმთავრესი იყო საზღვრების საკითხი. მაზჰაბებს შორის დაპირისპირება და ქურთების თემა აგრეთვე მნიშვნელოვან აპექტებს წარმოადგენდა.

თურქეთ - ირანის ქურთებით დასახლებულ სასაზღვრო რაიონებში მღელვარება და დაძაბულობა ორ ქვეყანას შორის უთანხმოების მიზეზად რჩებოდა. მეოცე საუკუნიდან სასზღვრო რაიონებში მცხოვრებ ქურთ ტომებში ნაციონალისტური იდეები გავრცელდა, სევრის შეთანხმებით ქურთებს გარკვეულ უფლებებს დაპირდნენ, მაგრამ თურქების სახალხო ბრძოლის შედეგებმა სევრის ხელშეკრულება გაანადგურა, ლოზანის კონფერენციაზე 1923 წლის 23 იანვარს ისმეთ ინონუს მიერ, ქურთების საკითხის შესახებ წარმოთქმული სიტყვის გავლენით, ლოზანის შეთანხმებაში აღარ შეიტანეს ის მუხლი, რომელიც ქურთების საკითხს ეხებოდა, შესაბამისად, ლოზანის კონფერენციის შემდეგ გახშირდა სასაზღვრო რაიონებში ქურთების აჯანყებები, რაც ირანსა და თურქეთს შორის დაპირისპირებას იწვევდა.

1925 წლის აპრილში ირანში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. ყაჯარების დინასტია დაემხო და მის მაგივრად ფეჰლევების ოჯახი გაბატონდა, რითაც ირან-თურქეთის ურთიერთობებში ახალი ხანა დაიწყო. ორივე სახელმწიფოს ლიდერს სურდათ მოეგვარებინათ საზღვრების საკითხი და დაემყარებინათ ქვეყნებს შორის მეგობრული ურთიერთობები. მუსტაფა ქემალსა და რეზა ფეჰლევს ერთმანეთის მიმართ კარგი დამოკიდებულება ჰქონდათ. მუსტაფა ქემალის მიერ გატარებულმა რეფორმებმა დიდი გავლენა იქონია რეზა შაჰზე, მუსტაფა ქემალის მაგალითზე დაყრდნობით, შაჰს ირანში ძირფესვიანი რეფორმების გატარება და ქვეყნის მოდერნიზება სურდა. რეზა ფეჰლევს ერთხანს რესპუბლიკური რეჟიმის დამყარებაც კი უფიქრია, მაგრამ რადგანაც საზოგადოებას მონარქიული მმართველობის გაგრძელების მომხრე იყო ეს იდეა უგულვებელყოფილ იქნა. მუსტაფა ქემალმა რეზა ფეჰლევის გვირგვინის დადგმის ცერემონიალზე დელეგაცია გაგზავნა და შაჰს ძვირფასი ქვებით მორთული ხმალი უსახსოვრა. აგრეთვე მუსტაფა ქემალმა, იმის

საჩვენებლად, თუ რამხელა მნიშვნელობას ანიჭებდა ირანის ახალ მთავრობასთან თანამშრომლობას, მისი უახლოესი მეგობარი და სახალხო ბრძოლაში მისი თანამებრძოლი ჰუსრევ ჯერედი თეირანის ელჩად დანიშნა. საზღვრების საკითხის მოგვარებისა და პარტნიორობის დასამყარებლად 1926 წლის 22 აპრილს თეირანში ორ ქვეყანას შორის მეგობრობისა და ნდობის ხელშეკრულებას მოეწერა ხელი. ეს შეთანხმება 22 მაისს დაამტკიცეს, შეთანხმების 11 პუნქტი ხელმოწერიდან 5 წლის ვადით მოქმედად მიიღეს. 1928 წლის ივნისში 1926 წლის შეთანხმების დამატებით პროტოკოლს მოაწერეს ხელი. თუმცა ორ ქვეყანას შორის საზღვრების საკითხი ამ ხელშეკრულებით მაინც არ მოგვარებულა, მხარეებმა არ შეასრულეს ნაკისრი ვალდებულებები . ირანი ისევ განაგრძობდა ირიბად ქურთი აჯანყებულების დახმარებას, ისევ მწვავედ დარჩა მიგრანტების პრობლემა. ირანის საზღვრიდან მოსული მიგრანტები თურქეთის მთავრობამ ისევ უკან გააბრუნა. აგრეთვე მეორდებოდა სასაზღვრო დარღვევები. 1928 წელს საზღვრების დარღვევების მომრავლებული ფაქტების აღსაკვეთად თურქეთისა და იარანის ხელისუფლებები გამოსავალს ეძებდნენ. ნათელი იყო, რომ სასაზღვრო საკითხი ერთბაშად ვერ მოგვარდებოდა და იგი რამდენიმე წელს გაგრძელდებოდა. 1929 წელს გამიჯვნისა და სასაზღვრო კომისიის სათავეში თურქეთის მხრიდან ყოფილი რუსეთის ელჩი ნურეთინ ფერუჰ ბეი ჩააყენეს. სასაზღვრო საკითხების მოგვარების თემაზე 1932 წელს თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი თევქიფ რიშთუ თეირანს ესტუმრა, რითაც სასაზღვრო საკითხებზე მოლაპარაკებები ისევ განახლდა.

1931 წლიდან თურქეთ ირანის ურთიერთობებს გამოკეთება დაეტყო. 1932 წლის 23 იანვარს, თურქეთსა და ირანს შორის სასაზღვრო ხაზის განსაზღვრის, შერიგების და რეგულირების მეორე შეთანხმებას თეირანში მოეწერა ხელი. ამ ხელშეკრულებით არარატის მთის სასაზღვრო რაიონში გარკვეული ცვლილებები განხორციელდა, კერძოდ კი, თურქეთსა და ირანს შორის მოხდა გაცვლა დღევანდელი ვანის ილჩეში შემავალი სარაის მიწების მოპირდაპირე მხარეს მდებარე ქოთურის დაბა თურქეთის რესპუბლიკის მხარემ ირანს გადასცა, ხოლო მცირე არარატის მთა თურქეთის

სასაზღვრო ზონაში მოექცა. დღევანდელ აღმოსავლეთ ბაიაზიდის ილჩეში მდებარე მცირე არარატის მთის აღმოსავლეთ ფერდობზე თურქეთ ირანის საზღვარი გადის. თეირანის ხელშეკრულების შემდეგ 1932 წლის 5 ნოემბერს ანკარაში ახალ მეგობრობისა და ნდობის ხელშეკრულებას მოეწერა ხელი. 1932 წლის 5 ნოემბერს მეგობრობის ხელშეკრულების შემდეგ, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები დადებითი კუთხით წარიმართა. ეს ურთიერთობა მუსტაფა ქემალის მიერ შაჰი რეზას თურქეთში მიწვევით და შაჰის თანხმობით კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა.

1934 წლის 10 ივნისს შაჰი რეზა, ირანის პრემიერ მინისტრის, სამი არმიის მეთაურის და მაღალი რანგის პირებისგან შემდგარი ოცკაციანი დელეგაციით გურბულლის საზღვრიდან თურქეთში შევიდა. 16 ივნისს შაჰი ანკარაში ჩავიდა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ შაჰ რეზა ფეჰლევისთვის ეს პირველი ვიზიტი იყო უცხოეთში. რეზა შაჰს თურქი ხალხი და ათათურქი ძალიან თბილად დახვდნენ. მის პატივსაცემად მოეწყო სპეციალური ჩვენება, სადაც ფირდოუსისს "შაჰნამე " წარმოადგინეს. რეზა ფეჰლევს თურქეთში სტუმრობისას მრავალი საჩუქარი გადასცეს. ამ საჩუქრებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი კაიზერის ფაბრიკის მიერ წარმოებული თვითმფრინავი იყო. ამას გარდა, შაჰ რეზას სტუმრობა რომ უფრო დასამახსოვრებელი გაეხადათ, ზარაფხანაში 150 ცალი მედალი დააბეჭდინეს. მედლის ერთ მხარეზე მუსტაფა ქემალის სახე იყო გამოსახული, მეორე მხარეზე კი რეზა ფეჰლევის. გამოსახულებების ქვემოთ კი წარწერა იყო ამოტვიფრული "ირანის შაჰინშაჰის რეზა ფეჰლევს,[13] თურქეთის რესპუბლიკის მთავარსარდალ, ღაზი მუსტაფა ქემალ სტუმრობის სამახსოვროდ". ეს წინადადება მუსტაფა ქემალის გამოსახულების ქვემოთ თურქულად ეწერა, ხოლო რეზა ფეჰლევის სურათის ქვემოთ კი სპარსულად. მედლებიდან ერთ-ერთი ოქროსი იყო. დანარჩენები კი ვერცხლისა და ბრინჯაოსი. ოქროს მედალი რეზა ფეჰლევს გადასცეს დანარჩენები კი მის მხლებლებს. მუსტაფა ქემალთან საუბრის დროს, რეზა შაჰმა გამოთქვა სურვილი, რომ თურქეთის მხრიდან

[13] Chani, Cyrus. Iran and the Rise of Reza Shah. From Qajar Collapse to Pahlavi Rule. London- New Yourk: I.B. Tauris, 1998 გვ 65-67

ირანის ელჩი შეეცვალათ, მუსტაფა ქემალი დაეთანხმა ამ თხოვნას და რეზა ფეჰლევს ახალ ელჩად მეჰმედ ენისე გააყოლა. მეჰმედ ენისემ ბაქოში შეკრებილი თურქეთ ირანის მუდმივი სასაზღვრო კომისიის მიერ მომზადებულ პროტოკოლის პროექტს მოაწერა ხელი. აგრეთვე ირანის საზღვარზე წარმოქმნილი კონფლიქტის მოსაგვარებლად მომზადებულ პროტოკოლში, მეჰმედ ენისემ გარკვეული ცვლილებები განახორციელა 1936 წელს.

თურქეთ-ირანს შორის სასაზღვრო პრობლემა 1926 წლიდან 1937 წლამდე გაგრძელდა. სხვადა სხვა დროს სხვადასხვა ადგილას ხდებოდა სასაზღვრო დარღვევები, თუმცა, 1937 წლის 8 ივლისს თურქეთს, ირანს, ერაყასა და ავღანეთს შორის, თეირანში, საადაბადის სასახლეში ხელი მოეწერა, ოთხ ქვეყანას შორის თავდაუსხმელობის შეთანხმებას, რომელიც ისტორიაში შესულია საადაბადის პაქტის სახელით. ეს პაქტი ავღანეთის შაჰის მუჰამედ ზაჰირის ინიციატივა იყო. მისი გაფორმების მთავრი ამოცანა იყო სასაზღვრო პრობლემების მოგვარება. პაქტის ყველა წევრ ქვეუანას ირანთან ჰქონდა სასაზღვრო პრობლემა. აგრეთვე მნიშვნელოვანი პრობლემა იყო ირანის თურქეთისა და ერაყის სასაზღვრო რაიონებში ქურთების აჯანყებები. პაქტის დადების ერთ ერთი მთავარი მიზეზი იყო მასში შემავალი ქვეყნების მიერ ერთმანეთის სუვერენიტეტის მკაფიო აღიარება. კოლონიზაციას გადარჩენილ ამ ქვეყნებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო მათი დამოუკიდებლობის მკაფიოდ განსაზღვრა. პაქტის წევრებს ევალებოდათ: ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობა, საერთო მნიშვნელობის საკითხებზე ერთმანეთთან კონსულტაციები და საზღვრების დაცვის საკითხებში ერთმანეთის პატივისცემა. საადაბადის პაქტით მხარეებს ეკრძალებოდათ: პოლიტიკური რეჟიმების მოშლის სურვილით შეიარაღებული პარტიზანული ორგანიზაციების თუ გაერთიანებების ფორმირება, ერთმანეთზე თავდასხმა, ერთმანეთს შორის წესრიგისა თუ ნდობოს შერყევა. როგროც ზემოთ ავღნიშნეთ, პაქტის დადების უმთავრესი მიზეზი ქურთი ტომების საკითხი იყო, საადაბადის პაქტის მეშვიდე, საიდუმლო პუნქტი, სწორედ ქურთების საკითხს ეხება. სადაბადის პაქტის რატიფიკაცია 1938 წლის 25 ივნისს მოხდა და იგი 5 წლის

ვადით დაამტკიცეს. საადაბადის პაქტს ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, პირველ რიგში, იგი იყო თანამედროვე ცენტრალური აღმოსავლეთის პირველი რეგიონალური მნიშვნელობის პაქტი, რომლის მეშვეობით თურქეთსა და ირანს შორის საზღვრების პრობლემა ძირითადად გადაწყდა. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში მეშვიდე საიდუმლო პუნქტის გარდა ყველა პუნქტი უფუნქციო გახდა, ხოლო 1979 წლის ირანულმა მთავრობამ მხარეებს მიანიშნა პაქტის ანულირების შესახებ.

ათათურქისა და რეზა ფეჰლევის მოღვაწეობის პერიოდი ირანისა და თურქეთის ურთიერთობების ისტორიაში ძალიან მნიშვნელოვანი და ღირებულია. საზღვრების საკითხის გადაჭრით, ორი ქვეყანა ერთმანეთის მეგობარი და მხარდამჭერი გახდა. ისინი ერთმანეთს პარტნიორობას უწევდენ მრავალ კულტურულ თუ პოლიტიკურ საკითხში. ეს პერიოდი საინტერესო და მნიშვნელოვანია იმით, რომ დღევანდელი ირან-თურქეთის საზღვარი სწორედ განხილულ პერიოდში დაზუსტდა.

XX საუკუნის 50-იან წლებში დასავლეთის სახელმწიფოები მიისწრაფოდნენ თურქეთი გამოეყენებინათ ახლო და შუა აღმოსავლეთში თავიანთი მიზნების განსახორციელებლად. 1951 წლის 10 ნოემბერს აშშ-ის, ინგლისის, საფრანგეთისა და თურქეთის მთავრობებმა მიმართეს არაბულ სახელმწიფოებსა და ისრაელს მოწოდებით მონაწილეობა მიეღოთ ,,ახლო აღმოსავლეთის სამხედრო სარდლობის“ შექმნაში. მაგრამ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების უმრავლესობამ მხარი არ დაუჭირა ამ პროექტს და იგი ჩაიშალა. 1950 წელს თურქეთის მთავრობამ აშშ-სთან, ინგლისთან და საფრანგეთთან ერთად შეიმუშავეს ,,ხმელთაშუა ზღვის სარდლობის“ შექმნის გეგმა, მაგრამ მის წინააღმდეგ გამოვიდნენ არაბული სახელმწიფოები და ეს პროექტიც ჩაიშალა. 1951 წლის მაისში აშშ-მა მისცა რეკომენდაცია თურქეთს შესულიყო ჩრდილოეთ ატლანტიკის სამხედრო ბლოკში.იმავე წლის ოქტომბერში ლონდონში ხელი მოაწერეს ოქმს თურქეთის ნატოში მიღების შესახებ. 1952 წლის 18 თებერვალს თურქეთის მეჯლისმა მოახდინა ნატოში შესვლის ხელშეკრულების რატიფიკაცია.

ნატოში შესვლის შემდეგ თურქეთი აქტიურად მონაწილეობდა აშშ-ისა და ინგლისის ინიციატივით შედგენილ სამხედრო ბლოკებში.

1954 წელს აპრილში, კარაჩიში ხელი მოაწერეს თურქეთ-პაკისტანის ხელშეკრულებას, ხოლო 1955 წლის თებერვალში - თურქეთ-ერაყის ხელშეკრულებას ურთიერთთანამშრომლობის შესახებ. ეს ხელშეკრულება მიზნად ისახავდა ერაყი ჩაება არა მარტო თურქეთთან, არამედ თურქეთ-პაკისტანის ხელშეკრულებასთან. ეს კავშირი უნდა ყოფილიყო ზეწოლის იარაღი არა მარტო არაბულ სახელმწიფოებზე, არამედ ირანსა და ავღანეთზე. თურქეთისა და პაკისტანის მთავრობებმა წინადადებით მიმართეს არაბულ სახელმწიფოებს, ირანსა და ავრანეთს შეერთებოდნენ ზთურქეთ-პაკისტნის ხელშეკრულებას. ამ ქვეყნებიდან მხოლოდ ირანმა გამოთქვა სურვილი შეერთებოდა ამ პაქტს.1955 წლის ნოემბერში ბაღდადში ჩატარდა თურქეთის, ერაყის, ირანისა და პაკისტანის და ინგლისის პრემიერ-მინისტრების შეხვედრა, რომელზედაც გაფორმდა სამხედრო ბლოკის - ბაღდადის პაქტის შექმნა. ბაღდადის პაქტი გახდა ნატოს ახლო აღმოსავლეთის ფილიალი. ბაღდადის პაქტი არის 1955 წელს გაფორმებული ხელშეკრულება თურქეთს, ირანს ,ერაყს, დიდ ბრიტანეთს და პაკისტანს შორის.ეს პაქტი წარმოადგენდა თავდაცვით ორგანიზაციას და დაფუძნებული იყო სამხედრო და ეკონომიკურ მიზნებზე. ჩრდილოა-ტლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ხელშეკრულების ორგანიზაციის მსგავსად,ბაღდადის პაქტის მთავარი მიზანი იყო,კომუნისტური თავდასხმების თავიდან აცილება და ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარება.

1958 წელს ერაყში მოხდა რევოლუცია,რის შედეგადაც დაემხო მონარქია და ერაყი გახდა რესპუბლიკა. ამის შემდეგ ერაყის ახალმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა გამოსულიყო ბაღდადის პაქტიდან,რომელიც მისთვის არ იყო ხელსაყრელი სამხედრო-პოლიტიკური გაერთიანება.

1959 წელს მას ეწოდა ცენტრალური ხელშეკრულების ორგანიზაცია ანუ CENTO,მას შემდეგ რაც ერაყმა დატოვა პაქტი.

1950-იანი წლების დასაწყისში შეერთებული შტატების მთავრობა გამოხატავდა ინტერესს შეექმნა ახლო აღმოსავლეთის ბლოკი,რათა რეგიონი დაეცვა კომუნისტთა ხელყოფისაგან და საბჭოთა კავშირის გავლენისაგან,რადგანაც 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან რეგიონში გაიზარდა აშშ-ს გავლენა,რომელმაც დიდი ბრიტანეთი ჩაანაცვლა.აშშ-ს სურვილი იყო ახლო აღმოსავლეთის რეგიონში სსრკ-ს პოლიტიკური გავლენა შეესუსტებინა და ის ამისთვის სხვადასხვა ღონისძიებებს მიმართავდა და ერთერთი მათგანი იყო „ბაღდადის პაქტი".რეგიონში მიმდინარე ზოგიერთ დაძაბულობას ,როგორიცაა არაბულ ქვეყნებსა და ისრაელს შორის კონფლიქტი და ეგვიპტის ხელმძღვანლობით ანტი-კოლონიალისტური პოლიტიკა,ეს პრობლემები ამ ალიანსს უნდა მოეწესრიგებინა და ყოფილიყო რეგიონში აშშ-ს ძლიერი სამხედრო-პოლიტიკური დასაყრდენი. ფაქტია რომ აშშ-მ თავისი ყურადღება ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე დაძაბული პოლიტიკური ვითარების ფონზე, უფრო შორს გადაიტანა რაც გულისხმობდა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის საზღვრების ჩამოყალიბებას.ის ფიქრობდა,რომ ახლო აღმოსავლეთში არსებული პრობლემები,მათ შორის,ისეთები როგორიცაა საზღვრების პრობლემა უფრო მარტივად უნდა მოგვარებულიყო ბაღდადის პაქტში შემავალი ქვეყნების მეშვეობით.ბაღდადის პაქტის იდეა იყო, რომ ის დააკავშირებდა სამხრეთ-აღმოსავლეთის ქვეყნებს ნატოსთან, თურქეთთან, სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის კოლექტიური უსაფრთხოების საერთაშორისო ორგანიზაციასთან და პაკისტანთან.

აღნიშნული ორგანიზაციის ჩამოყალიბება ერთბაშად არ მომხდარა.ის ასე დაიწყო; ჯერ თურქეთმა და პაკისთანმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას 1954 წელს,რეგიონში უსაფრთხოების და სტაბილურობის გაზრდის მიზნით,შემდეგ 1955 წლის თებერვალში თურქეთმა და ერაყმა ხელი მოაწერეს „ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმებას" ბაღდადში რომლის მიხედვითაც ისინი წინააღმდეგობას გაუწევდნენ აგრესიას. აპრილში გაერთიანებულმა სამეფომ გამოაცხადა რომ დაიცავდა კონტრაქტის პირობებს და მას მიჰყვა პაკისტანი და საბოლოოდ ირანიც. იორდანიის მეფე განიხილავდა რომ შეერთებოდა აღნიშნულ

ბაღდადის პაქტს, მაგრამ მან ვერ შეძლო მასში გაწევრიანება,რადგან მისი და პაქტის პოზიციები არ ემთხვეოდა ერთმანეთს.

აშშ-მ ხელი მოაწერა ინდივიდუალურ ხელშეკრულებას პაქტის წევრ ყველა ქვეყანასთან, მაგრამ ის ფორმალურად არ შეერთებია ამ ორგანიზაციას.მიუხედავად ამისა მან მონაწილეობა მიიღო ბაღდადის პაქტის კომიტეტის სხდომებში და იგი იყო ასევე როგორც დამკვირვებელი.

წლების განმავლობაში განვითარებულ მოვლენებს ახლო აღმოსავლეთში მოჰყვა პაქტის შესუსტება.1956 წელს ეგვიპტის ლიდერმა გამალ აბდ ალ ნასერმა მოახდინა სუეცის არხის ნაციონალიზაცია (1956წ.).

ისრაელი გამოეხმაურა სინაის ნახევარკუნძულზე ბრიტანეთისა და საფრანგეთის ძალების ჩარევას.ინციდენტის შედეგად რეგიონში ბრიტანეთის პრესტიჟი შეილახა და ამან ინგლისს ლიდერის პოზიციებიც დაათმობინა პაქტში.

1958 წლის მოვლენების სერია,რომელიც მოიცავდა ეგვიპტე-სირიის კავშირს,მათ გაერთიანებას ერთიან არაბულ სახელმწიფოდ,ერაყის რევოლუციას და ლიბანის სამოქალაქო არეულობას,საფრთხეს უქმნიდა რეგიონში სტაბილურობის შენარჩუნებას.[14]

1959 წელს ერაყმა განაცხადა რომ სურდა პაქტის დატოვება და ამის გამო ბაღდადის პაქტის რეიტინგი რეგიონში კიდევ უფრო დაეცა.ის თავს ვეღარ ართმევდა გამკლავებოდა რეგიონში არსებულ რთულ პოლიტიკურ ვითარებას.1959 წელს ერაყმა ბაღდადის პაქტი დატოვა. ბაღდადის პაქტის სხვა ხელმომწერებმა შექმნეს ცენტრალური ხელშეკრულების ორგანიზაცია CENTO.მიუხედავად იმისა რომ,აშშ ჯერ კიდევ არ იყო ორგანიზაციის წევრი ხელი მოაწერა ორმხრივ დახმარების ხელშეკრულებებს პაკისტანთან,ირანთან და თურქეთთან რითაც უზრუნველყო ის, რომ იგი აქტიურია და გააგრძელებს წევრების მხარდაჭერას.

[14] ტ. ლებანიძე., თურქეთის შიდა პოლიტიკა 1945-1980 წლებში და პოლიტიკური პარტიები, თბილისი, 2003 გვ 55-65

CENTO არასდროს არ ყოფილა თავის წევრების კოლექტიური დაცვის გარანტია.ბაღდადის პაქტიდან ერაყის გასვლის შემდეგ, CENTO-ს ცენტრმა გადაინაცვლა ანკარაში,თურქეთში და ამერიკამ განაგრძო ორგანიზაციის მხარდაჭერა როგორც ასოციაციის და არა როგორც CENTO-ს წევრმა. CENTO-ს არადროს შეუქმნია მუდმივი შეიარაღებული ძალები მაგრამ ამერიკა მას ამ მხრივ დახმარებას უწევდა.ეიზენჰაუერის ადმინისტრაციის დასასრულს ნათელი გახდა CENTO-ს წევრებისთვის რომ ორგანიზაცია უფრო ეფექტური იყო ეკონომიკური და ტექნიკური თანამშრომლობისთვის ვიდრე როგორც სამხედრო ალიანსი. CENTO 1979 წელს ოფიციალურად დაიშალა.[15] ბაღდადის პაქტში თურქეთისა და ირანის ერთობლივი თანაარსებობა მიუხედავად მათი განსხვავებული პოლიტიკური ხედვებისა მაინც მნიშვნელოვანი მოვლენაა.ერთ სამხედრო ორგანიზაციაში მათი წევრობა იმაზე მიუთითებდა,რომ თურქეთმა და ირანმა შეძლეს საერთო ენის გამონახვა.ამ ქვეყნებმა პაქტში და შემდგომ CENTO-ში ერთად კარგა ხანს დაჰყვეს. 1958 წლის იანვარში, ერაყში მომხდარი რევოლუციის შედეგად, ერაყი გამოვიდა ბაღდადის პაქტის შემადგენლობიდან. ამის გამო ბაღდადის პაქტს შეეცვალა სახელწოდება და უწოდეს სენტო (ახლო აღმოსავლეთის სამხედრო სარდლობა). 1979 წელს სენტოდან პაკისტანისა და ირანის გამოსვლის შემდეგ ამ ორგანიზაციამ შეწყვიტა არსებობა. თურქეთმა მონაწილეობა მიიღო ყველა იმ აქციაში, რომლებიც მოაწყეს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების წინააღმდეგდასავლეთის სახელმწიფოებმა. 1956 წლის ივლისში თურქეთმა გაილაშქრა ეგვიპტის მიერ სუეცის არხის ნაციონალიზაციის წინააღმდეგ და მხარი დაუჭირა ინგლის-საფრანგეთ-ისრაელის ომს ეგვიპტის წინააღმდეგ 1956 წლის შემოდგომაზე. 1958 წელს თურქეთმა მხარი დაუჭირა ინგლის ამერიკის ინტერვენციას ლიბანისა და იორდანიის წინააღმდეგ.

ამ პერიოდში (50-იანი წლები) გრძელდებოდა აშშ-ს ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენა თურქეთზე. ეს ხორციელდებოდა სამხედრო, ეკონომიკური და

[15]The Baghdad Pact (1955) and the Central Treaty Organization (CENTO). გვ.1. https://2001-2009.state.gov/r/pa/ho/time/lw/98683.htm

ტექნიკური დახმარების გზით. თურქეთმა აგრეთვე მიიღო დახმარება და კრედიტები განვითარებისა და რეკონსტრუქციის საერთაშორისო ბანკისაგან, ექსპორტ-იმპორტის ბანკისაგან და საერთაშორისო ვალუტის ფონდისაგან. მას შემდეგ რაც თურქეთი შევიდა ნატოში აშშ-ის დახმარება კიდევ უფრო გაიზარდა.თურქეთის მიერ აშშ-საგან დახმარების მიღების შემდეგ, ამერიკის მთავრობამ თურქეთში გაგზავნა სხვადასხვა სამხედრო და სამოქალაქო მისიები, მრჩევლები და ექსპერტები, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ სამხედრო ბაზების მშენებლობებს და ასევე თურქეთის არმიის შეიარაღებას.[16]

1960 წლის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, ფაქტობრივად, თურქეთის საგარეო პოლიტიკის კურსი არ შეცვლილა. იგი განაგრძობდა დასავლეთის ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობას და სამხედრო ბლოკებში (ნატო, სენტო) მონაწილეობას. ამავე დროს თურქეთმა ერთგვარად გააფართოვა თანამშრომლობა საბჭოთა კავშირთან და სოციალისტურ სახელწიფოებთან. 70-იან წლებში თურქეთის საგარეო პოლიტიკის კურსი, ფაქტობრივად , არ შეცვლილა. იგი განაგრძობდა დასავლეტის ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობას და სამხედრო გაერთიანებებში (ნატო, სენტო) მონაწილეობას.ამავე დროს თურქეთის რესპუბლიკამ ერთგვარად გააფართოვა თანამშრომლობა საბჭოთა კავშირთან და სოციალისტურ სახელმწიფოებთან. ამ პერიოდში განსაკუთრებით დაიძაბა ვითარება კვიპროსის საკითხებთან დაკავშირებით.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო იდეოლოგიაში ლაიციზმი გადამწყვეტ როლს ასრულებდა, ქვეყანაში ისლამურმა მოძრაობამ 80-იან წლებში ხალხთა მასების ფართო მხრდაჭერა მოიპოვა. 1986 წელს ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის თანახმად, ხუთი თურქი მოქალაქიდან სამი თავს მორწმუნედ მიიჩნევდა, ყოველი

[16] მ. სვანიძე., თურქეთის ისტორია, (1923-2000). ტ. III, თბილისი, 2005. გვ 75-89

მეოთხე ყოველდღიურად ასრულებდა ნამაზს,[17] 18% მტკიცედ მისდევდა შარიათის[18] ნორმებს, 60,8% რეგულარულად იცავდა მარხვას, 62% მსხვერპლს სწირავდა, ხოლო 71%-ს ბედისწერის რწმენა ჰქონდა. რელიგიური სწავლების სისტემის გაფართოებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ჯერ კიდევ 1987 წელს თურქეთში ფუნქციონირებდა ყურანის შემსწავლელი 3900 კურსი და იმამჰათიბების 716 სკოლა 230000 მსმენელით.

თურქეთში ისლამური მოძრაობის გაძლიერებას ხელი შეუწყო ირანის პოლიტიკამაც, რომელიც თურქეთს ისლამური რევოლუციის ექსპორტის ერთ-ერთ ობიექტად განიხილავდა. ირანის მმართველი სასულიერო პირების ჩანაფიქრით, ,,ისლამური რევოლუციის ექსპორტს“ თურქეთში უნდა ჩამოეყალიბებინა ფართო პროისლამური ოპოზიცია, რომელიც შეძლებდა გავლენის მოხდენას თურქეთის სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე, რაც, თავის მხრივ, გამოიწვევდა სახელმწიფოს გარდაქმნას რელიგიურ პრინციპებზე. ამ მიზნით, ირანის ხელისუფლებამ გააძლიერა იდეოლოგიური ზეწოლა თურქეთის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილზე. ამ კამპანიაში ჩაერთო ირანის პროპაგანდისტული ცენტრებიც. ირანის ხელისუფალთა აზრით, ისლამური რევოლუციის იდეათა დანერგვისათვის განსაკუთრებით კარგი პირობები აღმოსავლეთ ანატოლიაში არსებობდა. ირანის პროპაგანდა საფუძველს უმაგრებდა შიიტური მიმართულების პანისლამიზმი. ხომეინის ,,თაუჰიდური სწავლება“. ძლევამოსილი ირანული რევოლუციის წარმატებათა ჩვენება იყო წამქეზებლური ხასიათის, რაც თურქეთში ისლამური რევოლუციის მოწოდებაში გამოიხატებოდა. ხომეინიმ ქემალ ათათურქი ისლამის მტრად გამოაცხადა და მოუწოდა თურქებს უაერყოთ ქემალიზმის პრინციპები. ეს ფაქტი შეფასდა როგორც ირანის ჩარევა თურქეთის საშინაო საქმეებში. ხომეინის განცხადება და ირანის ანტითურქული პროპაგანდა თურქეთის პრემიერ-მინისტრის თურგუთ ოზალის თეირანში ვიზიტის ერთ-ერთი მიზეზი გახდა. 80-იანი წლებიდან

[17] ნამაზი ან სალათი, ისლამში სავალდებულო ლოცვის სახელწოდება, რომელიც დღეში ხუთჯერ უნდა შესრულდეს მუსლიმის მიერ

[18] შარიათი- ზოგიერთ მუსლიმურ სახელმწიფოში: მუსლიმური ფეოდალური სამართლის რელიგიურ და იურიდიულ ნორმათა ერთობლიობა.

მოყოლებული დღემდე ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ისლამის პროპაგანდამ ხელი შეუწყო თურქეთში მუსლიმური იდეოლოგიის გააქტიურებას, რომლის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა როგორც ქვეყნის მოსახლეობის, ხელისუფლების ისე მმართველი პარტიის წარმომადგენლებიც. კერძოდ, დედასამშობლოს და ჭეშმარიტი გზის პარტიების იდეოლოგიის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა ისლამისა და ნაციონალიზმის ტრადიციული, სულიერი ფასეულობანი. სახელისუფლებო პარტიების იდეოლოგიაში სულიერი ფასეულობების საფუძველი ყოველთვის იყო ისლამური რელიგია. მათ პროგრამებში აღნიშნული იყო ერთგულება რელიგიისა და ათათურქის პრინციპებისადმი. [19]

რელიგიასთან დამოკიდებულება მათ მიერ განისაზღვრებოდა როგორც კონსტიტუციით გარანტირებული სინდისისა და რელიგიური მრწამსის თავისუფლება. გარდა ამისა, მათი პროგრამა მიზნად ისახავდა თურქეთში რელიგიის სწავლებას დაწყებით და საშუალო სკოლებში. მთლიანობაში მათ დოქტრინებში ისლამი განიხილებოდა, როგორც თურქი ერის გაერთიანების, განმტკიცების მთავარი ფაქტორი. დედასამშობლოს პარტიის ყოფილი ლიდერი თურგუთ ოზალი აღნიშნავდა: ,,თურქთა ერთიანობა ემყარება იმას, რომ ყველანი თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქენი ვართ, ყველა, ვინც დაიბადა და ცხოვრობს ამ მიწაზე, პირველი და მეორე კატეგორიის ადამიანებად დაყოფის გარეშე, თურქეთის მოქალაქეა, მაგრამ ჩვენს ეროვნულ ერთანობაში მთავარია ისლამი“.

2.2 ირანის ისლამური რევოლუცია და თურქეთის დამოკიდებულება ისლამური რეჟიმისადმი.

XX საუკუნის 50-60-იან წლებში ირანი აგრარულად ჩამორჩენილი ქვეყანას წარმოადგენდა. მოჰამედ რეზა შაჰმა სცადა მდგომარეობის გამოსწორება სოფლებში,წარმოების ზრდისათვის, მოსახლეობის განათლებისა და კულტურის ზრდისათვის. 1963 წლის რეფერენდუმზე მოსახლეობამ მხარი დაუჭირა შაჰის ახალ

[19] Bodgener D., Ankara's pipe dreams come true. Meed, 1994 გვ. 34-36

რეფორმებს რომელსაც თეთრი რევოლუცია ეწოდა. ამ რეფორმებს დაუპირისპირდნენ ულემები შიიტი სამღვდელოების პირები რომლებმაც ეს რეფორმები ისლამური პრინციპების შელახვად და საერთოდ ისლამზე პირდაპირი შეტევად აღიქვეს.[20]შაჰის რეფორმამ ვერ გადაჭრა ქვეყანაში პრობლემები- სურსათი ისევ არ კმაროდა ვინაიდან მოსახლეობის ზრდის ტემპები უსწრებდა სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოების ტემპს. ირანი ვერ გადაიქცა ინდუსტრიულ ქვეყნად. ვერ უშველა ქვეყანას ნავთობის ბუმმაც, (20-ე საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისი) რომელიც ხანმოკლე აღმოჩნდა.ქვეყნის შემოსავლები ისევ შემცირდა, სამხედრო ხარჯები კი გაიზარდა.ამას მოჰყვა იმფლაცია და მოსახლეობის ცხოვრების პირობებისს გაუარესება. ასეთმა მძიმე ვითარებამ გამოიწვია შაჰის ხელისუფლების პოზიციის შესუსტება ქვეყანაშ და მისდამი დაპირისპირებული შიიტი სამღვდელოების გაძლიერება. ირანში გაზრდილმა საპროტესტო მოქმედებებმა შაჰის ხელისუფლება აქცია ავტორიტარულ დიქტატურად.მოსახლეობას აღიზიანებდა შაჰის კარზე არსებული ფუფუნება, კორუფციის მაღალი დონე.მოსახლეობაში იზრდებოდა ანტიდასავლური განწყობაც . 1975 წელს ირანში დაიწყო დიდი საპროტესტო გამოსვლები, რასაც შაჰის ხელისუფლების დასასრული მოჰყვა . 1978-1979 წლების ირანში რევოლუციისთვის თითქმის ყველა წინაპირობა არსებობდა: მოსახლეობის სოციალური სიდუხჭირე, რეპრესიული აპარატის შესუსტება, შეკრების თავისუფლება, რეჟიმისადმი წინააღმდეგობა. მმართველობის ბოლო წლებში ქვეყანაში შექმნილმა ვითარებამ შაჰი მოჰამედ რეზა ფეჰლევი პოლიტიკურად მოწყვლად ფიგურად აქცია.

მისი მმართველობა 37 წლის განმავლობაში (1942-1978 წწ) გრძელდებოდა. აშშ-სა და ბრიტანეთის აქტიური პოლიტიკური მხარდაჭერით შაჰი ცდილობდა, ტრადიციული ირანი თანამედროვე დემოკრატიად ექცია. ქვეყნის რეფორმირება ხშირად არადემოკრატიული და ადამიანის უფლების შემლახავი ფორმებითა და მეთოდებით მიმდინარეობდა. შაჰმა ქალებს არჩევნებში მონაწილეობის უფლება

[20] ე. მაკარაძე ., თანამედროვე თურქეთის აქტუალური საკითხები, ბათუმი, 2000. გვ140-151

მისცა, სახელმწიფო მართვის სტრუქტურები კი სეკულარიზმის პრინციპებზე დაამყარა. ამასთანავე, ის არ ინდობდა პოლიტიკურ ოპონენტებს და არაერთი მათგანი სიკვდილითაც დასაჯა. ფეჰლევი, ასევე, ხშირად მიმართავდა სახელმწიფო ცენზურის აპარატს, რითაც სიტყვის თავისუფლებას ასუსტებდა. ფეჰლევის მმართველობის პერიოდში ხშირად იზღუდებოდა შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება. ასეთი მიტინგები არც თუ იშვიათად სისხლიანი დარბევით სრულდებოდა.[21]

დროთა განმავლობაში შაჰის რეჟიმის მთავარ ამოცანად მისი ოჯახის წევრებისა და უახლოესი წრის კეთილდღეობა და უსაფრთხოება იქცა. მძიმე სოციალური სიდუხჭირის ფონზე, ფეჰლევი და მისი გარემოცვა უზომო ფუფუნებისადმი მიდრეკილებით გამოირჩეოდა. ამის მაგალითი სპარსეთის იმპერიის 2500 წლიანი იუბილესადმი მიძღვნილი გრანდიოზული ზეიმია, რომელზეც, დაახლოებით, $30 მილიონი დაიხარჯა. ზეიმი თავის დროის ყველაზე ძვირადღირებული ღონისძიება იყო.

მოსახლეობის დიდ ნაწილთან ერთად, შაჰის მმართველობით უკმაყოფილოები ირანის რელიგიური წრეებიც იყვნენ. წლების განმავლობაში ფეჰლევის მიერ გატარებული რეფორმების პარალელურად მცირდებოდა სასულიერო პირების როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში და შესაბამისად, მათი გავლენა მოსახლეობაზე. ქვეყნის დაჩქარებულმა მოდერნიზაციამ, ტრადიციული შიიტური ისლამისგან დაშორებულმა მართვისა და ცხოვრების სტილმა ირანში, რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლები უმთავრესად შიიტური ისლამის დროშის ქვეშ გააერთიანა. ქვეყნის მძიმე მდგომარეობის გამო მოსახლეობაში კიდევ უფრო გაიზარდა სრული ისლამიზაციის მომხრე სასულიერო პირების გავლენა. მათმა ლიდერმა აიათოლა ხომეინმა გააკეთა მოწოდება ჭეშმარიტი ისლამური წყობის დამყარების შესახებ. ოპოზიციას შეუერთდა დასავლური ორიენტაციის ინტელიგენციაც.

[21] S. Cronin The making of Modern Iran: State and Society under Riza Shah, 1921-1941. New Yourk & London: Routledge, 2003 გვ.45-48

უთანხმოება შაჰსა და რელიგიურ წრეებს შორის ათწლეულების მანძილზე გრძელდებოდა. ამ დაპირისპირების ერთ-ერთი გარდამტეხი მომენტი ახალგაზრდა სასულიერო პირის, აიათოლა ხომეინის დაკავება იყო. ფეჰლევის პროდასავლური რეჟიმის კრიტიკისთვის ხომეინი ჯერ თურქეთში, შემდეგ კი ერაყში გადაასახლეს. ხომეინის დაკავება, მისი პოლიტიკური გზის ტრამპლინად იქცა. მას შაჰის რეპრესიებმა ნაციონალური გმირისა და ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პირის სტატუსი მოუტანა.[22]

1978 წლის 7 სექტემბერს, შაჰის საწინააღმდეგო მასობრივი პროტესტის გამო, თეირანი პარალიზებული იყო. "შავი პარასკევის" სახელით ცნობილ ამ დღეს, მთელი ქვეყნის მასშტაბით დემონსტრაციები მოეწყო; მოსახლეობა შაჰს აშშ-ის მარიონეტობაში ადანაშაულებდა. მალე ქვეყანაში სამხედრო მდგომარეობა გამოცხადდა. სამხედრო მდგომარეობის მიუხედავად, ათასობით დემონსტრანტი გამოვიდა თეირანის ქუჩებში 1978 წლის 9 ოქტომბერს.

ანტისამთავრობო გამოსვლების დროს, 1978 წლის 5 ნოემბერს, აქციის მონაწილეები ირანის დედაქალაქის ქუჩებში ანთებდნენ ცეცხლს. მოგვიანებით, სამხედროებსა და სტუდენტებს შორის შეტაკების შედეგად, თეირანის უნივერსიტეტში დაიღუპა რამდენიმე ადამიანი.1978 წლის 28 ნოემბერი, თეირანში გამართული აქციის დროს ირანელი სტუდენტები სკანდირებდნენ: "სიკვდილი შაჰს!" კასეტებზე ჩაწერილი ხომეინის მიმართვები მეჩეთიდან მეჩეთში გადადიოდა. პროტესტის დაწყებიდან მალევე მეჩეთი შაჰის რეჟიმით უკმაყოფილი მოქალაქეების მთავარ თავშესაფრად გადაიქცა, ხოლო სასულიერო პირების გავლენა დღითიდღე იზრდებოდა.

1979 წლის პირველ იანვარს ფეჰლევი გამოჩნდა მედიასთან. ჟურნალისტებთან საუბარში მან განაცხადა, რომ თუ ქვეყანაში შექმნილი ვითარება არ მისცემს საშუალებას ტახტს სიამოვნებით დატოვებს. ფეჰლევის მხარდამჭერებმა არ იცოდნენ

[22] Theology of Discontent: The Ideological Foundation of Islamic Revolution in Iran. New York: New York University Press, 1993 გვ. 45-67

ის, რაც ცნობილი იყო შაჰის მკურნალი ექიმებისთვის. 58 წლის ფეჰლევი კიბოს უიშვიათესი ფორმით იყო დაავადებული.

პირველ იანვარს გაკეთებული განცხადების შემდეგ ნათელი გახდა, რომ ფეჰლევი ტახტისთვის ბრძოლას აღარ აპირებდა. მას არათუ, პოლიტიკური, არამედ, ზოგადად, ცხოვრების გაგრძელების იმედიც აღარ შერჩენოდა.

ირანის შაჰი, მოჰამედ რეზა ფაჰლავი მეუღლესთან ერთად თეირანში, მეჰრაბადის აეროპორტში თვითმფრინავში ჩასასხდომად მიემართებიან. 1979 წლის 16 იანვარი. შაჰმა ირანის დატოვების ოფიციალურ მიზეზად შვებულება დასახელდა. კაცი, რომელიც ირანს 37 წელი მართავდა, უკან აღარასოდეს დაბრუნებულა. ირანიდან წასვლის შემდეგ იგი 13 თვეში დაიღუპა.

აიათოლა რუჰოლა ხომეინი ჩადის თეირანში 1979 წლის 1 თებერვალს. აშშ-ის მხარდაჭერილ შაჰს ირანი უკვე დატოვებული ჰქონდა, ისლამური რევოლუციის რეალურ დასაწყისად, ხომეინის დაბრუნებას მიიჩნევენ.

შაჰის გაფრენიდან ორი კვირის თავზე, 14- წლიანი გადასახლების შემდეგ სამშობლოში ბრუნდება რევოლუციის მთავარი შემოქმედი და ირანის მომავალი უმაღლესი ლიდერი აიათოლა ხომეინი. ის ბრუნდება ირანის განახლების იდეით, ახალი წესრიგისა და ახალი სახელმწიფოს იდეით, რომლის მსგავსიც მსოფლიოს მანამდე არ ენახა.

ხომეინი ყველა ისლამურ ქვეყანას გაერთიანებისკენ მოუწოდებდა. რამაც ირანის მეზობელი ქვეყნები, მათ შორის თურქეთიც, შეაშფოთა. განსაკუთრებით გართულდა ირან-ერაყის ურთიერთობები. 1979 წლის პირველ აპრილს, ნაციონალურ რეფერენდუმზე ხომეინის ინიციატივით ირანის ისლამურ სახელმწიფოდ გარდაქმნის საკითხი გამოიტანეს. იმამის ინიციატივას, მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ დაუჭირა მხარი. შიიტური ისლამი სახელმწიფო მოწყობისა და სამართლებრივი წარმოების უპირატეს დოკუმენტად ცნეს. ვილაიეთ-ე ფაყიჰი — ასე ეწოდება დოქტრინას, რომლითაც სასულიერო პირებს სახელმწიფოს კონტროლისა და მართვის ყველა საჭირო ბერკეტი გადაეცა.

მომდევნო წლებში ირანი კონსერვატორულმა ცვლილებებმა მოიცვა. ქალებისთვის სავალდებულო გახდა ჰიჯაბის ტარება, აიკრძალა დასავლური კულტურის ნიმუშები, ჩამოყალიბდა ისლამური რევოლუციის მცველთა კორპუსი, რომლის მთავარი მიზანიც დღემდე რევოლუციის მტრების გამოვლენა და დასჯაა. დაიხურა სეკულარული გამოცემები, აიკრძალა მოწინააღმდეგე პოლიტიკური პარტიები, დაწესდა ცენზურა. ერთ დროს სეკულარული ირანი, მსოფლიოში ერთადერთ და უნიკალურ ისლამურ თეოკრატიად გარდაიქმნა.

ისლამური რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკა რამოდენიმე წლის განმავლობაში იზოლიაციონისტურ ხასიათს ატარებდა. ანუ, მას არ ჰქონდა ურთიერთობა არცერთ ქვეყანასტან და მათ შორის რეგიონის ქვეყნებს შორის თურქეთთანაც. როგორც უკვე ავღნიშნეთ, აღნიშნული პოლიტიკური სისტემა,რაც ირანში დამყარდა ისლამური რევოლუციის შემდეგ, მიუღებელი იყო ყველა მუსლიმური(როგორც შიიტური, ისე სუნიტური) ქვეყნებისათვის და მით უფრო სეკულარული თურქეთისათვის.[23]

ირანის ისლამური რესპუბლიკის შექმნის (1979 წელი) შემდეგ ხელისუფლების სათავეში მოსულმა ახლამა მთავრობამ ქვეყნის საზოგადოების პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების ისლამიზაციისკენ აიღო კურსი. მან აირჩია ე.წ ,,განვითარების მესამე გზა“, რომელიც განსხვავებული უნდა ყოფილიყო მსოფლიოში არსებული საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციებისგან პოპულარული გახდა ლოზუნგი - ,,ჩვენი პოლიტიკა იგივეა, რაც ჩვენი რელიგია, ხოლო ჩვეული რელიგია - ჩვენი პოლიტიკაა“. მიემართებოდა რა მაჰმადიანური გარდაქმნების გზით, იმამმა ა.რ. ხომეინიმდა სხვა ხელმძღვანელებმა მთლიანად დაიქვემდებარეს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკური ცხოვრება. ისლამური განვითარების მოდულის შექმნის მესვეურები იმუშავებენ და პრაქტიკაში ნერგავენ ისლამურ-სახელმწიფოებრივ რეგიონალურ, სტრატეგიულ და ტაქტიკურ გეგმებს, აწესებენ მკაცრ კონტროლს ყველა ორგანიზაციის საქმიანობაზე, საგარეო პოლიტიკურ

[23] ალი შარი'ათი და ისლამური რევოლუცია . პერსპექტივა-XXI, VI, 2005, გვ. 36-43

უწყებებზე, მათ შორის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და მისიებზე. ისლამურმა მოძრაობამ მძლავრი სტიმული მიიღო მუსლიმური ორიენტაციის უწყებებისა და ,,ისლამური რევოლუციის დამცველთა კორპუსის“ შექმნის შედეგად. ხომეინი ისლამის მტრებს მიაკუთვნებდა იმ მუსლიმური ქვეყნების მმართველებს, რომლებიც მუსლიმურ ცხოვრებაში ევროპულ ტრადიციებს ნერგავდნენ.

მუსლიმანური სამყაროს ერზტიანობის ასაღორძინებლად, ხომეინის აზრით, საჭირო იყო ისლამური რევოლუციის ძლევამოსილად დასრულება და ყველა ყალბი ფსევდო-მუსლიმური და ტირანული რეჟიმების დამხობა ჯერ მუსლიმური სამყაროს ფარგლებში, შემდეგ კი მსოფლიო მასშტაბით. ხომეინიმ განაცხადა, რომ მაჰმადიანობის მტრად ცხადდებოდა ყველა ის ვინც უბრალოდ არა ისლამური რესპუბლიკის, არამედ რესპუბლიკის ან დემოკრატიული რესპუბლიკის იდეებს ქადაგებდა. ეს კონცეფციები გამოყენებულ იქნა ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკური სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავების დროს. მუსლიმურ სამყაროში შიიგტები უმცირესობას შეადგენდნენ, ამიტომ ა. ხომეინიმ საყოველთაოდ განაცხადა, რომ ირანის ისლამური რესპუბლიკა სათავეში ედგა არა შიიტურ, არამედ ისლამურ რევოლუციას, რომელიც შემოქმედებითად იღწვოდა მთელი მუსლიმური სამყაროს კეთილდღეობისათვის.

ირანის რევოლუციის ლიდერი რეგიონალური მასშტაბით და სხვა ადგილობრივი ღვთის მსახურები მიზნად ისახავდნენ მუსლიმური ქვეყნებისათვის დასავლეთის მიერ თავს მოხვეული ყველა მარიონეტული მთავრობის დამხობას, მაჰმადიანობის პირვანდელი სიწმინდით აღდგენას და ამ სახელმწიფოების ,,ისლამური განვითარების“ გზაზე დაყენებას. ირანში შიიტები მოსახლეობის 92 %-ს შეადგენდნენ, ბაჰრეინში - 75%-ს, ერაყში - 60%-ს, ქუვეითში - 40%-ს, ყატარში - 40%-ს, არაბთა გაერთიანებულ საამიროებში - 30%-ს, ლიბანში - 20%-ს, თურქეთში - 21%-ს, პაკისტანში - 20%-ს, ავღანეთში - 20%-ს. 80-იანი წლების დასაწყისშ შიიტთა საერთო რაოდენობა სულ 100 მლნ-ს აღწევდა (5.295). თეირანის ჩანაფიქრით, სწორედ ეს ქვეყნები უნდა გაჰყოლოდნენ ახალი მაჰმადიანური ლიდერის კვალს, მოეხდინათ

ისლამური რევოლუცია, შემდეგ გამხდარიყვნენ ,,ისლამური სახელმწიფოები“ და განემტკიცებინათ მომავალი ,,დიადი ისლამური სახელმწიფოს“ საფუძველი.[24]

ისლამური რევოლუციის ექსპორტმა უარყოფითად იმოქმედა ირანის მდგომარეობაზე, როგორც მუსლიმურ სამყაროში, ისე საერთაშორისო ასპარზზეც. ამ მხრივ თეირანის მიერ სამხედრო ძალის, ძირგამომთხრელი საქმიანობისა და ტერორისტული აქტების გამოყენებამ მთელი რიგი მაჰმადიანური სახელმწიფოები მის მიმართ მტრულად განაწყო. 1983 წლიდან ირანის ხელმძღვანელობამ საგარეო პოლიტიკაში გაწონასწორებული, პრაგმატული კურსი აირჩია. ამის შემდეგ გაუმჯობესდა ურთიერთობა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან, იაპონიასთან, თურქეთთან, პაკისტანთან და სხვა ქვეყნებთან. თუმცა ისლამური რევოლუციის ექსპორტის ფაქტორი კვლავ არსებობდა და ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილად რჩებოდა, რომელსაც პირადად იმამის აიათოლა რუჰოლლა ხომეინის გარდა, შიიტი ფუნდამენტალისტებიც უჭერდნენ მხარს. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ აბდულხალეკ ჩეიმ ,,თურქული თანამეგობრობის“ შექმნის წინადადება დსთ-ს მოსკოვის შეხვედრამდე რამდენიმე დღით ადრე წამოაყენა. ანკარაში დარწმუნებული იყვნენ, რომ ეს შეკრება მოსკოვის პოზიციებს განამტკიცებდა და ამიერკავკასიაში რუსეთის გავლენას გაზრდიდა, რაც შეეწინააღმდეგებოდა პანთურქისტული იდეებით შეპყრობილ ხელისუფლებას რეგიონალური პოლიტიკური გეგმების განხორციელებაში. კავკასიაში დიდმპყრობელური მეტოქეობა სულ უფრო მძაფრ ფორმას იძენდა. იმპერიული ამბიციების და კერძოდ, პანთურქიზმის მსხვერპლი გახდებოდა სომხეთი - ,,თურქული თანამეგობრობის“ შექმნის ხელისშემშლელი გეოგრაფიული, სამხედრო, პოლიტიკური და ეთნიკური ფაქტორი. აბდულხალუკ ჩეის განცხადებას შეეძლო სომეხთა საზოგადოებაში XX საუკუნის დასაწყისში ოსმალეთის ხელისუფლების მიერ განხორციელებული გენოციდის შიშის დანერგვა, რაც ააქტიურებდა ოფიციალური

[24] Региональные конфликты в Азии и Северной Африке. Москва,1997. გვ. 65-70

ერევანის ძალისხმევას საერთაშორისო აღიარება მოეპოვებინა სომხების მასობრივი ხოცვა-ჟლეტისთვის.[25]

თავიდანვე ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ 80-90-იანი წლების ,,პანთურანიზმი“ შეუძლებელია იყოს მსგავსი XX საუკუნის ,,თურანიზმისა“. არსი თუმც ერთია, მაგრამ სხვადასხვაა მასი განხორციელებისათვის ბრძოლის საშუალებები. თანამედროვე ეტაპზე ყოველივე ამას თურქეთი ახორციელებს ეკონომიკური დაქვემდებარების გზით, რაც ფაქტია, ხოლო ეკონომიკური კონტროლი, რომ შეიძლება დასრულდეს, პოლიტიკურში გადაზრდით, ამის საფუძველი უკვე არსებობს. 1966 წელს ,,ნიუ-იორკ თაიმსი“ წერდა: ,,თუ მსოფლიოში გენოციდის ტალღა კვლავ მომძლავრდა, ერთადერთი ვინც აზიის ქვეყნებზე პრეტენზიებს აცხადებს, იქნება თურქეთი და არა ჩინეთი ან სსრკ“. 1976 წელს გამოცემულ წიგნში ,,თურქული სამყარო“, რომელიც 1452 გვერდს მოიცავს, აღწერილია დიდი თურქეთის სახელმწიფო საზღვრები ჩრდილო ყინულოვანი ოკეანიდან ინდოეთის ოკეანემდე და უნგრეთიდან მანჯურიამდე. თურქი მეცნიერის დემნეზის მიერ შედგენილ რუკაზე კი დატანილია 31 ეროვნება და ეთნიკური ჯგუფი, რომელთა საერთო რიცხვი 180 მილიონ კაცს აღემატება და 12 მილიონ კმ ტერიტორიას მოიცავს.

,,პანთურანიზმის“ პოლიტიკური ასპექტი ეფუძნება მსოფლიოში თურქული სახელმწიფოს არსებობის აუცილებლობას. ეს სახელმწიფო მოიცავს სამ კონტინენტს: ევროპას, აზიას, აფრიკას და 40-ზე მეტ ქვეყანას. 1986 წელს ანკარაში გამოქვეყნებულ რუკაზე თურქეთის მეზობელი ქვეყნების დიდი ტერიტორია ჩართული არის ,,ოსმალურ სახლში“.ამავე წლის 26 აგვისტოს გაზეთ ,,მილეთში“ წერდნენ: ,,არ არსებობს თურქეთის არცერთი ქვეყანა, რომელსაც თურქეთი არ წაუყენებს პრეტენზიებს“.

80-იანი წლების დასაწყისიდან სისტემატიურ ხმარებაში შემოვიდა ტერმინები შიდა და გარე თურქები. აღნიშნული ტერმინები ჯერ კიდევ თურქეშმა გამოიყენა წიგნში ,,ახალი ჰორიზონტისკენ“.

[25] სამეცნიერო სტატიების კრებული ,,ახლო და შუა აღმოსავლეთი“ თბილისი, 2003.გვ 39-41

დოქტორი იუჯელი ნაშრომში ,,გარეთურქები“ აღნიშნავს, რომ სხვადასხვა სახელმწიფოში მცხოვრები 100 მლნ. თურქი განიცდის ასიმილაციას.ამიტომ აუცილებელია მათი გაერთიანება ერთ თურქულ სახელმწიფოში.ამ დოქტრინის მიხედვით ყველა ,,გარეთურქი“ იყოფა ორ ჯგუფად: 1. თურქულენოვანი ხალხი 2. თურქები, რომლებიც ცხოვრობენ ადრე ოსმალეთის იმპერიაში შემავალ ქვეყნებში.

,,გარეთურქების“ დოქტრინა ფაქტობრივად ხელს უწყობს ,,პანთურქიზმის“ იდეური ლიდერის ზია გეოკალპის მიერ შემოთავაზებულ ,,თურანიზმის“ იდეის აღორძინებას. გეოკალპი წერდა ,,თურქის სამშობლო არ არის თურქეთი ან თურქმენეთი, არამედ მარადიული ქვეყანა თურანი“.

განსაკუთრებით ყურადღებას იმსახურებს ის, რომ უკვე 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან და განსაკუთრებით 90-იანი წლების დასაწყისიდან თურქეთი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს არა მარტო კავკასიის რესპუბლიკისადმი, უფრო აზერბაიჯანისადმი, არამედ შუა აზიის რესპუბლიკისადმი. თურქეთთან ერთად აღნიშნული რეგიონით დაინტერესებულია ირანიც და რუსეთიც, რის უარყოფაც შეუძლებელია. მათშორის პირველობისათვის ბრძოლამ კი, სრულიად შესაძლებელია, მწვავე ხასიათი მიიღოს.[26]

,,დიადი თურქეთის“ შექმნის იდეა, რომ თურქეთის საზოგადოების გარკვეული ფენისათვის დღესაც არ არის უცხო, ამაზე ნათლად მეტყველებს ჟურნალ ,,რენესანსში“ გამოქვეყნებული წერილი. აქ პირდაპირ აღნიშნულია, რომდღევანდელი თურქები იზიარებენ აზრს ათათურქისა ,,დიდი თურქეთის შექმნასთან დაკავშირებით. ,,ჩვენი სურვილია, ჩვენი ბელადის მიერ მიზნად დასახული მიწებისა და იმ დიდი ხალხის გაერთიანება. ამისათვის არსებობს მთელი რიგი მიზეზები: თურქეთის სახელმწიფო გაძლიერდა, მუსლიმურ თურქულ ხალხში ეროვნული სული გამოღვიძებულია, საუკუნეებია რაც ჯერ ცარიზმის, ხოლო შემდეგ კომუნიზმის ტყვეობის ქვეშ მყოფი თანამოაზრეები თავისუფლების მოპოვებას ცდილობბენ. და აი დადგა ის დრო, როცა თურქეთის სახელი ისტორიაში კვლავ ოქროს ასოებით ჩაიწერება“. ისტორიითა და

[26] К. Еггерт,Россиа и Турция: Споры, Оружие, Деньги, ,,Известия", 09.04.1995. გვ.85

ენით., სარწმუნოებითა და მომავლის იმედით აღსავსე ეს ხალხი უნდა გაერთიანდეს და 21-ე საუკუნეში ყველაზე ძლიერი ძალა უნდა იყოს, ეს ეპოქა თურქული იქნება. უნდა შეიქმნას ისეთი ძლიერი სახელმწიფო, რომლის მოსახლეობის რიცხვი 150 მლნ. გადააჭარბებს.. [27]

გასარკვევია რამდენად რეალურია ,,პანთურანისტების" იდეების განხორციელება და შეურიგდება თუ არა მას ისეთი სახელმწიფო, როგორიცაა ირანი? მრავალჯერ აღინიშნა, ,,პანთურანისტული" იდეები თავისი არსით წინააღმდეგობაშია რუსეთთან, რუსეთს და თურქეთს ინტერესთა საერთო სფერო აქვთ, სადაც უპირატესობის მოსაპოვებლად იბრძვის ორივე სახელმწიფო. ერთ-ერთ ასეთ რეგიონს წარმოადგენს კავკასია და შუა აზია.

პოსტსაბჭოურ სივრცეში ახალმა დამოუკიდებელმა სახელმწიფოთა წარმოშობამ თურქეთს მისცა შესაძლებლობა გაეფართოვებინა თავისი ჰორიზონტები კავკასიასა და ცენტრალურ აზიოში, სადაც დღეს ცხპვრობენ თურქუენოვანი ხალხები, რომელთანაც ანკარა ინარჩუნებს მჭიდრო ეთნიკურ, რელიგიურ და ენობრივ კავშირებს. 1994 წლის 20 ოქტომბერს სტამბოლში გახსნილ ,,თურქულ სახელმწიფოთა, თემთა და თანასაზოგადოებათა მეგობრობისა და თანამშრომლობის" მეორე ყურულტაიზე თურქეთის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ,,თურქთა ერთიანობა ბუნებრივი პროცესია და მისი შეჩერება შეუძლებელია". [28]

როგორც ჩანს, თურქეთის მმართველ წრეებში ვლინდება ის ფორმები, რომელსაც ,,თურანის" იდეოლოგიამდე მივყავართ. 1993 წლიდან მოყოლებული სტამბულში სისტემატიურად იმართება თურქულენოვანი ხალხების კონფერენცია, რომელსაც ესწრება მთელი მსოფლიოს თურქულ სახელმწიფოთა წარმომადგენლები. თურქულენოვან სახელმწიფოში თავისი მიზნის მიღწევას თურქეთი ცდილობს ეკონომიკური განვითარების გზით, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს პოლიტიკურ დაახლოებას. ეს ის ეკონომიკური საფუძველია, რომლის არარსებობის შესახებ წერდა

[27] Отношения Ирака и Турции с мусульманскими республиками СССР, ,,АТЛАС", №52, 30.12.1991. გვ.34-33

[28] А. Еровченков, Встреча глав тюркских государств в Стамбуле,,,Компас",№167, 1994 გვ 34-43

რუსი მეცნიერი ერმეევი, როდესაც აღნიშნავდა, ,,ერთიანი ეკონომიკური ბაზრის უქონლობა წინ ეღობება ,,პანთურანული“ იდეების განხორციელებასო“. მაშასადამე, თურანიზმი იმდენად რთული მოვლენაა, რომ აბსურდია მტკიცება იმის რეალურად არსებობს თუ არა და რამდენად რეალურია მისი განხორციელების საშუალებები.[29]

2.3 სპარსეთის ყურის პირველი ომი და თურქეთის ინტერესები რეგიონში.

ირანს ყოველთვის ჰქონდა რეგიონული ლიდერის ამბიციები.ჯერ კიდევ სპარსელი მონარქები და იმპერიები ქვეყანას აღიქვამდნენ რეგიონის ეპიცენტრად-სახელმწიფოდ, რომელსაც თავისი ისტორიისა და ცივილიზაციის წყალობით არაბული ქვეყნების წინამძღოლობა ეკისრებოდა (**Takyeh, 2006: 11).** რევოლუციამ კი ქვეყანა დიდი გამოწვევების წინაშე დააყენა არა მხოლოდ დასავლეთის, არამედ რეგიონალური მეზობლების და მათ შორის თურქეთის მხრიდანაც. აქვე ავღნიშნავთ, რომ აშშ-ს ახლო და შუა აღმოსავლეთის სტრატეგიულ პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ერთადერთ აზიურ მუსლიმურ ნატოს წევრ სახელმწიფოს - თურქეთს.[30]

სპარსეთის ყურის პირველი ომი ეწოდება სასაზღვრო ომს ირანსა და ერაყს შორის, რომელიც დაიწყო 1980 წლის 22 სექტემბერს და გრძელდებოდა 1988 წლის 20 აგვისტომდე. ამ ომს "ირან-ერაყის ომსაც" უწოდებენ. ომი უშედეგოდ და ორივე მებრძოლი მხრისათვის უამრავი ადამიანის სიცოცხლის და უზარმაზარი ეკონომიური ზარალის ფასად დამთავრდა.

1975 წლის მარტში ალჟირის ხელშეკრულების თანახმად ირანსა და ერაყს შორის საზღვარი შატ-ელ-არაბის შუაგულში გადიოდა. სწორედ ეს გახდა ომის მიზეზი. ერაყის სახელმწიფოს მეთაურს სადამ ჰუსეინის მიზანი იყო "ალჟირის

[29] ე. მაკარაძე ., თანამედროვე თურქეთის აქტუალური საკითხები, ბათუმი, 2000.გვ 60-65
[30] გ.სანიკიძე . გ.ალასანია . ნ. გელოვანი .ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან (XIXს.- XXI ს.-ის დასაწყისი). თბილისი, 2011. გვ 344-350

ხელშეკრულების" გაუქმება და სურდა შატ-ელ-არაბზე მთლიანი კონტროლის დამყარება, ვინაიდან ეს მდინარე ერაყის ნავთობის საზღვარგარეთ ტრანსპორტირების მთავარ ძარღვს წარმოადგენდა. გარდა ამისა ერაყი და სპარსეთის ყურის სხვა არაბული ქვეყნები 1979 წელს ირანში შაჰის ჩამოგდების და იქ აიათოლათა რეჟიმის დამყარების შემდეგ რეგიონში შიიტური ისლამის გავრცელების საფრთხეს ხედავდნენ.

1979 წლის ირანში ისლამური რევოლუციის გამარჯვებამ გამოიწვია ირან-ერაყის ურთიერთობის გამწვავება.თეირანმა გააჩაღა აქტიური პროპაგანდისტული საქმიანობა ერაყელ შიიტებს შორის,მოუწოდებდა მათ მმართველი ბაასის პარტიის ხელისუფლების დამხობისკენ.

ომი ერაყის მხრიდან ექსტრემალური სისატიკით გამოირჩეოდა. 1984 წელს სადამ ჰუსეინი არ მორიდებია ქიმიური იარაღის (ტაბუნი, იპრიტი) გამოყენებასაც. ეს იარაღი მან შემდგომში საკუთარი მოსახლეობის (ქურთები) წინააღმდეგაც გამოიყენა. ქიმიურ იარაღს სადამ ჰუსეინი ამზადებდა გერმანიიდან შემოტანილი, თითქოს და პესტიციდების მოპოვებისათვის საჭირო დანადგარებით. ირანი ამ დროს საერთაშორისო სარბიელზე ცუდი რეპუტაციით სარგებლობდა, ამიტომაც ერაყის ამ სისატიკეს მსოფლიოში ფართო მასშტაბიანი საპროტესტო აქციები არ მოჰყოლია.

დასავლეთის ქვეყნები სპარსეთის ყურეს თავიანთი საზღვაო ძალებით იცავდნენ.

1988 წლის მარტში,ამანში გამართული ისლამური კონფერენციის ორგანიზაციის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების მეჩვიდმეტე კონფერენციაზე განხილულ იქნა ირან-ერაყის კონფლიქტი.კონფერენციაზე მიღებული რეზოლუციის განმასხვავებელი თავისებურება იყო თხოვნა უშიშროების საბჭოსადმი- მიეღო აუცილებლი ზომები ირანთან მიმართებაში,რომელმაც უარყო საბჭოს რეზოლუცია - კონფლიქტის მოგვარება მშვიდობიანი გზით.

ირან -ერაყის ომმა, რომელიც თითქმის 8 წელი გაგრძელდა,არც ერთ მხარეს არ მოუტანა პოლიტიკური და სამხედრო უპირატესობა. ამ ომში თურქეთი აშშ-სა და მისი

მოკავშირეების მხარეს იდგა, რადგანაც იურანის ისლამური რევოლუციის შედეგად ამ რევოლუციის ექსპორტის საფრთხე თურქეთსაც ემუქრებოდა.

ცივი ომის დამთავრებისთანავე (1990 წ) ვაშინგტონი თურქეთს ახლო აღმოსავლეთში ირანის გავლენის ზრდის წინააღმდეგ და სადამ ჰუსეინის რეჟიმთან საბრძოლველად იყენებდა. გარდა ამისა, ანკარა წარმოადგენდა საიმედო პლაცდარმს, საიდანაც ვაშინგტონს კავკასიაში მიმდინარე პროცესების გაკონტროლებაც შეეძლო, იქნებოდა ეს კასპიის ნავთობის ხმელთაშუაზღვისპირეთში ტრანსპორტირება თუ რუსეთის საწინააღმდეგო რეგიონალური ეკონომიკური პოლიტიკის გატარება. თურქეთი სარგებლობდა ამით და ცდილობდა, რომ აშშ-ს ახლოაღმოსავლური პოლიტიკა თავისი მიზნების განსახორციელებლად წარემართა.[31]

ისლამისტთა გააქტიურება აიძულებდა თურქეთს გადაესინჯა საგარეო პოლიტიკა მუსლიმური ქვეყნების მიმართა. ანკარას ვაშინგტონის გარდა მეზობელ შიიტურ ირანთან დაპირისპირების შემთხვევაში სუნიტური ერაყიც ესაჭიროებოდა, მით უმეტეს, რომ ამ ქვეყანას ჯერ კიდევ ირანთან რვაწლიანი ომით მიყენებული ჭრილობები არ მოშუშებოდა, რაშიც მას დასავლეთის სანქციები და სპარსეთის ყურეში დაძაბული ვითარება უშლიდა ხელს.

ს.დემირელის ხელისუფლებას არ აინტერესებდა სადამ ჰუსეინის გადადგომა, რადგან ამის შედეგად ერაყში სამოქალაქო ომის დაწყება და თურქეთში ლტოლვილთა მასობრივი გადასვლა იყო მოსალოდნელი. თურქეთი არასოდეს არ გაამწვავებდა ურთიერთობას ნატოსთან. ამ სამხედრო-პოლიტიკურ ორგანიზაციაზე მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული მისი თავდაცვისუნარიანობის სიმტკიცე და წარმატება ევროკავშრთან მოლაპარაკებებში. ევროპა ანკარას ბრალს სდებდა ადამიანთა უფლებების დარღვევაში, ვაშინგტონი კი შედარებით თავს იკავებდა მძაფრი კრიტიკისაგან, რადგან უდიდესი გეოპოლიტიკური მნიშვნელობის ქვეყანასთან, რომელიც თითქმის ყოველთვის ამართლებდა მის იმედებს, ურთიერთობის გაუარესება არ სურდა.ანკარას ესაჭიროებოდა ვაშინგტონის

[31] სამეცნიერო სტატიების კრებული ,,ახლო და შუა აღმოსავლეთი“ (თბილისი, 2003). გვ.34-35

მხარდაჭერა იმპერიული ამბიციების დაკმაყოფილებისთვის, ,,პანთურქისტული“ პოლიტიკის გასატარებლად. 1998წლის ბოლოს საგარეო საქმეთა მინისტრის ისმაილ ჯემმის განცხადებით, თანამედროვე ეტაპზე საგარეო პოლიტიკაში თურქეთი პრიორიტეტს კავკასიასა და ცენტრალურ აზისთან ურთიერთობას მიანიჭენდა. ხოლო აბდულხალუკ ჩეიმ 2000 წლის 19 იანვარს თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ რუსეთი ძლიერ დასუსტებული იყო და თურქეთს ხელს ვერ შეუშლიდა თურქულენოვანი მუსლიმურ სახელმწიფოების თანამეგობრობის ჩამოყალიბებაში. მისი აზრით თანამედროვე თურქეთს - ძლევამოსილი ოსმალეთის იმპერიის შთამომავალს, აუცილებლად უნდა შეექმნა სამოკავშირეო გაერთიანება აზერბაიჯანთან, ყაზახეთთან, თურქმენეთთან, ყირგიზეთთან და უზბეკეთთან. თუნდაც ამას კონფრონტაციის გაძლიერება მოჰყოლოდა ირანთან და რუსეთთან. მინისტრმა გამოთქვა რწმენა, რომ მომავალ ,,თურქულ თანამედროვეობაში“ უკრაინისა და შიიტური ირანის გაწევრიანებასაც შეძლებდნენ, რაც თანამედროვე პოლიტიკური ვითარების მცდარი შეფასების შედეგი იყო. ამასთანავე, იგი აღნიშნავდა: ,,ჩვენ, ოსმალეთის იმპერია, საუკუნეების მანძილზე ვმართავდით ამ ტერიტორიებს და ამიტომ თურქეთი თავს მოვალედ თვლის რეგიონალური ქვეყნების უფროსი ძმის მისია შეასრულოს“.

ამრიგად ისლამური რევოლუციის შედეგად თურქეთსა და ირანს შორის არც თუ ისე კარგი ურთიერთობა ჩამოყალიბდა. თურქეთის საგარეო პოლიტიკაში ირანი პრობლემას წარმოადგენდა არა მხოლოდ ახლო აღმოსავლეთსა და ცენტრალურ აზიაში არამედ სამხრეთ კავკასიაშიც. თურქეთისათვის ასევე მიუღებელი იყო, როგორც უკვე ავღნიშნე ირანში აიათოლების ხელისუფლებაში მოსვლა. სეკულარული თურქეთისათვის ისლამისტური სახელმწიფო, ისეთი როგორიც არს ირანი, არ იყო მიზანშეწონილი.

თავი III

თურქეთისა და ირანის წინააღმდეგობები კავკასიის რეგიონში

3.1 ირანისადმი დაწესებული სანქციები და თურქეთის პოზიცია.

1979 წლის 11 თებერვლის ისლამური რევოლუციის შემდეგ ქვეყანა ფაქტობრივ საერთაშორისო იზოლაციაში მოექცა. მსხვილი დასავლური ფირმები ერთი მეორის მიყოლებით ტოვებდნენ ისლამურ ირანს და პარალელურად იხურებოდა დიპლომატიური წარმომადგენლობები და საელჩოები. ,,შიიტური ხელისუფლების" იზოლაციონალისტურმა პოლიტიკამ სულ მალე ის შედეგი გამოიღო, რომ ირანის წინააღმდეგ უმკაცრესი ეკონომიკური სანქციები დაწესდა. რეალურად, აიკრძალა ამ ქვეყანასთან საერთაშორისო ვაჭრობის ყველა მსხვილი სახეობა და განსაკუთრებით გამკაცრდა კონტროლი ირანული ნავთობის ყიდვა-გაყიდვაზე.

აღნიშნული ეკონომიკური სანქციების უამრავი უარყოფითი შედეგის მიუხედავად, ერთი შედარებით დადებითი შედეგი ის იყო, რომ ამ ვითარებამ აიძულა ისლამური ირანი თვითონ, საკუთარი ძალებით ეწარმოებინა ყველაფერი, რაც ქვეყანას შიდა მოხმარებისა და სამომავლო განვითარებისათვის სჭირდებოდა.

დროთა განმავლობაში კი ირანმა შეძლო მნიშვნელოვანი წარმატებები მოეპოვებინა ზუსტ, საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებებში. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ბიოლოგიის, ქიმიის, ფიზიკის განვითარებასა და შესაბამისი კვლევითი ცენტრების დაარსებას.

ამ ყოველივემ შექმნა საფუძველი იმისათვის, რომ ისლამურ ირანს გასჩენოდა ბირთვული ამბიციები, რომელსაც საწყის ეტაპზე ქვეყნის ხელისუფლება თავდაცვის სურვილითა და საჭიროებით ამართლებდა. მას შემდეგ, რაც ამ ამბის გაჟღერებას დასავლეთის მკაცრი რეაქცია მოჰყვა, ირანის ისლამური რესპუბლიკის ლიდრებმა ოდნავ შეცვალეს რიტორიკა და მიმდინარე ბირთვული კვლევების მოტივაციად და მიზნად ენერგორესურსებით ქვეყნის შესაბამისი უზრუნველყოფა მოიმიზეზეს. თუმცა ამით დასავლეთის ,,დაშოშმინება" მაინც ვერ მოხერხდა. მაჰმუდ

აჰმადინეჟადის(2005-2013 წწ) ხელისუფლების პირობებში, ამ ხელისუფლების ხისტი პოლიტიკის ,,წყალობით“ ირანისა და დასავლეთის უთანხმოება სულ უფრო მძაფრდებოდა და ლამის კატასტროფულ მასშტაბებს იღებდა.

ჰასან როუჰანის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ (2013 წ), სიტუაცია შედარებით ლოიალური გახდა, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე.

შეუიარაღებელი თვალითაც კი ჩანს, რომ პრეზიდენტ ჰასან რუჰანის გარშემო შემოკრებილ რეფორმატორთა გუნდს გამოუვიდა დაეყოლიებინა თავისი ქვეყნის სასულიერო ლიდერი აიათოლლაჰ ალი ხამენეი და მისი თანაგუნდელები, რომ საჭირო იყო დათმობაზე წასულიყვნენ, რათა ქვეყნის ეკონომიკისათვის უმძიმესი კატასტროფა აეცილებინათ.

2015 წლის ივლისში, ირანსა და ექვს დიდ ქვეყანას (აშშ, რუსეთი, ჩინეთი, დიდი ბრიტანეთი, ინგლისი, საფრანგეთი) შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც ირანს უნდა შეემცირებინა ურანის გამდიდრება 20%მდე ამის სანაცვლოდ ამ ქვეყანას თანდათან მოეხსნებოდა ეკონომიკური სანქციები.

არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა შეთანხმებას რეგიონის სხვადასხვა ქვეყნებში.აღსანიშნავია თურქეთის პოზიცია, არა მარტო რეგიონის ერთ-ერთი ლიდერი ქვეყნისა, არამედ ჩვენი თემის უმთავრესი ამოცანოდან გამომდინარე.

საგულისხმოა, რომ თურქეთი ამ ფაქტს საკმაოდ დადებითად შეხვდა, რისი დასტურიცაა ის, რომ ამ ქვეყნის ოფიციალური დელეგაცია პრეზიდენტ ერდოღანის მეთაურობით, ჩავიდა თეირანში ახალი ვითარების გათვალისწინებით ორმხრივი მოლაპარაკებების გასამართავად. მიუხედავად იმისა, რომ როგორც ჩანს, ირანისათვის ემბარგოს მოხსნა, რეგიონში გავლენისათვის თურქეთ-ირანის კონკურენციას გაამძაფრებს, თურქეთი ცდილობს ირანის იზოლაციიდან გამოსვლა თავისი ინტერესების შესაბამისად გამოიყენოს.

ირანის წინააღმდეგ სანქციების შესუსტებამ და ატომური საკითხის გამო შემოღებული სანქციების ნაწილობრივმა გაუქმებამ კი მსოფლიო სამრწეველო და

პოლიტიკური წრეების არნახული გამოცოცხლება გამოიწვია. ბევრი მათგანი შეეცადა სიტუაციის შესაბამისად, ირანის ბაზარზე დარბუნებას და ვითარების სათავისოდ გამოყენებას[32].

სიტუაცია შეიცვალა მას შემდეგ, რაც აშშ-ს პრეზოდენტი გახდა დონალდ ტრამპი. ის აკრიტიკებდა მისი წინამორბედის ბარაკ ობამას მიერ ირანთან გაფორმებულ ბირთვულ შეთანხმებას და აცხადებდა რომ ის არასწორად გადადგმული ნაბიჯია, რადგანაც ირანი არ ასრულებს შეთანხმებით ნაკისრ მოვალეობებს და განაგრძობს ბირთვიულ პროგრამაზე მუშაობას. ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო კი აცხადებს რომ ირანი თავის მოვალეობებს ასრულებს. ტრამპმა განაცხადა, რომ ეს შეთანხმება უნდა გაუქმდეს და მომზადდეს ახალი შეთანხმება. წინააღმდეგ შემთხვევაში კი აშშ გამოვა ბირთვული შეთანხმებიდან.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის, დონალდ ტრამპის მიერ, ირანთან დადებული ბირთული შეთანხმების ცალმხრივად დატოვების შემდეგ დაწესებული სანქციების „ენერგეტიკის, ფინანსების და გემით ტრანსპორტირების“ შემცველი მეორე ეტაპი 2018 წლის მაისში ამოქმედდა.

ტრამპმა მაისის თვეში ირანთან 2015 წელში მიღწეული შეთანხმებიდან გასვლის გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ აშშ-ს ხაზინის სამინისტრომ განაცხადა, რომ ირანის წინააღმდეგ სანქციები 90 და 180 დღიან ორ ეტაპად ისევ ამოქმედდება

ამ ფარგლებში 90 დღის შემდეგ პირველი სანქციები 2018 წლის 7 აგვისტოს ამოქმედდა. ამერიკის ხაზინის სამინისტროს მიერ მიცემული 180 დღიანი ვადის ამოწურვის შემდეგ კი მეორე ეტაპიც მალე ამოქმედდა. ხაზინის სამინისტროს სანქციების მეორე მუხლი ნავთობთან დაკავშირებული პროცედურებისგან შედგება. სანქციები, რომლებიც ირანის ეროვნული ნავთობკომპანიის (NIOC) და ეროვნული სატანკერო კომპანიის (NITC) მსგავს ორგანიზაციებს მოიცავს, ირანისგან ნავთობის,

[32] ირანის ბირთვული პროგრამა – დაპირისპირებიდან შეთანხმებამდე. გვ. 1. http://regional-dialogue.com/nuclear-deal/

ნავთობპროდუქტების ან ნავთობქიმიური პროდუქციის შემენაზე საერთაშორისო შეზღუდვებს აწესებს.

სანქციების კიდევ ერთ სამიზნეს უცხოური საფინანსო ორგანიზაციების ირანის ცენტრალურ ბანკთან და ირანის ზოგიერთ ფინანსურ ორგანიზაციასთან წარმოებული პროცედურები წარმოადგენს.

აშშ-ს საგარეო საქმეთა მინისტრის, მაიკ პომპეოს განცხადებით, 8 ქვეყანას, რომლებმაც ირანისგან ნავთობის იმპორტი საგრძნობლად შეამცირეს, ნავთობის იმპორტისთვის სანქციებისგან დროებით გათავისუფლდებიან . სანქციების კუთხით ევროკავშირი არ ექვემდებარება გათავისუფლებას.[33]

2018 წლის ზაფხულიდან თურქეთიც და ირანიც აშშ-ს მხრიდან ეკონომიკური სანქციების განსაკუთრებულ სამიზნეებად იქცნენ. ჩნდებას კითხვები - რატომ მოხდა ასე და რა არის სანქციების არსი.

უკვე ავღნიშნეთ, რომ 2015 წელს მთელი დასავლური სამყარო ზეიმობდა ირანთან მრავალწლიანი კრიზისის დასასრულს და გრძელვადიანი საერთაშორისო შეთანხმების ხელმოწერას. მაგრამ რამოდენიმე წლის შემდეგ კრიზისი ხელახალა შემობრუნდა – 2018 წლის აგვისტოში აშშ-მ ცალმხრივად დატოვა შეთანხმება და ირანის წინააღმდეგ სანქციები განაახლა. სანქციები აშშ-მ ჯერ კიდევ 1979 წელს დააწესა – მაშინ ამერიკის ხელისუფლებამ საკუთარ მოქალაქეებს და კომპანიებს ირანთან თანამშრომლობა აუკრძალა. მაგრამ 1996 წელს აშშ-მ აკრძალვა გააფართოვა და მასში ევროპული კომპანიებიც ჩართო.

2000-იან წლებში აშშ-მ, ევროპამ და ჩინეთმა ირანთან დაიწყეს მოლაპარაკებები, რომელიც ათ წელიწადზე მეტ ხანს გრძელდებოდა და 2015 წელს ერთობლივი და ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმის მიღებით დასრულდა. ამ გეგმას ხელი მოაწერეს აშშ-მ, დიდმა ბრიტანეთმა, რუსეთმა, საფრანგეთმა, ჩინეთმა, გერმანიამ და ირანმა.

[33] ირანის წინააღმდეგ აშშ-ს მიერ დაწესებული სანქციების მეორე ეტაპი ამოქმედდა. გვ.1-2. https://www.trt.net.tr/georgian/ekonomika/2018/11/05/iranis-cinaag-mdeg-ashsh-s-mier-dacesebuli-sank-c-iebis-meore-etapi-dg-es-amok-medda-1081406

მისი მიზანი იყო, ირანის ბირთვული პროგრამის შეზღუდვა, რის სანაცვლოდაც, სხვა ქვეყნები სანქციების გაუქმების პასუხისმგებლობას იღებდნენ. სანქციების გაუქმებით მიღწეული შედეგები ასე გამოიყურება:

- ირანმა თანდათან გაზარდა ნავთობის მოპოვება და მსოფლიო ბაზარზე დაბრუნდა (თუმცა, ამ მოკლე პერიოდის განმავლობაში ამან მის ეკონომიკურ მდგომარეობაზე განსაკუთრებულად ასახვა ვერ მოასწრო)
- ირანში დაიწყო ინვესტიციების შესვლა, განსაკუთრებით კი, ევროპული ინვესტიციების.
- ირანის ბირთვული პროგრამა გაიყინა.

ჯერ კიდევ წინასაარჩევნო კამპანიის დროს, 2016 წელს ამერიკის ახლანდელი პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ამერიკის მხრიდან ირანის გარიგებაში მონაწილეობის თაობაზე მუდმივად უარყოფით აზრს გამოხატავდა. ტრამპი ირწმუნებოდა, რომ ირანი გარიგების საკუთარ ნაწილს არ ასრულებდა, და მას არაერთხელ განუცხადებია, რომ ეს აშშ-ს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე უარესი გარიგება იყო.

ის, რომ აშშ ბირთვულ გარიგებას დატოვებდა, ამის შესახებ ტრამპმა ოფიციალურად 2018 წლის 8 მაისს განაცხადა, ამ მომენტიდან ირანული ვალუტის – რიალის ვარდნა დაიწყო.

2018 წლის 1-ლი აგვისტოს დაპირება რეალობად იქცა – აშშ-მ ირანის წინააღმდეგ სანქციები დააწესა. სანქციები ამერიკის კომპანიებს ირანთან ოქროთი, ალუმინით, ნახშირით და მთელი რიგი სხვა საქონლით ვაჭრობას უკრძალავს. აშშ ასევე გეგმავს, რომ დოლარში ირანის სავალუტო ოპერაციები შეზღუდოს, რაც რიალზე ზეწოლას მოახდენს.

ევროპამ და დიდმა ბრიტანეთმა ამ გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირეს და განაცხადეს, რომ 2015 წელს ხელმოწერილი ყოვლის მომცველი სამოქმედო გეგმის ფარგლებში გააგრძელებენ მუშაობას. ამავდროულად, აშშ-ს მოამზადა სანქციების მეორე პაკეტი, რომელიც 2018 წლის 4 ნოემბერს შევიდა ძალაში.

„აშშ-ს მოქმედებები ირანელებს უბიძგებს, მზარდი საგარეო საფრთხისთვის წინააღმდეგობის გაწევის მიზნით, ხელისუფლების გარშემო გაერთიანებისკენ“, რაც რეალურად ასე ხდება კიდეც.

2018 წელს თურქეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობის გართულების ნიადაგზე აშშ-მ თურქეთის იუსტიციის მინისტრისა და შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ დააწესა სანქციები – აბდულაჰმიტ გიულისა და სულეიმან სოილუს ყველა ამერიკული აქტივი და ანგარიში გაყინულია. სანქციები დაწესდა თურქეთში ამერიკელი პასტორის, ენდრიუ ბრანსონის პატიმრობაში ყოფნასთან დაკავშირებით. თურქეთის ხელისუფლებამ მას ბრალი დასდო ფეთულაჰ გიულენთან თანამშრომლობაში, რომელიც, მათი აზრით, ორი წლის წინათ(2016 წ ზაფხული) ქვეყანაში სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის ორგანიზატორი იყო. ბრანსონი ციხეში 2016 წლის ოქტომბრიდან იმყოფებოდა.

ბოლო წლებში ანკარასა და ვაშინგტონს შორის ურთერთობა რამდენიმე მიზეზით გაუარესდა. თურქეთი უკმაყოფილოა, რომ აშშ მათთვის გიულენის გადაცემაზე უარს აცხადებს, ასევე – სირიაში ამერიკული მხარის ქურთ მეამბოხეებთან თანამშრომლობით. ამერიკის ხელისუფლება, თავის მხრივ, აღშფოთებულია პასტორი ბრანსონის პატიმრობაში ყოფნით.

ამერიკული სანქციების დაწესებამ გავლენა მოახდინა თურქული ვალუტის – ლირის კურსზე. ის ისტორიულ ვარდნას განიცდის. პრეზიდენტმა რეჯეპ თაიბ ერდოღანმა ლირის ვარდნასთან დაკავშირებით ასეთი კომენტარი გააკეთა: „ნუ დაგავიწყდებათ, მათ დოლარები აქვთ, მაგრამ ჩვენთან ჩვენი ხალხია, და ჩვენი ღმერთი“.

ირანის მსგავსად, თურქეთში ამერიკული სანქციების დაწესებასაც საზოგადოებრივი აზრის ორად გაყოფა მოჰყვა.ოპოზიციური პარტიების უმრავლესობა ამ საკითხში პრეზიდენტ ერდოღანს უჭერს მხარს.

თურქეთის მედია, სოციალური ქსელები და ქალაქების ქუჩები ანტიამერიკული რიტორიკით არის მოცული, რაც პოლიტიკური კრიზისის პირობებში, რასაკვირველია, ერდოღანს აძლევს ხელს[34].

3.2 ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური კრიზისი და თურქეთ-ირანის ინტერესების წინააღმდეგობა და თანხვედრა.

ახლო აღმოსავლეთში თურქეთი და ირანი ყოველთვის მეტოქეობით გამოირჩეოდნენ. ისინი თავისი გავლენის გასავრცელედბლად ყოველ ღონეს ხმარობენ. აქედან გამომდინარე მათ შორის ხშირი იყო დაპირისპირება რეგიონში პირველობის მოსაპოვებლად.ლიდერობისათვის ისინი მხარს სხვადასხვა პოლიტიკურ დაჯგუფეფბებსა თუ ქვეყნებს უწერდნენ. აღსანიშნავია, რომ ირანი ისრაელის სახელმწიფოს მებრძოლ პალესტინელებს არამარტო მხარს უჭერს არამედ ეხმარება კიდეც. თურქეთი ცდილობს კონკურენცია გაუწიოს ირანს რეგიონში გავლენის ხელში ჩასაგდებად.[35]

როდესაც თურქეთიდან ღაზას სექტორის მიმართულებით დაძრულ ჰუმანიტარულ მისიას ისრაელის საზღვაო ქვეითები დაესხნენ თავს, თურქეთმა მკაცრად დაგმო მომხდარი ფაქტი. ირანმა კი კრიტიკა დააყოვნა. კერძო ანალიტიკური ფირმის სტრატფორის ექსპერტი რევა ბალა აცხადებს, რომ ირანი ძალზედ უკმაყოფილოა თურქეთის მსგავსი აქტივობით. ირანს არ მოსწონს თურქეთის მიერ ინიციატივის ხელში ჩაგდება, თეირანი უკვე მრავალი წელია ცდილობს პალესტინელთა ჭეშმარიტი მხარდამჭერის როლი შეასრულოს, მაშინ როდესაც დანარჩენ მუსლიმანურ სამყაროს უმოქმედობაში ადანაშაულებს.

ისრაელის სახელმწიფოებრიობის საკითხის მიმართ განსახვავებული დამოკიდებულება აქვს როგორც თეოკრატულ ირანს, ისე სეკულარულ თურქეთს. თურქეთი იყო პირველი მუსლიმური სახელმწიფო რომელმაც აღიარა ისრაელი

[34] Russia, Turkey and Iran – why the US has declared economic war against them. გვ.1. https://jam-news.net
[35] Forte, David M. Understanding Islam and radicals. Journal of South Asian and Middle Eastern Studies. Vol. 26, No 1, 2002, pp. 4-10

როგორც ქვეყანა. ამასთან ისრაელი თურქეთისთვის იარაღის მთავარი მიმწოდებელია. მხარეებს შორის ურთიერთობა მას შემდეგ დაიძაბა, რაც 2009 წელს თურქეთმა დაგმო ისრაელის მიერ ღაზას სექტორში სამხედრო ოპერაციების დაწყება.

ანალიტიკოსების ნაწილი თვლის, რომ ირანი და თურქეთი რეგიონში გავლენისთვის იბრძვიან. სადამ ჰუსეინის პერიოდში ერაყი ირანის მთავარ მეტოქედ ითვლებოდა, მაგრამ 2003 წელს , ამერიკის ერაყში შეჭრის შემდეგ პირველობა ირანის მხარეს გადაიხარა.

არაბული სახელმწიფოებისთვის მთავარ საშიშროებას ირანის სამხედრო ძალის მზარდი პოტენციალი წარმოადგენს. ამასთან არაბული სახელმწიფოები არ ენდობიან ირანს. , თანაც არაბული სახელმწიფოს დამოკიდებულება თეირანის მიმართ არ იცვლება, მიუხედავად იმისა რომ ის პალესტინის მხარდაჭერაზე ხშირად საუბრობს. თურქეთმა და ბრაზილიამ ირანთან რამდენიმე 2009-2010 წლებში შეთანხმაბას მიაღწიეს , დაბალ დონეზე გამდიდრებული ურანის თურქეთში გადაგზავნაზე. ანალიტიკოსების განცხადებით, ეს თურქეთის მხრიდან გავლენის განმტკიცების ერთგვარი გამოხატულებაა. თავის მხრივ აშშ-მა ხელშეკრულებას მხარი არ დაუჭირა არაადექვატურობის გამო და ირანის მიმართ ახალი სანქციების დაწესება მოითხოვა[36].

ისრაელთან მიმართებაში თურქეთის პოზიცია გასულ წელს მნიშვნელოვნად შეიცვალა.თურქეთის გაღიზიანება გამოიწვია აშშ-ის მიერ იერუსალიმის ისრაელის დედაქალაქად ცნობა (2014 წლის 14 მაისი). ამისი მიზეზი ის არია, რომ იერუსალიმი წმინდა ქალაქია, როგორც იუდეველების ისე ყველა მუსლიმისათვის. აქედან გამომდინარე მიუხედავად თურქეტსა და ისრაელს შორის კარგი ურთიერთობისა, იერუსალიმის ისრაელის დედაქალაქად აღიარება თურქეთისათვის მიუღებელია. აღნიშნულ ფაქტს ირანის პოზიციაზე არანაირი გავლენა არ მოუხდენია., რადგან მას კკარგა ხანი არასახარბიელო ურთიერთობა აქვს როგორც ისრაელთან, ისე აშშ-სთან.

[36] თურქეთი და ირანი აღლოაღმოსავლეთში გავლენისთვის იბრძვიან . გვ1. https://www.amerikiskhma.com/a/article-------95792424/532487.html

მაგრამ ფაქტია რომ ამ საკითხშიც ორი რეგიონალური ლიდერის - თურქეთისა და ირაბნის პოზიციები ერთმანეთს ემთხვევა.

სირიაში ასადის მოძლიერების შედეგად, რეგიონში მისი მხარდამჭერი შიიტური ქვეყნების - ლიბანი, ერაყი, ირანი - წონა გაიზრდება. მათ რიგ საკითხებში ზურგს რუსეთი უმაგრებს. მათი მომძლავრება აშშ-ს მოკავშირე, სპარსეთის ყურის სუნიტურ ქვეყნებს ავიწროებს.

თურქეთმა და ბრაზილიამ ირანთან რამდენიმე 2009-2010 წლებში შეთანხმაბას მიაღწიეს , დაბალ დონეზე გამდიდრებული ურანის თურქეთში გადაგზავნაზე. ანალიტიკოსების განცხადებით, ეს თურქეთის მხრიდან გავლენის განმტკიცების ერთგვარი გამოხატულებაა. თავის მხრივ აშშ-მა ხელშეკრულებას მხარი არ დაუჭირა არაადექვატურობის გამო და ირანის მიმართ ახალი სანქციების დაწესება მოითხოვა.

ისრაელთან მიმართებაში თურქეთის პოზიცია გასულ წელს მნიშვნელოვნად შეიცვალა.თურქეთის გაღიზიანება გამოიწვია აშშ-ის მიერ იერუსალიმის ისრაელის დედაქალაქად ცნობა (2014 წლის 14 მაისი). ამისი მიზეზი ის არია, რომ იერუსალიმი წმინდა ქალაქია, როგორც იუდეველების ისე ყველა მუსლიმისათვის. აქედან გამომდინარე მიუხედავად თურქეტსა და ისრაელს შორის კარგი ურთიერთობისა, იერუსალიმის ისრაელის დედაქალაქად აღიარება თურქეთისათვის მიუღებელია. აღნიშნულ ფაქტს ირანის პოზიციაზე არანაირი გავლენა არ მოუხდენია., რადგან მას კკარგა ხანი არასახარბიელო ურთიერთობა აქვს როგორც ისრაელთან, ისე აშშ-სთან. მაგრამ ფაქტია რომ ამ საკითხშიც ორი რეგიონალური ლიდერის - თურქეთისა და ირაბნის პოზიციები ერთმანეთს ემთხვევა.
სირიაში ასადის მოძლიერების შედეგად, რეგიონში მისი მხარდამჭერი შიიტური ქვეყნების - ლიბანი, ერაყი, ირანი - წონა გაიზრდება. მათ რიგ საკითხებში ზურგს რუსეთი უმაგრებს. მათი მომძლავრება აშშ-ს მოკავშირე, სპარსეთის ყურის სუნიტურ ქვეყნებს ავიწროებს[37].

[37] სირიის კონფლიქტი - ახლო აღმოსავლეთის ავანსცენა გვ.1.
http://old.1tv.ge/projects/analytics/?page=detail&id=160473

სირიის კონფლიქტი, რომელიც არაბული გაზაფხულის[38] გამოძახილი იყო ახლო აღმოსავლეთში, 2011 წელს დაიწყო.მასში მონაწილეობდნენ როგორც სირიის სამთავრობო ისე ოპოზიციური ძალები. აღნიშნული კონფლიქტი გააღრმავა სხვადასხვა ტიპის ტერორისტული ორგანიზაციების, და მათ შორის უმთავრესად ,,ისლამური სახალიფოს" ჩართვამ. ასევე აღნიშნულ კონფლიქტში აქტიურად ჩაებნენ რეგიონის ქვეყნებთან ერთად აშშ და რუსეთი თავისი მოკავშირეებით.2015 წელს ირანის, ერაყის, რუსეთისა და ასადის რეჟიმის მონაწილეობით ყალიბდება კოალიცია „დაეშის" წინააღმდეგ. რუსეთი დაიწყო საჰაერო შეტევები, რომელიც „დაეშზე" მეტად სირიის ოპოზიციის წინააღმდეგ იყო მიმართული. თურქეთის საჰაერო საზღვრის დარღვევის გამო,თურქეთის თავდაცვის ძალებმა გაანადგურეს რუსული მოიერიშე[39].

ასადის მოწინააღმდეგეები, რომლებიც ჩართულნი არიან კონფლიქტში თავიანთი სამხედრო რესურსებით: ამერიკა და სპარსეთის ყურის ქვეყნები. ირანი ასადის რეჟიმის მთავარ პარტნიორად მიიჩნევა. გაეროს ყოფილი წარმომადგენელი დამასკოში ლახდარ ბრაჰიმი ირანს სირიაში აშშ-სა და რუსეთზე გავლენიან ძალად აცხადებს. ირანი სირიის შიდაპოლიტიკაში 2011 წელსვე ჩაერია. მან აჯანყებულებთან ბრძოლის საკუთარი სტრატეგია გაუზიარა ასადს. სირიის საკითხზე გაეროს ამჟამინდელი მომხსენებლის, სტეფან დე მისტურას შეფასებით ირანი ასადის მხარდასაჭერად ყოველ წელს ექვს მილიარდ დოლარს ხარჯავს. არაოფიციალური წყაროები 15-20 მილიარდის ყოველწლიური ხარჯვის ტენდენციაზეც მიანიშნებენ. ირანს ასადის მხარდაჭერისათვის უამრავი მიზეზი აქვს: სირია ირანის ერთ-ერთი მთავარი მოვალე ქვეყანაა. ირანული ნავთობის ექსპორტირების ერთ-ერთი მთავარი ცენტრი სირიული პორტი ბანიასია. „ბლუმბერგის" ინფორმაციით ამ პორტიდან დღეში სამოცი ათასი ბარელის ექსპორტზე გატანა ხერხდებოდა.

---

[38] რ. გაჩეჩილაძე ახლო აღმოსავლეთი II ტომი, თბილისი, 2019 გვ 83-89

[39] Independent International Commission of Inquiry on the Syrian Arab Republic გვ.1. https://www.ohchr.org/EN/HRBodies/HRC/IICISyria/Pages/IndependentInternationalCommission.aspx

ირანელმა მოხალისეებმა და გენერლებმა სამოქალაქო ომის მიმდინარეობის დროს მყარად მოიკიდეს ფეხი ასადის რეჟიმის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე. ისინი იქ ცხოვრობენ და კონსულტაციებსა თუ სხვა ტიპის დახმარებას უწევენ საპრეზიდენტო ჯარებს. შესაბამისად, ირანს საკუთარი მოქალაქეების დაცვის ვალდებულებაც აქვს. ირანული ქვედანაყოფები ომში დამოუკიდებელი რაზმების სახით მონაწილეობენ და ასადის არმიაში უშუალოდ არ ირიცხებიან. ირანის ძალები ასადის დამხობის შემთხვევაში ძალაუფლებას მაინც შეინარჩუნებენ.

1980-იანი წლებიდან ირანმა, სირიამ და ლიბანურ-პალესტინურმა ჰესბოლამ ერთგვარი ალტერნატიული ღერძი შექმნეს რეგიონის სუნიტური ძალებისა და ისრაელის დასაბალანსებლად.

თურქეთის დღევანდელი, ისლამისტურ-კონსერვატიული მთავრობის გაცხადებული მიზანი მათი ქვეყნის რეგიონალურ ზესახელმწიფოდ ჩამოყალიბება გახლავთ. ანკარის ამოცანა იყო მისი პარტნიორი სირიული ოპოზიციური ძალები, სუნიტური ჯგუფები ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ[40].

სირიის სამოქალაქო ომის ეპილოგამდე ჯერ შორია, შესაბამისად, არც ძალთა გადანაწილება დასრულებულა და კალეიდოსკოპი ისევ ტრიალებს, - რუსეთი ახლო აღმოსავლეთში ჰეგემონიისთვის იბრძვის, მოსკოვისა და ირანის მოკავშირე სირიის პრეზიდენტი ბაშარ ალ-ასადი წლებია თავისი ხელისუფლების შესანარჩუნებლად იბრძვის.

დასავლეთისა და არაბული ლიგის უმოქმედობამ რეალურად კონფლიქტი კიდევ უფრო გაამწვავა.

[40] სირია განადგურების ზღვარზე: არაბული ჰოლოკოსტი გვ.1.
http://eugeorgia.info/ka/articleblog/38/siria-ganadgurebis-zgvarze-arabuli-holokosti/

ახლო აღმოსავლეთის უსაფრთხოების ტრადიციული სისტემა აღარ ფუნქციონირებს. გარდამავალ პერიოდს თან ახლავს რეგიონული ძალების მხრიდან ამბიციების გაშიშვლება, რასაც თან ახლავს რეგიონის გარე ძალების მზარდი ჩარევა[41].

რუსეთმა, ირანმა და თურქეთმა მოულოდნელი ალიანსი შექმნეს სირიაში. მათი პოზიცია მთავარ საკითხებზე ერთგვაროვანი გახდა, თუმც მათ შორის გარკვეული წინააღმდეგობებიც იყო: როგორიცაა ბაშარ-ალ-ასადის რეჟიმის გაგრძელება და ქვეყნის ტერიტორიული ინტერგაცია, რეგიონალური და ადგილობრივი აქტორების როლი. დროთა განმავლობაში, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ომის შეწყვეტა მოსკოვის, ანკარისა და თეირანის ურთიერთობში ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი გახდა. სამმა დედაქალაქმა მხარი დაუჭირა ე.წ. ასტანას პროცესს, რომელმაც შეაჯერა და გააზავა გაერთიანებული ერების მხარდაჭერით განხოციელებულ დიალოგი ჟენევაში. დამატებით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ 2017 წლიდან, პრეზიდენტ პუტინმა, როუჰანმა და ერდოღანმა სამხრივი სერიული მოლაპარაკებები და შეხვედრები მოაწყვეს სოჭში, ანკარაში და მალევე თეირანში- და მას ეს უცნაური სახელი - „სოჭის ტრიო“უწოდეს, რომელიც უფრო მეტად აღმოჩნდა ყურადღების ცენტრში[42].

რეალობაა რომ რუსეთი, ასადის რეჟიმის დიდი საყრდენია, რომელიც მიზნად ისახავს პოლიტილიკური პროცესების დაწყნარებას ამ ქვეყანაში. დამასკოს დამოკიდებულება ირანზე არანაკლებია. თეირანი არა მხოლოდ ჯარით ამარაგებს ასადის რეჟიმს, არამედ მჭიდროდ ურთიერთობს სირიის ეკონომიკასთან, სავაჭრო ურთიერთობის გზით. თურქეთმა კი თავის მხრივ- სამხედრო ოკუპაცია მოახდინა მოსაზღვრე რაიონებისა, რომელიც ქურთების კონტროლქვეშ იმყოფება, სირიის ჩრდილოეთით კი -გავლენის სფერო კონსოლიდირებულია. მშვიდობა უნდა

[41] სირიის კრიზისი: ამერიკის ევფრატისპირა დილემა. გვ.1. http://eugeorgia.info/en/articleblog/49/siriis-krizisi-amerikis-evfratispira-dilema/

[42] Russia, Iran, Turkey to hold fourth round of Syria talks in Sochi. გვ.1. https://www.aljazeera.com/news/2019/02/russia-iran-turkey-hold-fourth-syria-talks-sochi-190213135429737.html

დამყარდეს რაც შეიძლება მალე, მაგრამ არა ნებისმიერ ფასად. ამ ეტაპზე ეს არის რუსეთის, ირანისა და თურქეთის პოზიციის შეჯამება სირიის ომთან დაკავშირებით. რუსეთის პრეზიდენტი-ვლადიმერ პუტინმა, ირანის ლიდერი ჰასან როუჰანმა და თურქეთის პრეზიდენტმა -რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა სოჭში სამხრივი მოლაპარაკება აწარმოეს სირიის კონფლიქტის დარეგულირების საკითხზე. შეხვედრის შედეგების მიხედვით, სამივე სახელმწიფო შეთანხმდა და ერთობლივი განცხადება გააკეთეს სირიის საკითხთან დაკავშირებით. რუსეთის ლიდერმა, ხასგასმით აღნიშნა სირიაში განვითარებული კონფლიქტის მოგვარების საკითხში ირანისა და თურქეთის განსაკუთრებული როლი. მან აღნიშნა, რომ ერდოღანისა და როუჰანის პოზიციამ საომარი მოქმედებების შეწყვეტაზე იქონია გავლენა და შეიქმნა დესკალაციის ზონები.

გარდა ამისა, პუტინმა ხაზგასმით აღნიშნა, რუსეთის, ირანისა და თურქეთის განსაკუთრებული როლი სირიის კონფლიქტის მოგვარების საკითხში.

თურქეთმა მოახერხა სირიის დაშლის თავიდან აცილება, არ დაუშვა მისი მიტაცების მცდელობაც კი საერთაშორისო ტერორისტების მხრიდან და აიცილა ასევე თავიდან ჰუმანიტარული კატასტროფა. რუსეთის პრეზიდენტმა ასევე განცხადა, რომ სირიის კრიზისის პოლიტიკური დარეგულირება ჟენევის პროცესის ჩარჩოში უნდა ფორმულირდეს. მისი აზრით, ეს უზრუნველყოფს ქვეყანაში არსებული სიტუაციის გრძელვადიან ნორმალიზაციას[43].

ამის გარდა, რუსეთის ლიდერმა ჰუმანიტარულ ასპექტზეც ისაუბრა და სირიის კონფლიქტის დარეგულირების საკითხში ისეთი სახის დეტალებზე გაამახვილა ყურადღება, როგორიცაა მოსახლეობისათვის მიზნობრივი დახმარება, გათავისუფლებული ტერიტორიების გაწმენდა, დევნილების დახმარება დასაბრუნებლად, ასევე ეკონომიკური პრობლემის გადაწყვეტა, რომელთაც სირიის კონფლიქტის მოგვარების კონტექსტში სერიოზული მნიშვნელობა გააჩნიათ.

[43] Сочинский формат: Путин, Эрдоган и Роухани провели переговоры по Сирии.გვ.1. https://ria.ru/20171123/1509395837.html

ამ კონფლიქტის დარეგულირების საკითხში აუცილებელია არა მარტო გარედან ჩარევა, არამედ სირიის შიგნით დიალოგის გაფართოება და მოსახლეობის ყველა ეთნიკურ-კონფესიური თუ პოლიტიკური ჯგუფის ჩართულობის აუცილებლობა.
სირიის მოსახლეობამ თვითონ უნდა განსაზღვროს საკუთარი მომავალი სახელმწიფო მოწყობის პრინციპების თაობაზე. აშკარაა რომ ეს რეფორმები მარტივი ვერ იქნება სხვადასხვა მიზეზთა გამო, რადგანაც აღნიშნულ კონფლიქტში არაერთი მხარეა ჩარეული და არც ქვეყნის შიგნით არის ერთობა ქვეყნის მოწყობის საკითხთან დაკავშირებით. ამ მხრივ დიდია წინააღმდეგობა ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის, რომელთა უკან სხვადასხვა ძალები დგანან...ირანის, რუსეთისა და თურქეთის ლიდერების სოჭში შეკრების ერთ-ერთი მიზანიც სწორედ სირიის ეროვნული დიალოგის კონგრესის მოწვევა იყო.

მოლაპარაკების შედეგად სამი ქვეყნის ლიდერთა შეხვედრა და საუბარი კონსტრუქციულ და საქმიან ვითარებაში შედგა. შეხვედრისას მხარები შეთანხმდენენ რომ აქტიურ ძალისხმევას არ დაიშურებდნენ მთავარი ამოცანის გადასაჭრელად- სირიაში სტაბილურობისა და მშვიდობის დასამყარებლად - რაც სამივე ქვეყნის ინტერესებში შედის[44].

ირანის პრეზიდენტის ჰასან როუჰანის აზრით,აღნიშნული სამხრივი მოლაპარაკებები სირიის კრიზისის დასრულების პერსპექტივას წარმოშობს.

ირანის ლიდერმა ასევე ყურადღება გაამახვილა ტერორისტებთან ბრძოლაზე. კერძოდ, კი როუჰანმა ისლამური სახელმწიფოს დაშლის ძირითად საფძველზე და სხვა ტერორისტული ორგანიზაციის შესუსტებაზე ისაუბრა. მან აღნიშნა, რომ ისლამური სახელმწიფოს ბაზები სირიის და ერაყის ტერიტორიაზე უნდა განადგურდეს. ირანის სურვილია დაეხმაროს სხვა სახელმწიფოებს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ფაქტია, რომ ხშირად ტერორიზმს იყენებენ საკუთარი „შორსმჭვრეტელი“ მიზნის მისაღწევად.

---

[44] რუსეთის, ირანისა და თურქეთის ლიდერები სოჭში სირიის საკითხებზე მსჯელობენ. გვ.1. http://ghn.ge/news/220895

ამას ადასტურებს ის ფაქტიც რომ, სირიის კონფლიქტი უცხო ქვეყნების ჩარევითა და ტერორისტებისათვის ხელშეწყობით გაღრმავდა და ბევრად გასცდა რეგიონის ფარგლებს, რამაც ხელი შეუშალა ქვეყანაში კრიზისების დარეგულირებას. თავის მხრივ, ერდოღანმა გამოთქვა იმედი, რომ სოჭის შეხვედრა მისცემს მას უფლებას მიიღოს „კრიტიკული გადაწყვეტილება“ სირიასთან დაკავშირებით. მან ასევე განაცხადა, რომ სამმხრივი მოლაპარაკებები მიმართული იქნება სირიის არაბულ რესპუბლიკაში სისხლისღვრის შეწყვეტისაკენ. ამ სამხრივი შეხვედრის მიზანი ის იყო რომ რუსეთმა, თურქეთმა და ირანმა მხარი დაუჭირა მასშტაბური და თავისუფალი პოლიტიკური პროცესების განვითარებას სირიაში. ჩვენი აზრით, სოჭში პუტინის, ერდოღანისა და როუჰანის ეს შეხვედრა დადებითად უნდა შეფასდეს.

მოლაპარაკებები სოჭში დასტური გახდა იმისა, რომ ამ „სამეულმა“ სირიის კონფლიქტის მშვიდობიანად დარეგულირების საკითხის გადაჭრაზე პასუხისმგებლობა და ინიციატივა საკუთარ თავზე აიღო. დამასკოში გარკვეული პოლიტიკური ძალები მიესალმნენ მათ ერთობლივ მოლაპარაკებებს სოჭში სირიის საკითხთან დაკავშირებით. სირიის ოპოზიციამაც კი სამი ქვეყნის ლიდერის შეხვედრას ძალზედ მნიშვნელოვანი უწოდა. მათი აზრით, სამმხრივმა მოლაპარაკებებმა სირიაში პოლიტიკური პროცესის დაწყებას პრაქტიკული საფუძველი დაუდო.

2017 წლის 11 დეკემბერს, ანკარაში გამართულ თურქ პარტნიორებთან შეხვედრის შემდეგ, პრეზიდენტ პუტინი მოულოდნელი ვიზიტით ესტუმრა ხმეიმიმს რუსული ბაზის სირიის პროვინცია-ლატაკიას, სადაც იქვე დისლოცირებულ ჯარს მისიის დასრულება და შინ „წარმატებული დაბრუნება“ მიულოცა. პუტინს მეგზურობას თვით ბაშარ ალ-ასადი უწევდა. რუსეთის პრეზიდენტის მოგზაურობა ასევე კაიროში-პრეზიდენტ სისისთან შეხვედრას მოიცავდა. ამ კუთხით მოსკოვმა მოიპოვა შეუცვლელი გეოპოლიტიკური აქტორის ტიტული. ჩვენი აზრით, რუსეთის მიდგომის ამ ტაქტიკამ უფრო რეგიონული და გლობალური ფორმა მიიღო. მან ყველას მიანიშნა, რომ ის დაუბრუნდა გლობალურ სცენას როგორც მთავარი,

დამოუკიდებელი გეოპოლიტიკური მოთამაშე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რუსეთი აყალიბებს და ცვლის აშშ-ს მიერ დომინირებულ საერთაშორისო დინამიკას, რომელიც არა მხოლოდ არაკომფორტული, არამედ, საშიშიც და საფრთხის შემცველია.

აქვე ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ 2015 წლის 28 სექტემბერს, პრეზიდენტ პუტინი გაეროს ასამბლეაზე სიტყვით გამოვიდა, სადაც მან დასავლეთი დაადანაშაულა სირიის კრიზისის შექმნაში და ახლო აღმოსავლეთის არასტაბილურობაში დასდო ბრალი, მან ასევე შესთავაზა საერთაშორისო კოალიციის შექმნა, რათა წინ აღუდგეს და შეებრძოლოს ისლამურ სახელმწიფო ორგანიზაციას (ტერორისტების).

ახლო აღმოსავლეთში მოვლენების განვითარების შედეგად საღ აზრს არ არის მოკლებული ის ვარაუდი, რომ არაბული გაზაფხული- ან ისლამური ძალების მიერ ძალაუფლების ჩაგდებას ისახავდა მიზნად ან ფარულ გადატრიალებას-(პუტჩი) დასავლეთის ხელშეწყობით, რომელიც სხვა არაფერი იქნებოდა თუ არა ფერადი რევოლუციის გაგრძელება ევრაზიულ სივრცეში.

მას შემდეგ რაც რუსეთი ჩაერთო სირიის კრიზისში (2014 წ), პირველი ტალღა რუსული ბომბებისა მიმართული იყო არა ისლამური ტერორისტული სახელმწიფოს წინააღმდეგ, არამედ სირიის რეჟიმის მოწინააღმდეგეთა და მებრძოლთა მიმართ. ოფიციალური კრემლის განცხადებით, ეს ინტერვენცია ISS-ის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლა იყო, სადაც მნიშნელოვნად დიდი რაოდენობის ჯიჰადისტები მონაწილეობდნენ რუსეთის ფედერაციის მხრიდან და დანარჩენები კი-პოსტ-საბჭოთა სივრციდან (ძირითადად ჩრდილო კავკასიიდან და ცენტრალური აზიის მიგრანტები), რომლებიც 2012 წელს დაფიქსირდნენ[45].

რუსეთის ინტერვენციამ უპირატესობით ისარგებლა და დაიკავა აშშ-ს და მისი ევროპელი მოკავშირეების მიერ დატოვებული თავისუფალი სივრცე.

[45] Astana Peace Process talks on Syria გვ.1. https://www.euromesco.net/news/astana-peace-process-talks-on-syria/

ასადის მოწინააღმდეგეთა ჯგუფებში იგრძნობოდა ნდობისა და გარკვეულობის ნაკლებობა, სადაც გამონაკლისი იყვნენ ქურთები, რომლებიც თავის მხრივ საკმაოდ დელიკატურად უდგებოდნენ პრობლემის გადაჭრის საკითხს და ამავე დროს ნატოს წევრი ქვეყნის- თურქეთისადმი დამოკიდებულებასაც.

აქედან გამომდინარე, რუსეთის მიერ სირიის კრიზისში ჩარევამ, ასადმა 1980 წელს გაფორმებული მეგობრობისა და თანამშრომლობის შეთანხმების თანახმად, რუსეთს ფორმალურად სთხოვა დახმარება, სამხედრო მოქმედებას ლეგიტიმაცია მისცა.

ომის დაწყების შემდეგ, ირანმა ასადის რეჟიმს დახმარება აღუთქვა, უზიარებდა სადაზვერვო ინფორმაციას, ეხმარებოდა სამხედრო ძალების წვრთნებში, სესხებსა და საბოლოოდ კი ჯარით-ცოცხალი ძალით.

რაც შეეხება ფინანსურ დახმარებას, ასადის მთავრობის ბიუჯეტი უმთავრესად ფინანსდებოდა ირანის რესპუბლიკის ხაზინიდან. თეირანი, ომის დაწყების დღიდან მრავალმხივ ეხმარებოდა ასადის რეჟიმს პირდაპირი თუ ირიბი გზით.
ირანული კომპანიების სწრაფმა დაფუძნებამ სირიაში, უფრო გააძლიერა ქვეყნის დამოკიდებულება თეირანზე[46].

რუსეთის ჩაბმამ სირიის კონფლიქტში მნიშვნელოვნად შეამცირა ირანის როლი. თეირანი აღარ ჩანს უკვე ასეთი გადამწყვეტი და მნიშვნელოვანი. აღსანიშნავია, რომ ანკარას და თეირანს ქურთების მიმართ არაერთგვაროვანი შიში გააჩნიათ, რადგანაც ქურთების პრობლემა ძალიან განსხვავდება ამ ორი ქვეყნისათვის. თურქეთი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ქურთების მუშათა კლასზე- (PKK), მაგრამ ირანითვის, რომლის მოსახლეობის 6,5 მილიონი ქურთებს შეადგენს, ძირითადად თავმოყრილია ოთხ პროვინციაში, რომელიც ესაზღვრება თურქეთს, ერაყს და თურქმენეთს, რაც დიდი წითელი ხაზია სირიის ფედერალიზაციაა.

[46] New formats of Syria talks help resolve conflict – Putin. გვ.1. https://tass.com/world/1028195

ირანი ინარჩუნებს დომინანტურ პოზიციას სირიაზე ამით ის მკვეთრად ხაზს უსვამს მის აუცილებელ მონაწილეობას ნებისმიერი სახის შემდგომ მოლაპარაკებებში სირიის პრობლემასთან დაკავშირებით.

სირიის ომის საწყისს ეტაპზე, ანკარამ ეს კონფლიქტი დაინახა როგორც შანსი იმისა, რომ დაეწყო მოქმედება შუამავალს და ასევე განევრცო მისი პოლიტიკური გავლენა რეგიონზე. მაგრამ ანკარას სტრატეგია სირიაზე პირდაპირ ირანის და რუსეთის სტრატეგიას დაეჯახა, როცა თურქეთმა დაიწყო წვრთნები, მატერიალური და ლოჯისტიკური მხარდაჭერა სხვადასხვა ისლამისტური ოპოზიციური ჯგუფების, რომლებიც ებრძოდნენ ასადის რეჟიმს, კერძოდ კი- თავისუფალი სირიის არმიას (FSA). აღნიშნული ფონის მიუხედავად, სამხრივი მოლაპარაკება ემსახურება თურქეთის პოლიტიკის შეცვლას სირიაში, რომელიც ძირითადად მხარს უჭერდა სუნიტებს, რომელთა ძალაუფლება ნელნელა კარგავდა ძალას სირიაში, და თანამშრომლობდა მოსკოვსა და თეირანთან, შიიტების მეთაურებთან და მთავარ მხარდამჭერებთან. მეორეს მხრივ, ასადის სტრატეგია სირიელი ქურთებისადმი, ომის დაწყებისთანავე მათ მიმართ კონფრონტაციის თავიდან აცილება იყო. ამან კი, ქურთების ჯგუფი მნიშვნელოვნად გააძლიერა და ამით სტრატეგიული ალიანსისთვის დარჩენილი სივრცის დაკავების უფლება მისცა. ამით ანკარის ყურადღებამ თანდათანობით გადაინაცვლა ასადის რეჟიმზე, რამაც სირიელი ქურთები მათ რეალურ მტრად აქცია, ეს მისთვის საგარეო პოლიტიკის მთავარ პრიორიტეტად იქცა.

ამჟამად, თურქეთის მთავრი მიზანი, სირიაში ქურთების და (PYD)-ის და სირიისა და ერაყის საზღვარზე მათი დომინირების და კონტროლის თავიდან აცილებაა.

სირიაში დე-ესკალაციის ზონებში 2017 წლის სექტემბრის სამი ქვეყნის ლიდერის (რუსეთი, ირანი, თურქეთი) პირველი შეთანხმების შემდეგ, თურქეთის საზღვართან ჩრდილოეთ სირიაში იდლიბში შეიქმნა უსაფრთხო ზონა. ანკარამ მხარი დაუჭირა ამ გეგმას, მაგრამ დაიწყო ოპერაცია სახელწოდებით „ზეთისხილის რტო“, სამხედრო ოპერაცია აფრინში, იმისათვის რომ თავიდან აიცილოს ქურთების

კორიდორის შექმნა და მოახდინა ქალაქის ტოტალური კონტროლი 2018 წლის მარტისთვის.

თავის მხრივ, მოსკოვი ახალი დღის წესრიგის მიხედვით ინარჩუნებს ლიდერის პოზიციას სირიაზე და ყველა დაინტერესებული მხარის მოლაპარაკებებისას იწვევს შეშფოთებას როგორც ანკარაში, ისე თეირანში.

აშშ-ს მტკიცე გადაწყვეტილებამ ითანამშრომლოს YPG-სთან (სახალხო დაცვის ერთეული) სირიაში და ძალთა კონფიგურაციამ თურქეთში კონტრევოლუციის („პუტჩი“) მცდელობის შემდეგ - რომელმაც დასავლეთის მიმართ სკეპტიკური განწყობა გამოიწვია, უბიძგა თურქეთს კრემლთან დაახლოებისაკენ.

2017 წლის 20 ნოემბერს, პირველად 4 წლის მანძილზე თურქეთმა რუსეთს საჰაერო სივრცე გაუხსნა, ეს თარიღი ემთხვევა ასადის ვიზიტს სოჭში, რომელსაც სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა პუტინის მიერ მკვეთრი გზავნილის გამო: ასადი სირიაში მშვიდობის დამყარების მიზნით, ჩაერთო მოლაპარაკებებში. 2017 წლის 22 ნოემბერს, სამხრივი მოლაპარაკებების შედეგად, სამი ქვეყნის ლიდერი სირიის ტერიტორიული მთლიანობასა და პოლიტიკური ერთანობის შენარჩუნებაზე შეთანხმდა.

რუსეთის, ირანის და თურქეთის თანამშრომლობის გარკვეულ ჩარჩო შექმნა, რომელსაც შესაძლოა სოჭის ტრიო ვუწოდოთ პირობითად. აქვე უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ თურქეთისაგან განსხვავებით, ქურთების საკითხი რუსეთისა და ირანისთვის ისეთი აქტუალური არ არის. თუმცა აშკარაა, რომ ასადის რეჟიმსა და ირანს, სურთ ქურთების წინსვლის შეფერხება იმ ფაქტის გამო, რომ მათაც ჰყავთ ქურთული მოსახლეობა თავიანთ საზღვრებთან.

მათ შორის წინააღმდეგობისდა მიუხედავად, (ქურთების საკითხთან დაკავშირებით) ეს სამი მხარე სირიის კრიზისის მოგვარებასთან დაკავშირებით აქტიურად თანამშრომლობს, რათა მათ შესაბამისი გავლენის სფერო ჰქონდეთ სირიაში.

2018 წლის აპრილში ანკარაში შეხვედრის შემდეგ სამი ქვეყნის მეთაურის ერთობლივმა განცხადებამ ცხადყო ამ სამიტის აუცილებლობა და მნიშვნელოვნობა,

რაც მომავალშიც გაგრძელდა, რომელიც ეხებოდა სირიის ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერას.

მიუხედავად მათი ძირეულად განსხვავებული შეხედულებისა, სირიის კონფლიქტის გარკვეულ ელემენტებზე, „ სოჭის ტრიომ“ იპოვა ის ოქროს შუალედი, რომელზეც ისინი შეჯერდნენ.

ამჟამად მათი მთავარი პრობლემა უკავშირდება იმ დაძაბულობასა და ინცინდენტებს, რაც ისრაელსა და ირანს შორის წარმოიქმნა. აშშ-მ ირანთან ბირთვული შეთანხმებაზე უარი თქვა, რამაც შესაძლოა მათ შორის კიდევ უფრო გააურესოს და დაძაბოს მდგომარეობა და გავლენა იქონიოს სირიის კონფლიქტის მოგვარებაზეც. რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, ითვლება თუ არა აშშ-სა და ისრაეალის მიერ ნებისმიერი სახის სამხედრო ინტერვენცია თეირანის წინააღმდეგ მიმართულად. 2018 წლის 14 აპრილის ერდოღანი საჯაროდ მიესალმა აშშს, საფრანგეთისა და გაერთიანებული სამეფოს მხრიდან დაბომბვის ოპერაციას სირიის სამთავრობო ძალებზე, მაშინ როცა მოსკოვმა-გადაჭარბებული რეაქციის გარეშე დაგმო ეს ფაქტი და მას სირიის ლეგიტიმურ მთავრობაზე სასტიკი თავდასხმა უწოდა.

ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში, გასულ წელს შედგა ამ სამი სახელმწიფოს ლიდერთა შეხვედრა სირიის კრიზისთან დაკავშირებით. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ოპოზიციისა და ხელისუფლების ლიდერებს შორის შეხვედრაც შედგა ამავე ქალაქში (2018 წელი). მართალია ამ შეხვედრას სირიის მთავრობასა და ოპოზიაციას შორის შერიგება არ მოყოლია, მაგრამ მაინც დადებითად უნდა შეფასდეს ეს მოვლენა. მ.წ. 14 მარტს, ასტანაში გამართული შეხვედრა კვლავ რჩება ეფექტურ პლატფორმად, სადაც მიმდინარეობს მოლაპარაკებები სირიაში კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებასთან დაკავშირებით.

ასტანამ აღნიშნული კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების საკითხთან დაკავშირიებით საკუთარი მზაობა გამოხატა. ეს ქალაქი იყო და რჩება პლატფორმად, სადაც არსებითი, კონსტრუქციული და მდგრადი გადაწყვეტილებები იქნება შემუშავებული და მიღებული. შემდეგი საერთაშორისო შეხვედრა სირიის საკითხთან

დაკავშრებით ჩაინიშნა აპრილში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, წინა მაღალი დონის შეხვედრა ამ კონფლიქტთან დაკავშირებით გაიმართა ყაზახეთში, სადაც მონაწილეობას ღებულობდა რუსეთი, ირანი და თურქეთი -2018 წლის 28-29 ნოემბერი. მხარეებმა ყურადღება გაამახვილეს იდლიბის პროვინციაში არსებულ სიტუაციაზე და სირიის საკონსტიტუციო კომიტეტის შექმნაზე.

ამ სამი ქვეყნისათვის, სირიის კრიზისის დარეგულირებას ძალზედ დიდი მნიშვნელობა აქვს, რაზეც სოჭის ფორმატში შემდგარი არაერთი შეხვედრა , სადაც ისინი ძალისხმევას არ იშურებენ საერთო ენა გამონახონ და აღნიშნული კრიზისი მეტნაკლებად დაარეგულირონ. ამის დასტურია თურქეთის პრეზიდენტ -რეჯებ ტაიპ ერდოღანისა და ირანის პრეზიდენტ ჰასან როუჰანის სტუმრობა სოჭში, რომელსაც რუსეთის პრეზიდენტის- ვლადიმერ პუტინის უმასპინძლა მ.წ. 14 თებერვალს. სადაც აღნიშნული ქვეყნის ლიდერებმა სირიის პრობლემის მოგვარებაზე კიდევ ერთხელ იმსჯელეს.

სამი ქვეყნის პერზიდენტმა სირიის კონფლიქტის მოგვარებასა და გრძელვადიანი მშვიდობის შენარჩუნებაზე სამომავლო გეგმები დასახეს. მხარეებმა ერთობლივი კომიტეტის ფორმირებაზე ისაუბრეს, რომლის მთავარი ამოცანა ომის შემდგომი სირიისთვის ახალი სახელმწიფო მოწყობის შექმნა იქნება.

სამივე ქვეყანას გაცხადებული აქვს, რომ სურს სირიაში მიმდინარე ომის დასრულება. ამრიგად, თურქეთ-ირანსა და რუსეთს შორის არაერთი მოლაპარაკების მიუხედავად, სირიაში სისლისმღვრელი ომი ჯერ კიდევ მძვინვარებს, რომელმაც რამოდენიმე ასეულ ათასობით ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, მილიონობით ადამიანი კი იძულებული გახადა დაეტოვებინა საკუთარი საცხოვრებელი ადგილი.

სირიის პრობლემის მშვიდობიანად გადაჭრის საკითხზე არსებული დიალოგები ჟენევის მოალაპარაკებების პარალელურად მიმდინარეობს, რომელიც გაეროს ორგანიზებით ტარდება.

XXI საუკუნის 10-იან წლებში, არაბული გაზაფხულის დაწყების შემდეგ აქტიურად განიხილბოდა ე.წ ,,თურქული მოდელის“ დანერგვის პერქსპექტივა ახლო

აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში. ამ წერილს ხელს ოფიციალური ანკარაც უწყობდა და ყველანაირად ცდილობდა წარმოეჩინა თურქეთი ისლამისა და დემოკრატიის სინთეზის ყველაზე წარმატებულ მაგალითად. თავის მხრივ, ურთიერთობა ისლამსა და დემოკრატიას შორის არაერთხელ გამხდარა კამათის საგანი. ბოლო პერიოდში ახლო აღმოსავლეთისათვის დამახასიათებელი გახდა დემოკრატიული არჩევნების გზით ხელისუფლების სათავეში ისლამისტური პარტიების მოსვლა. ასეთ ქვეყნებს შორის თურქეთი დღემდე ყველაზე წარმატებულ და ნათელ მაგალითად ითლება. ახლო აღმოსავლეთში პოლიტიკური ისლამის გაძლიერებამ რეგიონში პოლიტიკური სიტუაციის დაძაბვა გამოიწვია. XX საუკუნში არსებული პლურალიზმის[2] ნაცვლად დღეს ხისტი პოლიტიკური პლორალიზაცია მივიღეთ. ასეთი კონფიგურაცია კიდევ უფრო ართულებს ისედაც მძიმე პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიზისს რეგიონში. ისლამისტური პარტიები, რომლებიც ექსტრემიზმის, ძალადობასა და დანარჩენ სამყაროსთან კონფრონტაციისკენ მოუწოდებენ საკუთარ ამომრჩევლებს, უფრო ამ კრიზისის ხელისშემწყობია, ვიდრე მისი მომგვარებელი.

,,თურქული მოდელი“ არის ევროპული ფასეულობების (ადამიანის უფლებები, დემოკრატიული მთავრობა) და ,,ზომიერი“ ისლამის ერთიანობა, რომელიც, თითქოსდა, იდეალურად უნდა მორგებოდა პოსტრევოლუციურ ახლო აღმოსავლეთს. თუმცა 2014 წლის განმავლობაში განვითარებულმა მოვლენებმა, ნათლად აჩვენა, რომ თურქეთი არც ისე დემოკრატიულია, როგორადაც მას მიიჩნევდნენ დასავლეთში.

დემოკრატიული განვითარების მხარდაჭერა თურქეთის საგარეო პოლიტიკური კურსის შემადგენელი ნაწილი 1990-იან წლებში გახდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თურქეთმა პოსტსაბჭოთა სივრცეში, ცენტრალურ აზიასა და კავკასიაში, თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენის ზრდა დაიწყო. 1992-1996 წლებში, მან ცენტრალურ აზიასა და კავკასიის რეგიონში, საერთაშორისო დახმარებაზე გამოყოფილი მთელი ბიუჯეტის 87% დახარჯა. მდგომარეობა

შედარებით შეიცვალა 1997 წლიდან, როცა მსოფლიოს და, მათ შორის თურქეთის ყურადღებაც ბალკანეთმა მიიპყრო.

სამართლიანობისა და განვითარების პარტიამ, მმართველობის პირველ პერიოდში ევროკავშირში გაწევრიანება პოლიტიკური კურსის ერთ-ერთ ძირითად მიზნად დაისახა. ამან თურქეთში დემოკრატიული პროცესების განვითარებას ხელი შეუწყო. თუმცა 2005 წელს, როდესაც ნათელი გახდა, რომ უახლოეს მომავალში თურქეთი ვერ გახდებოდა ევროკავშირის წევრი, ზეწოლა, რომელსაც ახდენდა ევროპა თურქეთში დემოკრატიული პროცესების გასაძლიერებლად, მოიხსნა და მმართველ პარტიას უფრო თავისუფალი შიდა და საგარეო პოლიტიკური კურსის გატარებას საშუალება მიეცა.

3.3 ქურთების პრობლემა და ირანის ინტერესები.

სირიის კონფლიქტთან დაკავშირებით თითქმის ყველგან ფიგურირებს ქურთების საკითხი. ქურთი ხალხი ახლო აღმოსავლეთის მკვიდრი, უძველესი ეთნოსია. ქურთები თურქეთის მოსახლეობის 18 %-ს, დაახლოებით 15 000 000 მოსახლეს შეადგენს. სირიაში მათი რიცხვი მოსახლეობის 10%-ია, ერაყში – 10-15%, ხოლო ირანში – 10%. ქურთების საერთო რაოდენობა, სხვადასხვა მონაცემებით, 25-40 მილიონამდე მერყეობს, ხოლო მათი რაოდენობის ამსახველი საშუალო რიცხვი 35 მილიონს შეადგენს. ისინი კომპაქტურად არიან დასახლებულნი თურქეთი-სირია-ირანი-ერაყის საზღვარზე .

"საიქს-პიკოს" ხელშეკრულებაში(1916 წ)არაფერია თქმული ქურთების შესახებ, რომლებიც ამ ტერიტორიაზე კომპაქტურად ცხოვრობდნენ და რომელთა რიცხვი ათეულობით მილიონს წარმოადგენდა.[47]

1920 წლის, სევრის ხელშეკრულების 64-ე პუნქტში ასახულია ქურთისტანის, როგორც ქურთების მიერ დასახლებული გეოგრაფიული ტერიტორიის, დამოუკიდებელ სახელმწიფოად აღიარების პროექტი: „თუ წინამდებარე

[47] რ. გაჩეჩილაძე, ახლო აღმოსავლეთი, ტ I , გეოგრაფიული და ისტორიული ნიშანსვეტები. თბილისი 2018 გვ 97-105

ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან ერთი წლის განმავლობაში ქურთი ხალხი. მიმართავს ერთა ლიგის საბჭოს და დაასაბუთებს, რომ. [ქურთი ხალხის] უმრავლესობას სურს თურქეთისგან დამოუკიდებლობა, და თუ საბჭო მიიჩნევს, რომ ეს [ქურთი] ხალხი მზად არის ამისთვის და [მათთვის დამოუკიდებლობის] მინიჭების რეკომენდაციას გასცემს, თურქეთი ეთანხმება ამგვარი რეკომენდაციის აღსრულებას". მუსტაფა ქემალ ათათურქის პერიოდში აღზევებული თურქეთის სახელმწიფო ეწინააღმდეგება ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებას და, შესაბამისად, მისი რატიფიცირება ვერ ხერხდება. იგი ლოზანის ხელშეკრულებამ (1923 წ)ჩაანაცვლა. ლოზანის ხელშეკრულებაში, რომელმაც თურქეთის რესპუბლიკის თანამედროვე საზღვრები დაადგინა, ქურთისტანის სახელმწიფოს იდეა აღარ ფიგურირებს. შესაბამისად, ქურთების მიერ კომპაქტურად დასახლებულ გეოგრაფიულ არეალს ერაყის, ირანის, სირიისა და თურქეთის სახელმწიფო საზღვრები კვეთს, ხოლო ხსენებულ სახელმწიფოებში არსებული ქურთი ხალხი დამოუკიდებლობისთვის იბრძვის. ერაყში, 1946 წელს, მუსტაფა ბარზანი ქმნის ქურთისტანის დემოკრატიულ პარტიას (KDP), აბდულა ოჯალანი აყალიბებს ქურთისტანის მუშათა პარტიას თურქეთში, 1974 წელს (PKK). 1975 წელს კი KDP-ს გამოეყო ქურთისტანის პატრიოტული გაერთიანება (PUK). 2003 წელს სირიაში იქმნება, სხვადასხვა ცნობებით, PKK-სთან მჭიდრო კავშირების მქონე – ქურთისტანის დემოკრატიული პარტია (PYD), ხოლო 2004 წელს – იმავე კავშირების მქონე პოლიტიკური ორგანიზაცია ფუძნდება ირანში – ქურთისტანში თავისუფალი ცხოვრების პარტია (PJAK). საგულისხმოა, რომ ზემოაღნიშნული პოლიტიკური მოძრაობებიდან აშშ-ის მიერ მხოლოდ PKK არის ოფიციალურად აღიარებული, როგორც ტერორისტული ორგანიზაცია, 1997 წელს.[48]

თურქეთის ხელისუფლების აღქმაში, ქურთისტანის მუშათა პარტია მისი ტერიტორიული მთლიანობის წინაშე მდგომი მთავარი პრობლემაა. აღნიშნული ორგანიზაცია 1984 წლიდან თურქეთის მთავრობის წინააღმდეგ იბრძვის, მათ შორის, შეიარაღებული კონფლიქტების გზით, ცენტრალური მთავრობისგან

[48]ც. კოტეტიშვილი, ფიქრები მეგობრებზე. თბილისი, 2017 გვ 53-57

დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. 1990-იან წლებში, მას შემდეგ, რაც თურქეთსა და სირიას შორის მიღწეული შეთანხმების შედეგად, რომელიც გულისხმობდა ხსენებული ორგანიზაციისთვის თავშესაფრის მიცემის შეწყვეტას, PKK-ს ლიდერი, აბდულა ოქლანი თურქეთის კუნძულ იმრალიზე არსებულ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში სამუდამო პატიმრობის სასჯელით აღმოჩნდა, ორგანიზაციამ დამოუკიდებლობის მოთხოვნა დემოკრატიული კონფედერაციით შეცვალა. მხარეები კონფლიქტის ესკალაციაში ერთმანეთს ადანაშაულებენ. როგორც PKK-ს ლიდერი ქემილ ბაიქი BBC-სთვის 2016 წლის 25 აპრილს მიცემულ ინტერვიუში აცხადებს, „ამ ომს [თურქეთის პრეზიდენტი] ერდოღანი ამწვავებს, ქურთები თავს ბოლომდე დაიცავენ;[49] სანამ თურქეთის მიდგომა ასეთი [იგულისხმება – კონფლიქტის გამწვავება] იქნება – რა თქმა უნდა, PKK მოახდენს კონფლიქტის ესკალაციას, არა მხოლოდ ქურთისტანში, არამედ მთელს თურქეთში.

თურქულ-ქურთული ურთიერთობები განსაკუთრებით გაამწვავა სირიაში მიმდინარე პროცესებმა. ანკარას ხედვით, სირიაში ქურთების პოზიციის გაძლიერება ჯაჭვური ეფექტით გამოიწვევს მის ტერიტორიაზე არსებული ქურთული დასახლებების მიერ ავტონომიის მოთხოვნის გაძლიერებასა და, შესაძლოა, ხელი შეუწყოს თურქეთის იურისდიქციიდან გამოყოფის პროცესსაც, ერთიანი ქურთული სახელმწიფოს შექმნის მიზნით[50].

ზოგადად ცნობილია, რომ თურქეთის ხელისუფლებასთან მწვავედაა დაპირისპირებული ქურთების ეთნიკური ჯგუფი და რომ ეს ეთნიკური ჯგუფი, თურქეთის ტერიტორიაზე თავიანთი ავტონომიის სურვილით, ამ ქვეყნის ყველაზე დიდ პრობლემათაგან ერთ-ერთი უდიდესია. თუმცა საუბარი, ქურთების, როგორც ეთნოსის დაპირისპირებაზე თურქეთის სახელმწიფოსთან, დილეტანტიზმია, რადგან თავად მცნება ქურთი ხალხი და ქურთების ეთნოსი, გაცილებით მასშტაბურია ვიდრე

[49] McDowall, D. A Modern History of the Kurds. London: I. B T გვ 77-79

[50] ქურთების საკითხის მოკლე ისტორიული მიმოხილვა. გვ.1-3. https://militarium.org/qurtebis-sakitxi/

თურქეთში მცხოვრები ამ ხალხის ნაწილისა და მათი რადიკალური ფრთის მისწრაფებები.

რაც შეეხება იარნში ქურთების დიასპორას, ირანი მკაცრად უნიტარული, ისლამური სახელმწიფოა და მათ მხოლოდ კულტულური სფეროში შეუძლიათ საკუთარი ეთნიკური თავისებურებების გამოვლენა… სხვა ყველანაირი სეპარატისტული მცდელობები და ქურთების მუშატა პარტიის შეიარაღებული ფრთების ჩამოყალიბება PJAK-ს მსგავსი ორგანიზაციების სახით, ირანის ხელისუფლების მიერ, ყველა დროში მკაცრად და ძალისმიერად იქნა აღკვეთილი, რაც იმას ნიშნავს, რომ ირანის ქურთული დიასპორა, თურქეთისთვის იმდენად წარმოადგენს პრობლემას, რამდენადაც თავად ირანი.

სხვაგვარადაა საქმე სირიაში. მას შემდეგ რაც 2011 წელს ამ ქვეყანაში სამოქალაქო ომი დაიწყო, სირიის ქურთისტანი გააქტიურდა და პოლიტიკურთან ერთად, საკმაოდ ძლიერი სამხედრო ძალაც ჩამოაყალიბა ასადის რეჟიმისა და ,,ისლამური სახელმწიფოს,, წინააღმდეგ. აღსანიშნავია, რომ სირიელი ქურთების შეიარღებული ძალები – YPG – ,,სახალხო თავდაცვის რაზმები,, ერთ-ერთი ყველაზე მოწესრიგებული, მომზადებული და მოტივირებული ძალაა სირიის კონფლიქტში, რომელიც დღემდე ყველაზე აქტიურად იბრძვის ,,ისლამური სახელმწიფოს,, წინააღმდეგ. როგორც ცნობილია, ქურთი ქალები კარგი მეომრები არიან და ამ ეთნიკურ დაჯგუფებას, YPJ-ს ქალთა ჯარის სახით, ძლიერი დამხმარე ძალა ჰყავს. თურქეთის უშუალო პოლიტიკური და სამხედრო მოკავშირე სირიაში, თურქმენები არიან, რომლებიც ეთნიკურად ძალიან ახლოს დგანან თურქებთან და თურქულად საუბრობენ. სწოერედ მათი დაცვით იყო მოტივირებული თურქეთის მიერ გაკეთებული ყველა ანტირუსული განცხადება თურქეთ-რუსეთის კრიზისამდე და რუსული თვითმფრინავის ჩამოგდებაც მეტწილად თურქმენებზე მიტანილმა ასად-რუსეთის კოალიციის შეტევამ განაპირობა.

სულ სხვანაირადაა საქმე ერაყში, ამ ქვეყნის ტერირორიაზე არსებული ქურთისტანი, ერაყის კონსტიტუციით ფაქტობრივად სახელმწიფოში სახელმწიფოს სტატუსით სარგებლობს.

ოთხმოციანი წლებიდან მოყოლებული აშშ და დასავლეთი საკმაო მხარდაჭერას უწევდა ერაყის ქურთისტანს და მის შეიარაღებულ ძალებს ,,ფეშმერგეს,, გამომდინარე იქიდან, რომ ისინი იყვნენ სადამ ჰუსეინის მიმართ მტრულად განწყობილი ერთადერთი ანგარიშგასაწევი ძალა ერაყში. ჰუსეინის წინააღმდეგ ომში, ნატოს და აშშ-ს მთავარი პარტნიორი, რომელმაც რეჟიმის სამხედრო გზით დამარცხებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა, სწორედ ,,ფეშმერგა,, იყო. სანაცვლოდ მოკავშირეებმა, ჰუსეინის არმიის დამარცხების შემდეგ, მათი ნაალაფარი იარაღის უდიდესი ნაწილი სწორედ ,,ფეშმერგას,, გადასცეს. ხოლო თავად ქურთებმა, ერაყის ახალი კონსტიტუციით ისეთი ფარტო ავტონომია მიიღეს, რომ მათ თავიანთი სახელმწიფო ენის, ჯარის, პარლამენტისა და პრეზიდენტის ყოლის უფლება აქვთ, ხოლო ერაყულ არმიას ეკრძალება ქურტისტანში შესვლა. ფაქტიურად სახელმწიფო გახდნენ – სახელმწიფოს შიგნით.

მას შემდეგ, რაც სირიის პარალელურად ,,ისლამური სახელმწიფო,, ერაყშიც გააქტიურდა და ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი (ქვეყნის სიდიდით მეორე ქალაქ მოსულის ჩათვლით) მიიტაცა. ერაყელი ქურთები და მათი 120.000 კაციანი შეიარაღებული ძალები ,,ფეშმერგე,, (ქურთულიდან ,,სიკვდილზე წამსვლელს,, ნიშნავს) იმდენად მედგრად დახვდნენ ისლამისტ ჯიჰადისტებს, რომ არამცთუ საკუთარი ტერიტორიის ნაწილი არ დაუთმეს მათ, არამედ ნავთობის მოპოვების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ქალაქებიც დაიკავეს. სხვათაშორის, კირკუკს ქურთები საკუთარ მიწად თვლიდნენ, თუმცა ერაყის ხელისუფლება არ სცნობდა მათ უფლებას ამ ქალაქზე, რაც ქურთებმა ბრძოლით მოიპოვეს. რა თქმა უნდა ქურთებს ნატოს კოალიციაც ეხმარებოდა იარაღით და ისლამისტების პოზიციებზე ავიადარტყმებით. თუმცა ყველაზე მეტი დახმარება, ამ რთულ პერიოდში ერაყის ქურთისტანს თურქეთმა გაუწია. არც ქურთები და არც თურქები არ მალავენ იმას, რომ

თურქეთის არმიის საუკეთესო ინსტრუქტორები, ტექნიკა და ტყვია წამალი ,,ფეშმერგას,, დღემდე. ერთობლივად დაგეგმილმა საბრძოლო ოპერაციებმა კი – ქურთისტანის პოზიციები კიდევ უფრო გააძლიერა ერაყში, მაშინ როცა თავად ერაყის ხელისუფლება ძლივს იცავდა ისლამისტებისგან საკუთარ დედაქალაქ ბაღდადს.

ერაყის ხელისუფლება ბოლო პერიოდში ხშირად გამოთქვამდა უკმაყოფილებას ნატოს კოალიციის უყურადღებობის გამო ერაყში ჯიჰადისტთა გაძლიერებაზე, რაზეც კოალიცია იშვიათი ავიადარტყმებით შემოიფარგლებოდა ხოლმე. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ერაყის პრეზიდენტი რუსეთისათვის დახმარების თხოვნითაც კი დაემუქრა აშშ-ს და კოალიციას. ერაყის ხელისუფლებას რა თქმა უნდა აწუხებდა ისედაც სახელმწიფოს სტატუსის მქონე ქურთისტანის ავტონომიისა და მისი შეიარაღებული ძალების კიდევ უფრო გაძლიერება თურქეთის მიერ. თუმცა ადრე მათ საკუთარი ხელისუფლების დაკარგვის დიდი საფრთხეც ჰქონდათ ისლამისტების მხრიდან და ,,ფეშმერგას,, ბრძოლას მათივე მტრის მიმართ, თუნდაც თურქების დახმარებით, დიდად ვერ შეეწინააღმდეგებოდნენ. დღესდღეობით, თურქეთი განაგრძნობს საკუთარი როლის თამაშს რეგიონში მიმდინარე კონფლიქტებში და ამ როლის მნიშვნელობის ასამაღლებლად[51].

სირია მრავალეთნიკური და მრავალკონფესიური ქვეყანაა.მოსახლეობის 70% სუნიტი მუსლიმია. სირიაში მუსლიმებთან ერთად ქრისტიანების უმცირესობაც (10%) თანაცხოვრობს. ეთნიკურად მოსახლეობის 90% არაბია, 9% ქურთი, ხოლო დანარჩენი სომეხი და ასირიელია. სირიის კონფლიქტში მონაწილეობს სირიელი ქურთების 'სახალხო დაცვის შენაერთებიც' (YPG). ისლამური სახელმწიფო ებრძოდა, როგორც ასადის მთავრობის ძალებს, ასევე სირიელ ქურთებს და ყველა სხვა კონფესიისა თუ სექტების წარმომადგენლებს, რომლებიც სუნიტები არ არიან.[52]

სირიის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მისი მთლიანი ტერიტორიის 1/5 ნაწილს, პრაქტიკულად, სამოქალაქო ომის დაწყებიდანვე ქურთული სირიის დემოკრატიული

---

[51] თურქეთის როლი ახლო აღმოსავლეთში და ქურთების პოზიციები. გვ.1-2. https://www.timer.ge/thurqethis-roli-akhlo-aghmosavlethshi-da-qurthebis-poziciebi/

[52] მ.სვანიძე ,თურქეთის ისტორია".თბილისი, 2007 გვ 30-33

ძალები (SDF) აკონტროლებენ. მიუხედავად ათწლეულების განმავლობაში მათზე არსებული მკაცრი რეპრესიებისა, სირიელი ქურთები ასადის რეჟიმის წინააღმდეგ პრაქტიკულად არ იბრძვიან. მათი მთავარი ამოცანა ქურთებით დასახლებული ტერიტორიების სამხრეთიდან ისლამური სახელმიწფოსგან, ალ-ნუსრასა და ჩრდილოეთიდან თურქული შეტევებისგან დაცვა წარმოადგენს. ქურთები სუნიტები არიან, რომელიც მკვეთრად ეგალიტარული მმართველობის სისტემის ჩამოყალიბებას სხვა ეთნოსებისა და კონფესიების წარმომადგენლებთან ერთად ცდილობენ. ქურთი მებრძოლები ერთ-ერთ საუკეთესო ჯარისკაცებად მიიჩნევიან, რომელიც ეფექტურად იბრძვიან ტერორისტული ორგანიზაციების წინააღმდეგ. მათ უშუალო მხარდაჭერას უწევს ხმელეთიდან ერაყული, ქურთული საბრძოლო დანაყოფები ე.წ. ფეშმერგას მებრძოლები და ჰაერიდან აშშ-ის ავიაცია. თურქეთის ხელისუფლება ქურთების 'სახალხო დაცვის შენაერთებს' (YPG) თურქეთში მოქმედ ტერორისტული ორგანიზაციის 'ქურთისტანის მუშათა პარტიის' (PKK) სირიულ ნაწილად მიიჩნევს და მის წინააღმდეგ არაოფიციალურად საბრძოლო მოქმედებებს აწარმოებდა თუმც გასულ წელს თურქეთმა ქურთების წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაცია - ,,პალმის რტო" - გამართა. სამოქალაქო ომის დაწყებამდე სირიასა და თურქეთს შორის დამთბარი ურთიერთობის მიუხედავად, რომელიც სირიიდან ქურთების ლიდერის აბდულა ოჯალანის გაძევებას მოჰყვა, საპროტესტო გამოსვლების(2011 წელი) შემდგომ თურქეთმა ასადის გადადგომას დაუჭირა მხარი. [53]

2016 წლიდან თურქეთმა სირიის სასაზღვრო ზოლში უშუალო საბრძოლო მოქმედებები დაიწყო, სადაც იგი, როგორც ასადის ძალების, ასევე სირიელი ქურთების და ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ იბრძოდა. 2017 წლის თებერვალში, თურქულმა ძალებმა სირიის ჩრდილოეთი მდებარე სტრატეგიული ქალაქი ალ-ბაბი დაეშისგან გაათავისუფლეს და მასზე კონტროლი დაამყარეს. ალ-ბაბი სირიელი

[53] გ. სანიკიძე, გ. ალასანია, ნ.გელოვანი. ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან (XIXს.- XXI ს.-ის დასაწყისი). თბილისი, 2011. გვ 276-280

ქურთებით დასახლებულ ორ პროვინციას ქობანის და აფრინის კანტონებს ერთმანეთისგან ჰყოფს[54].

ქურთისტანის მუშათა პარტიის სირიული განშტოება „სახალხო თავდაცვის ერთობაა“. რომლის მიზანიცაა ქურთისტანის ძლიერი ავტონომიის ან დამოუკიდებელი ქურთული სახელმწიფოს შექმნა. საჭიროების შემთხვევაში, იგი „დაეშის“ გარდა თითქმის ყველა აქტორთან თანამშრომლობდა.თურქეთის დღევანდელი, ისლამისტურ-კონსერვატიული მთავრობის გაცხადებული მიზანი მათი ქვეყნის რეგიონალურ ზესახელმწიფოდ ჩამოყალიბება გახლავთ. თურქები საფრთხეს ხედავენ ქურთული მილიტარისტული ძალებისა და თურქეთში ტერორისტულ ორგანიზაციად გამოცხადებული „ქურთისტანის მუშათა პარტიის“ PKK სირიული განშტოების გაძლიერების საქმეში. თურქებს ირენდანტიზმის ეშინიათ.

ქურთები სირიაში ალევიტური ელიტის განსაკუთრებულ ყურადღებას არასდროს იმსახურებდნენ. მეტიც, ქურთები სირიაში ხშირად დისკრიმინირებულნიც იყვნენ. თუმცა, როგორც კი სამოქალაქო ომში თურქეთმა ოპოზიციის მხარი დაიჭირა, ასადის რეჟიმმა სრული თავისუფლება მიანიჭა ქურთულ თემს. ომის მიმდინარეობის დროს ასადის ავიაციას ქურთებისათვის სერიოზული დარტყმა ფაქტობრივად არ მიუყენებია. სირიის ომის კვალდაკვალ, 2015 წლის ივლისიდან თურქეთსა და PKK-ს შორის სამშვიდობო ხელშეკრულება დაირღვა. შესაბამისად, სამხედრო დაპირისპირება განახლდა თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთის რეგიონებშიც[55]. (

ამ ცვალებად გარემოში გასათვალისწინებელია თურქეთის რთული მდგომარეობაც. ერთის მხრივ, ანკარამ ჩამოაყალიბა ორმხრივი, კარგი ურთიერთობები როგორც რუსეთთან, ასევე ირანთან, თუმცა, რეგიონში მათი გავლენის ზრდა ნაკლებად აწყობს. მეორეს მხრივ, თურქეთისთვის განასაკუთრებით მგრძნობიარე ქურთების საკითხი ჩრდილს აყენებს ანკარას მჭიდრო პარტნიორობას

[54] სირიის კონფლიქტი - ახლო აღმოსავლეთის ავანსცენა. გვ.3. http://old.1tv.ge/projects/analytics/?page=detail&id=160473

[55] Independent International Commission of Inquiry on the Syrian Arab Republic. https://www.ohchr.org/en/hrbodies/hrc/iicisyria/pages/independentinternationalcommission.aspx

აშშ-თან, რადგან ვაშინგტონი ერაყშიც და სირიაშიც ქურთებთან მჭიდროდ თანამშრომლობს.

დასკვნა

ოსმალეთის იმპერიის სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისთანავე იწყება მისი დამპყრობლური პოლიტიკა, რომელიც საწყის ეტაპზე მეზობელ ქვეყნებს, ხოლო მოგვიანებით, რამოდენიმე რეგიონს მოიცვდა.ოსმალეთის იმპერიისათვის, თავისი დამპყრობლური ინტერესების განსახორციელებლად ერთ-ერთ სერიოზულ მეტოქეს, ირანი წარმოადგენდა.

სამაგისტრო ნაშრომის საკვლევი კითხვის პასუხად, სეფიანთა ირანის ჩამოყალიბებამდე, ოსმალეთს სერიოზულ წინააღმდეგობას უწევდნენ, ირანის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები. სეფიანთა იმპერიის შექმნიდან, ოსმალეთი და ირანი ერთმანეთს სერიოზულ ბარიერს უქმნიან თავიანთ დამპყრობლურ პოლიტიკაში. ისიც აღსანიშნავია, რომ ოსმალეთის სახელმწიფო რელიგია სუნიზმი იყო, ირანის- კი შიიზმი. აქედან გამომდინარე ამ ორ ქვეყანას შორის დაპირისპირება რელიგიურ ნიადაგზე წარმოიშვა. ამ ქვეყნებისათვის მეტოქეობის უმთავრესი ობიექტი იყო, როგორც აზია, ისე ახლო აღმოსავლეთი. მათ შორის რამოდენიმე საომარი ოპერაციები გაიმართა, სადაც ტერიტორიები ხელიდან ხელში გადადიოდა. საბოლოო ჯამში მათ შორის საომარი ოპერაციები XVIII საუკუნის პირველ ნახევარში დასრულდა.

ნაშრომში წარმოდგენილი მასალების შეჯერებისა და გაანალიზების შედეგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ შესავალში ჩამოყალიბებული ჰიპოთეზა დადასტურდა. ირანმა თურქეთის საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა, მას შემდეგ, რაც თურქეთი რესპუბლიკად გამოცხადდა. თურქეთი და ირანი საუკუნეების განმავლობაშ მეზობელი ქვეყნები იყვნენ და აქედან გამომდინარე, თურქეთს თავის აქტიურ საგარეო პრიორიტეტთა შორის ირანთან ურთიერთობაც ჰქონდა განსაზღვრული.

მას შემდეგ, რაც ირანის ტახტზე ფეჰლევიდები ავიდნენ, სეკულარული თურქეთისა და ირანის საგარეო ურთიერთობებში ბევრად მშვიდი და მნიშვნელოვანი პერიოდი დაიწყო, წინა საუკუნეებთან შედარებით. ამ ქვეყნებმა არაერთი შეთანხმება დადეს ერთმანეთთან სამოკავშირეო თუ ეკონომიკური თვალსაზრისით. ბუნებრივია, თურქეთს, ირანთან ანგარიშის გაწევა უხდებოდა ახლო აღმოსავლეთის რეგიონში, რათა უკეთ დაეგეგმა და განესაზღვრა თავისი აქტიური საგარეო პოლიტიკური კურსი.

თურქეთის საგარეო პოლიტიკაში ირანის როლმა სხვა ხასიათი შეიძინა, ირანში ისლამური რევოლუციის გამარჯვების შედეგად. ამ რევოლუციის შემდგომ შეიქმნა ირანის ისლამური რესპუბლიკა, რომლის სურვილი იყო ისლამური რევოლუციის ექსპორტი, ჯერ შიიტ მოსახლეობაში, შემდეგ კი დანარჩენ სუნიტურ ქვეყნებშიც. აქედან გამომდინარე სერიოზული ცვლილებები განიცადა, თურქეთ-ირანის საგარეო პოლიტიკურმა ურთიერთობებმა. თურქეთისათვის, ისევე, როგორც დანარჩენი სხვა მუსლიმური ქვეყნებისთვის, მიუღებელი იყო ისლამური რესპუბლიკის შექმნა საკუთრივ ირანში და ასევე მისი ექსპორტიც. შესაბამისად, ისევე, როგორც დანარჩენ სხვა ქვეყნებთან, თურქეთმა გარკვეული დროით ურთიერთობა შეწყვიტა ირანთანაც.

აღნიშნულ ნაშრომში გამოვიყენეთ ,,ძალთა ბალანსის“ თეორია, რომელიც დაგვეხმარა გარკვეული დასკვნების გამოტანაში. სპარსეთის ყურის პირველი ომის, ანუ ირან-ერაყის ომის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ირანში ისლამური მმართველობის სისტემის დანერგვა იყო. აქედან გამომდინარე, ყველა მუსლიმი ქვეყანა ირანში დამყარებული რეჟიმის წინააღმდეგ წავიდა. მაშინ, როდესაც ერაყი

უშუალოდ აწარმოებდა ომს ირანის წინააღმდეგ, ამ ომში თურქეთი აქტიურად უჭერდა მხარს ერაყს, რადგან, მასაც, ისევე, როგორც დანარჩენ მის მეზობელ ქვეყნებს არ სურდათ, რათა ისლამური მმართველობა დამყარებულიყო მათ ქვეყანაში. უფრო მეტიც, მათი სურვილი იყო ისლამური მმართველობის რეჟიმის დასრულება ირანშიაც.

ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით, ირანისადმი დაწესებული სანქციების პირობებში, თურქეთის დამოკიდებულება ირანისადმი არაერთგვაროვანი იყო. ის, გარკვეულ ეტაპებზე ცვლილებებს განიცდიდა. ამის უმთავრესი მიზეზი თურქეთის ინტერესებიდან გამომდინარეობდა.

მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი ნატოს წევრი ქვეყანაა აშშ-ს და ნატოს ერთ-ერთი უმთავრესი დასაყრდენი და პარტნიორი ახლო აღმოსავლეთის რეგიონში, თურქეთი ცდილობს თავისი დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკური კურსი განახორციელოს რეგიონში. ეს რა თქმა უნდა ეხება ირანთან ურთიერთობასაც. სანქციების მიუხედავად, ეტაპობრივად თურქეთი მაინც ახერხებდა ირანთან მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების შენარჩუნებას.

არაბული გაზაფხულის შედეგად, ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ღრმა პოლიტიკური კრიზისი შეიქმნა, რომელიც დღემდე გრძელდება. დასაწყისში თურქეთისა და ირანის ურთიერთობები ერთმანეთისაგან საგრძნობლად განსხვავდებოდა, მაგრამ კრიზისის გაღრმავების ფონზე, რეგიონში ვითარების გართულების მიუხედავად, რაც ბუნებრივია საფრთხეს უქმნიდა, როგორც თურქეთს, ასევე მის მეტოქე ირანსაც, ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა დათბა და მათ მოახერხეს საერთო პოზიციაზე შეჯერება.

აღსანიშნავია, რომ თურქეთისათვის, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გახდა რეგიონში სიტუაციის დარეგულირება, რადგან რეგიონში არსებული მდგომარეობა თურქეთის სიმშვიდეს და პოლიტიკურ სტაბილურობას უშლის ხელს. თურქეთი და ირანი ასევე ერთ აზრზე არიან გოლანის მაღლობთან დაკავშირებით, რომელზეც აშშ-ს პრეზიდენტმა ტრამპმა ისრაელის სტატუსი აღიარა. ეს ფაქტი რა თქმა უნდა ორივე მეზობელი სახელმწიფოსთვის მიუღებელი აღმოჩნდა.

ქურთების პრობლემა, ზოგადად რეგიონის ოთხივე (თურქეთის, ირანის, სირიის, ერაყის)ქვეყნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემათაგანია. ამ პრობლემამ განსაკუთრებით თავი იჩინა, სირიაში მიმდინარე პოლიტიკური კრიზისის ფონზე. ქურთების პრობლემა, განსაკუთრებით მწვავედ თურქეთისთვის დაისვა, რადგან, მათ ტერიტორიაზე ქურთი მოსახლეობის დიდი ნაწილი ცხოვრობს. ისიც უნდა ავღნიშნოთ, რომ თურქი ქურთები დახმარებას უწევენ სირიელ ქურთებს.

ბუნებრივია, ქურთების პრობლემის გართულება და მათი სეპარატისტული მოძრაობა მიუღებელია, როგორც ირანისთვის, ასევე თურქეთისათვის. შესაბამისად, ამ ორი ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ინტერესებიდან და ასევე შიდა სტაბილურობიდან გამომდინარე, მათი პოზიციებიც ამ მხრივ ერთმანეთთან თანხვდომაშია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ალი შარი'ათი და ისლამური რევოლუცია . პერსპექტივა- XXI, VI, 2005.
2. გაბაშვილი ვ. სეფიანთა სახელმწიფო. ნარკვევები ახლო აღმოსავლეთის ისტორიიდან. თბილისი,1957.
3. გაჩეჩილაძე რ. ახლო აღმოსავლეთი, ტ I, გეოგრაფიული და ისტორიული ნიშანსვეტები. თბილისი 2018.
4. გაჩეჩილაძე რ. ახლო აღმოსავლეთი II ტომი. თბილისი, 2018.
5. გიგინეიშვილი ო. ნარკვევები ოსმალეთის ისტორიიდან. თბილისი, 1982.
6. კაციტაძე დ. ,,ირანის ისტორია, III-XVIII საუკუნეები ", თბილისი, 2009.
7. კოტეტიშვილი ც. ფიქრები მეგობრებზე. თბილისი, 2017.
8. ლებანიძე ტ. თურქეთის შიდა პოლიტიკა 1945-1980 წლებში და პოლიტიკური პარტიები, თბილისი, 2003 .
9. მაკარაძე ე. თანამედროვე თურქეთის აქტუალური საკითხები, ბათუმი, 2000.
10. მაკარაძე ე. თურქეთის ისტორია 1918-2018 წლები. თბილისი, 2019.

11. პაიჭაძე დ. ევროპის ქვეყნების ანტიოსმალური კოალიცია და საქართველო XV საუკუნის 60-იან წლებში. თბილისი, 1989.
12. სანიკიძე გ, ალასანია გ, გელოვანი ნ. ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან (XIXს.- XXI ს.-ის დასაწყისი). თბილისი, 2011.
13. სამეცნიერო სტატიების კრებული ,,ახლო და შუა აღმოსავლეთი“ თბილისი, 2003.
14. სვანიძე მ. საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობების ისტორიიდან (XVI-XVII სს). თბილისი, 1971.
15. სვანიძე მ. ქემალისტური რევოლუცია, ,,ახალი ხიდი“, 2003.
16. სვანიძე მ. ,,თურქეთის ისტორია“.თბილისი, 2007.
17. Еггерт К. Россиа и Турция: Споры, Оружие, Деньги, ,,Известия", 1995.
18. Еровченков А, Встреча глав тюркских государств в Стамбуле,,,Компас",№167, 1994.
19. Отношения Ирака и Турции с мусульманскими республиками СССР, ,,АТЛАС", №52,.1991.
20. Сванидзе М.Х Амасийскй османо-иранский договор 1555 г. и закавказье. Восточное историческое источниковедение и специальные исторические дисциплины, вып.2, М,1994.
21. Региональные конфликты в Азии и Северной Африке. Москва,1997.
22. Aras, Bulent. The New Geopolitics of Eurasia and Turkey’s position. London: Frank Cass, 2002.
23. Bodgener D., Ankara’s pipe dreams come true. Meed, 1994.
24. Chani, Cyrus. Iran and the Rise of Reza Shah. From Qajar Collapse to Pahlavi Rule. London- New Yourk: I.B. Tauris, 1998.
25. Cronin S. The making of Modern Iran: State and Society under Riza Shah, 1921-1941. New Yourk & London: Routledge, 2003

26. Davutoglu A., Principles of Turkish Foreign Policy and Regional Political Structuring, SAM Vision Papers , Davutoglu, 2012.
27. McDowall David. Understanding Islam and radicals. Journal of South Asian and Middle Eastern Studies. Vol. 26, No 1, 2002.
28. McDowall David. Modern History of the Kurds. London: I. B T .
29. Theology of Discontent: The Ideological Foundation of Islamic Revolution in Iran. New York: New York University Press, 1993.

ინტერნეტ რესურსები

1. თურქეთი და ირანი აღლოაღმოსავლეთში გავლენისთვის იბრძვიან .https://www.amerikiskhma.com/a/article 95792424/532487.html (ბოლოს გადამოწმებულია 10.06.2019)
2. თურქეთის როლი ახლო აღმოსავლეთში და ქურთების პოზიციები. https://www.timer.ge/thurqethis-roli-akhlo-aghmosavlethshi-da-qurthebis-poziciebi/ (ბოლოს გადამოწმებულია 15.06.2019)
3. ირანის ბირთვული პროგრამა – დაპირისპირებიდან შეთანხმებამდე . http://regional-dialogue.com/nuclear-deal/ (უკანასკნელად გადამოწმებულია 01.06.2019)
4. ირანის წინააღმდეგ აშშ-ს მიერ დაწესებული სანქციები. https://www.trt.net.tr/georgian/ekonomika/2018/11/05/iranis-cinaag-mdeg-ashsh-s-mier-dacesebuli-sank-c-iebis-meore-etapi-dg-es-amok-medda-1081406 www.trt.net.tr (უკანასკნელად გადამოწმებულია 29.05.2019.)
5. რუსეთის, ირანისა და თურქეთის ლიდერები სოჭში სირიის საკითხებზე მსჯელობენ. http://ghn.ge/com/news/view/220895 (ბოლოს გაამოწმებულია 17.06.2019)

6. სირია განადგურების ზღვარზე: არაბული ჰოლოკოსტი. http://eugeorgia.info/ka/articleblog/38/siria-ganadgurebis-zgvarze-arabuli-holokosti/ (ბოლოს გადამოწმებულია 07.06.2019)
7. სირიის კრიზისი: ამერიკის ევფრატისპირა დილემა. http://eugeorgia.info/en/articleblog/49/siriis-krizisi-amerikis-evfratispira-dilema/ ბოლოს გადამოწმებულია 14.06.2019)
8. სირიის კონფლიქტი - ახლო აღმოსავლეთის ავანსცენა. http://old.1tv.ge/projects/analytics/?page=detail&id=160473 (ბოლოს გადამოწმებულია 13.06.2019)
9. ქურთების საკითხის მოკლე ისტორიული მიმოხილვა. https://militarium.org/qurtebis-sakitxi (ბოლოს გადამოწმებულია 18.06.2019)
10. Сочинский формат: Путин, Эрдоган и Роухани провели переговоры по Сирии. https://ria.ru/20171123/1509395837.html (ბოლოს გადამოწმებულია 18.06.2019)
11. Astana Peace Process talks on Syria.https://www.euromesco.net/news/astana-peace-process-talks-on-syria/ ბოლოს გადამოწმებულია 18.06.2019)
12. Independent International Commission of Inquiry on the Syrian Arab Republic .http://www.ohchr.org/EN/HRBodies/HRC/IICISyria/Pages/IndependentInternationalCommission.aspx (ბოლოს გადამოწმებულია 17.06.2019)
13. New formats of Syria talks help resolve conflict – Putin. http://tass.com/world/1028195 ბოლოს გადამოწმებულია 17.06.2019)
14. Russia, Iran, Turkey to hold fourth round of Syria talks in Sochi. https://www.aljazeera.com/news/2019/02/russia-iran-turkey-hold-fourth-syria-talks-sochi-190213135429737.html ბოლოს გადამოწმებულია 17.06.2019)
15. Russia, Turkey and Iran – why the US has declared economic war against them. https://jam-news.net (ბოლოს გადამოწმებულია 11.06.2019).
16. The Baghdad Pact (1955) and the Central Treaty Organization (CENTO). https://2001-2009.state.gov/r/pa/ho/time/lw/98683.htm. (უკანასკნელად გადამოწმებულია 15.06.2019).